პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებ სათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

საქართველოს
[illegible]
ბიბ[illegible]თეკა

დ ღ ი უ რ ი

— ბერლინში გაიხსნა ანტიფაშისტური კონგრესი.
— დაიხურა ერთა ლიგის საბჭოს სესია.
— ბერლინში ანტიფაშისტურ მიტინგზე დააპატიმრეს მაქს ჰელცი.
— ნიკარაგუაში სიკვდილით დასაჯეს სანდინოს ჯარების შტაბის ყოფ. უფროსი გენერალი ხილონი.
— ფეიქართა გაფიცვა ალუენში (საფრანგეთი) გრძელდება.
— საბჭოების საკავშირო ყრილობა გაიხსნება 16 მაისს.
— მოსკოვში გაიხსნა მუშათა ფაკულტეტების საკავშირო ყრილობა.

სამშაბათი, 12 მარტი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 57 (2403)

გაუმარჯოს ამ.-კავკ. ს. ს. რესპუბლიკების ფედერაციას,

ჩვენი ეკონომიურ-კულტურული განვითარებისა და ეროვნული მშვიდობიანობის სიმტკიცის საწინდარს

ამიერ-კავკასიის ფედერაციის შვიდი წლის თავი

(1922 — 1929)

თავისი არსებობის შვიდი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ფედერაცია თანდათან განმტკიცდა. მან ღრმად გაიდგა ფესვები მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელთა შეგნებაში. პირველად ბევრს ეგონა, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია, ე. ი. სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება მთლიან ფედერატიულ რესპუბლიკად, თვითეული მათგანის დამოუკიდებლობის შენარჩუნებით სოციალურ-კულტურული და ეკონომიური ცხოვრების განსაზღვრულ დარგებში, ხელოვნური და უსიცოცხლო იქნებოდა, მაგრამ ცხოვრებამ უარჰყო ეს დებულება.

უწინარეს ყოვლისა, ამიერ-კავკასიის ფედერაცია საბჭოთა ხელისუფლების დროს ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით გადაიქცა ერთ-ერთ იმ უმძლავრეს ფაქტორად, რომელიც უზრუნველჰყოფს მთელი ამიერ-კავკასიის ხალხების მშვიდობიან თანამშრომლობას და ძმურ კავშირს. ამიერ-კავკასიის ფედერაციამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ნაციონალიზმს და შოვინიზმს, რამაც აქ ფესვი გაიდგა ქართველი მენშევიკების, სომეხი დაშნაკებისა და აზერბეიჯანელი მუსავატისტების პარპაშის დროს.

ეხლა გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის გარეშე საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა მეტად შეფერხდებოდა და მას თითქმის ყოველ ნაბიჯზე გადაეღობებოდნენ დიდი დაბრკოლებანი, ვინაიდან ვერც სომხეთი, ვერც აზერბეიჯანი და ვერც საქართველო, თუ კი ისინი თავიანთ საზღვრებში ჩაიკეტებოდნენ, ვერ შესძლებდნენ წარმატებით განევითარებიათ თავიანთი მეურნეობა და აღეზარდათ მოზარდი თაობა ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის საფუძვლებზე.

როგორც ვიცით, ეს გარემოება ყველაზე უკეთ ესმოდა ამხ. ლენინს, რომელმაც სწორედ მაშინ ამიერ-კავკასიის როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა ხელმძღვანელებს მისცა ის აზრი, რომ აუცილებლად საჭიროა სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს გაერთიანება ფედერატიულ საფუძვლებზე.

ამ გზაზე ბევრ სიძნელეს ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამჟამად ეს იდეა უკვე განხორციელებულია და ამიერ-კავკასიის ფედერაციამ სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. მთელ ამიერ-კავკასიის მშრომელებმა იციან რამდენად სასარგებლო და აუცილებელია ამიერ-კავკასიის ფედერაცია. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებისა და მუშათა კლასის მტრები — მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატისტები დღემდე სცდილობენ ინსინუაციებითა და ცილისწამებით სახელი გაუტეხონ ამიერ-კავკასიის ფედერაციას მისი ჩაშლის მიზნით. მაგრამ ეს აგიტაცია ეხლა მოკლებულია ყოველგვარ ნიადაგს. ამიერ-კავკასიის ფედერაცია უკვე საკმაოდ განმტკიცდა და იგი გადაიქცა საბჭოთა მშენებლობის მთელი სისტემის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად. მისი შემდგომი წარმატება უმთავრესად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად მოქნილნი იქნებიან მისი ორგანოები და რამდენად მკაფიოდ შეასრულებს ფედერაცია მისთვის დაკისრებულ ფუნქციებსა და მოვალეობებს სოციალისტური მშენებლობის კიდევ უფრო წარმატებით განსავითარებლად ამიერ-კავკასიაში.

ფ. მახარაძე.

ფასების პოლიტიკა და ინდუსტრიალიზაცია

ფასების პოლიტიკა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელში წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს იარაღს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის კავშირის განსამტკიცებლად და გასაღრმავებლად სოციალიზმის მშენებლობის ნიადაგზე, მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის განსამტკიცებლად. ეს პოლიტიკა მიზნად ისახავს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ფასებს შორის არსებულ „მაკრატლის“ პირის სისტემატიურ, თანდათანობით და გადაუხრელად დაახლოვებას. „მაკრატლის“ პირების დაახლოვებისათვის უმთავრეს გზას და უმნიშვნელოვანეს ნიადაგს წარმოადგენს სამრეწველო ფასების შემცირება, რაც წითელ ზოლად არის გავლებული პარტიისა და საბჭოების მთელს პოლიტიკაში. სამრეწველო ფასების შემცირება ტარდება სოციალისტური მრეწველობის თავიდან ბოლომდე გარდაქმნისა და რეკონსტრუქც. ნიადაგზე, თავის-თავად ცხადია, ფასების შემცირება გულისხმობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას და შრომის დისციპლინის გაძლიერებას. ის აჩქარებს აგრეთვე სოფლის მეურნეობის გარდაქმნას ახალ საფუძველზე. ის იწვევს მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, გლეხობის და მშრომელთა ფართო მასების კეთილდღეობის გადიდებას.

მიმდინარე სამეურნეო წელს განსხვავება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ფასებს შორის შემცირდა, მაგრამ სპეციფიურ პირობების გამო „მაკრატლის“ პირების ეს დაახლოვება ხდებოდა, უმთავრესად, სასოფლო-სამეურნეო ფასების ერთგვარი გადიდების ხარჯზე. პურის დამზადების მიმდინარე კამპანიის დასაწყისში პურის ფასების გადიდება აუცილებელი იყო, ვინაიდან პურეულის კულტურების სასარგებლოდ უნდა გამოსწორებული ყო სხვადასხვა კულტურებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჯგუფების ფასებს შორის არსებული, გლეხობისათვის არახელსაყრელი შეფარდება. პურის ფასების გადიდებამ, რომელიც გატარდა წარსულ წელს, დააკმაყოფილა ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა სამეურნეო ინტერესები. მთავრობის დადგენილება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პურის ფასების გადიდება ძალაში რჩება მახლობელი სასოფლო-სამეურნეო წლის განმავლობაშიაც.

შეიძლება თუ არა დაუყოვნებლივ, ერთბაშად მოსპობილ იქნეს განსხვავება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ფასებს შორის? აშკარაა, რომ ეს შეუძლებელია.

ჩვენ სავსებით გათვალისწინებული გვაქვს, რომ „მაკრატელი“ ერთგვარ დამატების ტვირთს წარმოადგენს გლეხობისათვის და რომ ნორმალურ პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს ემატება, ამგვარად, განსაზღვრული თანხა, რომელიც სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ქვეყნის ინდუსტრიალიზაც. ტემპის გასაძლიერებლად. მაგრამ ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაცია არის ერთად-ერთი შესაძლო გზა გლეხური მეურნეობის გარდაქმნისათვის და გლეხური მოსახლეობის მთავარი მასის კეთილდღეობის გასადიდებლად. იმავე დროს ეს არის ერთად-ერთი შესაძლო გზა „მაკრატლის“ პირების უფრო სწრაფად და მიზანშეწონილად შეერთებისათვის. ასეთ პირობებში „მაკრატელი“ ნიშნავს იმას, რომ დროებით გლეხობა შედარებით გადიდებულ ფასებში ყიდულობს სამრეწველო პროდუქტებს და შედარებით დაკლებულ ფასებში ასაღებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას, რაც არსებითად ხელს უშლის თვით დისპროპორციის საბოლოოდ მოსპობას. ჯერ-ჯერობით ეს განსხვავება ფასებში საკმაოდ მნიშვნელოვან თანხას შეადგენს. ამ გარემოებას მშრომელთა და გლეხთა ფართო მასებისაგან ოდნავადაც არ ფარავს კომუნისტური პარტია, რომელიც მუშათა კლასისა და გლეხობის წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით აყენებს სოციალისტური მშენებლობის ყველა პრობლემას და გარკვევით ლაპარაკობს ამ მშენებლობის ყველა დაბრკოლებისა და სიძნელის შესახებ, რომლებიც დაძლეულ უნდა იქნენ საერთო ძალ-ღონით. სამრეწველო ტექნიკის განვითარების არსებულ დონეზე „მაკრატელი“ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ფასებს შორის აუცილებლად გამომდინარეობს ქვეყნის საწარმოო-ტექნიკური აპარატის არსებულ მდგომარეობიდან. „მაკრატელი“ შეიძლება მოისპოს მხოლოდ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საფუძველზე. სოციალისტური მრეწველობის რეკონსტრუქციის საქმის წინ სვლასთან ერთად თანდათან შემცირდება ის დამატებითი ტვირთი, რომელიც მხრებზე აწევა გლეხობას შედარებით მაღალ სამრეწველო ფასების ხაზით. ჩვენი პარტია გადაუხრელად და მთელი თავისი ძალ-ღონით ატარებს „მაკრატლის“ პირების თანდათანობით შეერთების ხაზს, რათა თვით ეს მოვლენა—„მაკრატელი“ საბოლოოდ მოსპოს რამდენიმე წლის განმავლობაში. ასევე მტკიცედ და გადაუხრელად ჩვენ უნდა გავატაროთ საცალო ფასების შემცირება საქონლის გამტარებელი ქსელის რაციონალიზაციისა და სავაჭრო აპარატის ხარჯების შემცირების გზით. მუშაობა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ ამ მიმართულებით, საგრძნობლად უნდა გაძლიერდეს. ამ ხაზს ჩვენი პარტია არ გადაუხვევს. ამ ხაზს ის ატარებს როგორც შეურის ბოლშევიკების პარტია, როგორც შეურის მუშათა კლასის გამოჩენილი ავანგარდი. ხოლო წინადადება „მაკრატლის“ დაუყოვნებლივ ლიკვიდაციის შესახებ ნიშნავს ან დემაგოგიას, ან ლაშქარს მუშათა კლასის კეთილდღეობის წინააღმდეგ, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წინააღმდეგ, სოციალისტური მრეწველობისათვის მნიშვნელოვანი თანხების წართმევას და, მაშასადამე, კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის ჩაშლას, რაც შეუძლებლად გახდის თვით გლეხური მეურნეობის კეთილდღეობის გადიდებას. ასეთი წინადადებები სასარგებლოა მხოლოდ კაპიტალისტური სექტორისათვის და მიმართულია სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ.

ბუნებრივია რომ ფასების პოლიტიკით, რომელსაც ატარებს კომპარტია უკმაყოფილონი არიან ჩვენი გენერალური ხაზის მოწინააღმდეგენი, კრიტიკოსები მარჯვნიდან და „მარცხნიდან“. ტროცკისტები და მათი ცალკე ამყოლები ჩვენი პარტიის რიგებში ჯერ კიდევ ცდილობენ მოერთონ მემარცხენეობის ტანისამოსი, თურმე ნუ იტყვით, ისინი მზად არიან მრეწველობის გაშლას კიდევ უფრო სწრაფი ტემპით. მათი აზრით, ჩვენ ამისათვის სახსრები უნდა მივიღოთ სამრეწველო ფასების გადიდების გზით. მაგრამ პარტიისა და მუშათა კლასის უფართოესი ფენებისთვის სავსებით ნათელია ტროცკიზმის ამ პოლიტიკის მენშევიკური ბუნება. მრეწველობის შენება სამრეწველო ფასების გადიდების საფუძველზე ნიშნავს მის შენებას სოფლის წინააღმდეგ, გლეხობის ძირითადი მასის ინტერესების წინააღმდეგ, მის შენებას გლეხობასთან კავშირის გაწყვეტის საფუძველზე, მაშასადამე, ქვიშაზე. ამ მემარცხენე ფრაზის კაპიტულიანტური ბუნება არც ისე ძნელი გამოსაცნობია.

პარტიის ხაზს, თავისთავად ცხადია, მკაცრად აკრიტიკებენ აგრეთვე ბურჟუაზიის და კულაკების იდეოლოგები ქვეყნის შიგნით. ისინი მოითხოვენ „აღმდგენელი“ ფასების შემოღებას სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. ისინი იცავენ სამრეწველო ფასების მექანიკურად შემცირებას, ვინაიდან, მათი აზრით სოფლის მეურნეობა ჩიხში მოექცევა და ორგანიულ კრიზისს განიცდის. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ასეთი პროგრამა მიმართულია სოციალისტური ინდუსტრიის წინააღმდეგ და მაქსიმალურად უზრუნველყოფს პირობებს კაპიტალისტურ კულაკურ ელემენტების განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში.

ეს იდეოლოგია, რომელიც მიზნად ისახავს კაპიტალისტურ ელემენტებისათვის ხელფეხის გახსნას, ზეგავლენას ახდენს მუშათა კლასის ცალკე უმნიშვნელო ფენებზე, ჩვენი პარტიის ცალკე ელემენტებზე. განსაკუთრებით მკაცრად აკრიტიკებენ პარტიის პოლიტიკას ამ ბოლო დროს მემარჯვენე უკლონისტები და შემარიგებლები. ისინი პარტიის პოლიტიკას უწოდებენ ნახევრად ტროცკისტულს ან ტროცკისტულსაც კი. ისინი ცილს სწამებენ პარტიას იმაში, თითქოს ის ატარებდეს „გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის“ პოლიტიკას. ყველასთვის აშკარა ფაქტების წინააღმდეგ მემარჯვენენი და შემარიგებლები ამტკიცებენ, რომ თითქო პარტია სინამდვილეში ატარებდეს სამრეწველო ფასების გადიდების პოლიტიკას. ისინი აშკარად ადგებიან სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე „აღმდგენელ ფასების“ მოთხოვნის გზას.

რა იფარება მემარჯვენე უკლონისტებისა და შემარიგებლების ასეთი პროგრამის იქით? ისინი ცდილობენ „გლეხობის ფეოდალური ექსპლოატაციის“ შესახებ ლაყბობით დაფარონ გალაშქრება ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის წინააღმდეგ. მათი გალაშქრება სოციალისტური მრეწველობის სწრაფი განვითარების წინააღმდეგ აშკარად სჩანს იქედან, რომ ისინი მოითხოვენ „აღმდგენელი ფასების“ დაწესებას სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. „მაკრატლის“ დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია ნიშნავს ინდუსტრიალიზაციისათვის ლახვარის ჩაცემას: ის ნიშნავს მნიშვნელოვანი სახსრების წართმევას სოციალისტურ მრეწველობისათვის, რაც თავის მხრივ შეუძლებლად გახდის სოფლის მეურნეობის გარდაქმნას და გლეხობის ფართო მასების კეთილდღეობის გადიდებას.

მიუხედავად გააფთრებული იერიშებისა მარჯვნიდან და „მარცხნიდან“, პარტია ერთი ნაბიჯითაც არ უხვევს ერთად-ერთი სწორი ლენინური პოლიტიკის გზას. პარტია სისტემატიურ ბრძოლას აწარმოებს „მაკრატლის“ წინააღმდეგ, სისტემატიურად და გადაუხრელად ამცირებს დისპროპორციას სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ფასებს შორის. პარტია მომავალშიაც წმინდა ლენინური სიმტკიცით განახორციელებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ნიადაგზე, გლეხობასთან ეკონომიური თანამშრომლობის ნიადაგზე. ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერებით პარტია საუკეთესოდ უზრუნველყოფს მტკიცე ხაზის გატარებას საქონლის ნაკლებობის თანდათანობით დასაძლევად. ეს ხაზი პარტიას დასახული აქვს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან სპერსპექტივო გეგმაშიაც. მემარჯვენე უკლონისტების და შემარიგებლების ცილისწამება ჰაერში გამოკიდებული რჩება.

კომპარტია გადაუხრელად ატარებს ფასების პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს გლეხობასთან კავშირის განმტკიცებას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საფუძვლიანი რეკონსტრუქციის ნიადაგზე, მაგრამ სწორედ ამიტომ მან გაძლიერებული ყურადღებით უნდა ადევნოს თვალყური უკანასკნელ თვეების ფასების მოძრაობას, უნდა მოაწესრიგოს ეს ფასები სოციალისტური მშენებლობის ინტერესების სასარგებლოდ. მთელ რიგ სადეფიციტო საქონლის ნაკლებობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე მდგომარეობის ერთგვარი გამწვავების გამო უკანასკნელ თვეებში შემჩნეულია საცალო ფასების ნაწილობრივი ზრდა, რომელსაც საფუძვლად უდევს უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ფასების ზრდა. კულაკები და სპეკულიანტები კვლავ ცდილობენ ჩაშალონ ფასების სახელმწიფო მოწესრიგების პოლიტიკა. მაგრამ მით უფრო გადაჭრით უკუაგდებს პარტია ყოველგვარ ლაყბობას და „თეორიებს“ სამეურნეო ბრუნვის თავისუფლების შესახებ ქალაქსა და სოფელს შორის, „აღმდგენელი ფასების“ შესახებ და სხვ., პარტია არ წავა დათმობაზე კულაკისა და სპეკულიანტის წინაშე და მტკიცედ გაატარებს თავის პოლიტიკას.

კულაკების და სპეკულიანტების ცდა ჩაშალონ ვაჭრობის სახელმწიფო მოწესრიგების ფრონტი ძირშივე უნდა იქნეს აღკვეთილი. მეორეს მხრივ საჭიროა კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობა ჩვენი სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ორგანოებმა. სახელმწიფო და კოოპერატიულმა ვაჭრობამ ენერგიულად უნდა გაატაროს თავისი აპარატის რაციონალიზაცია და უნდა მიიღოს ზომები საქონლის ბრუნვის ხარჯების შესამცირებლად, რათა დაძლეულ იქნეს არასასურველი მოვლენა, რომელსაც უკანასკნელ დროს ადგილი ჰქონდა ფასების დარგში.

მკაფიო კლასობრივი ხაზის გატარებისა და სახელმწიფო და კოოპერატიული სექტორის ყველა ძალების ამოძრავების საფუძველზე ჩვენ დავძლევთ დაბრკოლებებს და ავიყვანთ ჩვენს მეურნეობას შემდგომ, უფრო მაღალ საფეხურზე.

„პრავდა“, 10 მარტი.

ოთხშაბათს, 13 მარტს, საღამოს 6 საათზე
სახელმწიფო ოპერის შენობაში
შესდგება
თბილისის პარტაქტივის საზეიმო სხდომა
პროფკავშირების, კომკავშირის, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივის მონაწილეობით
კომინტერნის 10 წ. თავის აღსანიშნავად
მომხსენებელი ამხ. მამია ორახელაშვილი

ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკას, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და თბილისის კომიტეტის და ლენინური კომკავშირის ცკას და თბილისის კომიტეტის წევრები შედიან თავიანთი მანდატებით, ხოლო სხვები— რაიონული კომიტეტების საქართველოს პროფსაბჭოს და თბილისის აღმასკომის მიერ გაცემული ბილეთებით.

გამოქვეყნდა პოლ.-რუმინეთის საიდუმლო ხელშეკრულება

„კელნიშე ცეიტუნგ“-ის სიტყვით ხელშეკრ. დადებულია ინგლისის კარნახით

ხელი მოაწერეს სპარსეთ-საბჭოთა კავშირის საბაჟო კონვენციას

პოლონეთ-რუმინეთის საიდუმლო ხელშეკრულება

ბერლინი, 10 მარტი. „კელნიშე ცეიტუნგ“-ი კომენტარიებს უკეთებს პოლონეთ-რუმინეთის საიდუმლო ხელშეკრულებას, რომელიც „ლეტუვოს აიდას“-ში დაიბეჭდა და სწერს:

„ის მთავრობები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ხელშეკრულებაში, ჩვეულებრივად შეეცდებიან უარჰყონ გაზეთის მიერ გამოქვეყნებული ცნობების სისწორე. მაგრამ ისინი ვერ მოახერხებენ დაარწმუნონ ქვეყანა, რომ ხელშეკრულება მათი საქმე არ არის. კოვნოს გაზეთის ცნობა სიმართლესთან მეტად ახლოა. **სრულიად ცხადია ის გარემოება, რომ საიდუმლო ხელშეკრულება შეეფერება ინგლისის სურვილს. მას სურს შეჰქმნას მჭიდრო ფრონტი საბჭოთა კავშირის ირგვლივ, რომ ომის გზით მიაღწიოს საბჭოთა სახელმწიფოს დაშლას შემადგენელ ნაწილებად და, ამნაირად, შეძლების დაგვარად დაასუსტოს იგი.** ცხადია, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები კატეგორიულად არ დაიწყებენ სამხედრო შეთანხმების არსებობის უარყოფას და აღნიშნავს, რომ არსებობს მხოლოდ „თავდაცვითი ხელშეკრულება“. მაგრამ ამას ეწინააღმდეგება ხელშეკრულების დადგენილება იმის შესახებ, რომ საშიშროების შემთხვევაში პოლონეთ-რუმინეთის გაერთიანებული ძალები დაუყოვნებლივ დაიწყებენ შეტევას. საშიშროების შექმნა კი, ცხადია, ყოველთვის ადვილად შეიძლება.

ვერავის ვერ დაარწმუნებენ იმაში, რომ თავდაცვითი ომი არსებითად შეტევით იმპერიალისტურ ომს არ წარმოადგენს — პირველ რიგში პოლონეთის მხრივ, რომელსაც უკრაინის ხელში ჩაგდების იმედი აქვს. **პოლონეთ-რუმინეთის ხელშეკრულება დაიდო მას შემდეგ, რაც პოლონეთი და საბჭოთა კავშირი კელოგის პაქტს შეუერთდნენ.** ამავე დროს რუმინეთმაც მოახდინა კელოგის პაქტისადმი შეერთების რატიფიკაცია. ამასთან ლიტვინოვის ოქმზე ხელის მოწერის შემდეგაც არაფერი არ ისმოდა იმის შესახებ, რომ პოლონეთმა და რუმინეთმა უარჰყვეს სამხედრო ხელშეკრულება. მაგრამ კიდევაც რომ განეცხადებიათ პოლონეთისა და რუმინეთის მთავრობებს, რომ კელოგის პაქტზე და ლიტვინოვის ოქმზე ხელის მოწერის შემდეგ სამხედრო ხელშეკრულება დაძველებულიაო, მაინც ეს ვერავის ვერ დააჯერებდა იმაში, რომ პოლონეთისა და რუმინეთის სამხედრო წრეები არ ფიქრობენ იმპერიალისტურ ომზე და დარწმუნებულნი არ არიან, რომ ინგლისი ომზე თანხმობას განაცხადებს. (ადს).

კოვნო, 10 მარტი. „ლეტუვოს აიდას“-ი განაგრძობს ცნობების ბეჭდვას პოლონეთ-რუმინეთის საიდუმლო ხელშეკრულების შესახებ, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირისა და ლიტვის წინააღმდეგ. გაზეთი იუწყება, რომ ხელშეკრულებას ხელი მოაწერის ბუქარესტში 1928 წლის 1-ლ ოქტომბერს პოლონეთის სამხედრო მინისტრმა და რუმინეთის გენერალური შტაბის უფროსმა. გაზეთი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება ადასტურებს ხმებს იმის შესახებ, რომ პილსუდსკის მომხრეებს უნდათ საბჭოთა კავშირიდან უკრაინის ჩამოშორება და რომ პოლონეთსა და რუმინეთს იმედი აქვთ სხვა სახელმწიფოების დახმარებისა. გაზეთი სწერს:

„გეგმის შედგენა უფრო ადვილია, ვიდრე მისი შესრულება, უკრაინის ჩამოშორების გეგმა შეიძლება ცუდი არ იყოს პოლონეთისათვის, მაგრამ ამ გეგმას აკლია ერთი აუცილებელი პირობა, სახელდობრ—თვით უკრაინელთა სურვილი. არავის არ შეუძლია მოგვცეს იმის გარანტია, რომ პილსუდსკი არ შეუდგება ავანტიურისტული გეგმების შესრულებას. ამიტომ, მიუხედავად კელოგის პაქტისა და მოსკოვის ოქმისა, აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობა არ იქნება უზრუნველყოფილი იმ დრომდე, სანამ პოლონეთის ავანტიურისტები ხელმძღვანელობენ. სანამ საერთოდ, არ შეიცვლება [illegible] მდგომარეობა. როდესაც ერთი ხელით მოსკოვის ოქმს აწერდნენ, პოლონეთი და რუმინეთი მეორე ხელით აწერდნენ საიდუმლო ხელშეკრულებას ბუქარესტში იმ მიზნით, რომ დიდი ომი გამოიწვიონ“. (ადს).

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის საბაჟო კონვენცია

თეირანი, 10 მარტი. ხელი მოაწერეს სპარსეთ-საბჭოთა კავშირის საბაჟო კონვენციას და მის დამატებას—ცალკე ოქმს. ეს კონვენცია საბჭოთა საქონლის დაბეგვრისათვის აწესებს ყველაზე უფრო მეტი ხელის შეწყობის პრინციპს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კონვენციის დამატებით ოქმს. ინგლის-სპარსეთის იმ საბაჟო კონვენციის თანახმად, რომელიც 1928 წლის მაისში იქნა დადებული, სპარსეთს უფლება აქვს გაადიდოს ნიხრი ინგლისის მიერ შეტანილ ზოგიერთ პროდუქტზე, თუ ინგლისის მთავრობა გაადიდებს სპარსეთის საქონლის დაბეგვრას. სპარსეთ-საბჭოთა კავშირის დამატებითი ოქმი ითვალისწინებს, რომ ამ წესით სპარსეთის მთავრობის მიერ უცხოეთის საქონლის დაბეგვრა არ შეიძლება შეეხოს იმ საქონლის განსაზღვრულ ჯგუფს რომლის შეტანაში დაინტერესებულია საბჭოთა კავშირი (შაქარი, ნავთის პროდუქტები, მანუფაქტურა და სხვ.) ეს კონვენცია თავისი დამატებითი ოქმით არ საჭიროებს რატიფიკაციას, ძალაში შევა ხელის მოწერიდან 14 დღის შემდეგ და ძალაში დარჩება 1936 წლის 10 მაისამდე. თუ ამ ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე არც ერთმა მხარემ არ განაცხადა თავისი სურვილი კონვენციის გაბათილების შესახებ, კონვენცია მომავალშიაც ძალაში დარჩება და შეიძლება გაბათილებულ იქნას მხოლოდ იმ გზით, თუ ამის შესახებ მხარეები ერთმანეთს ექვსი თვით ადრე აცნობებენ. (ადს).

აჯანყება მექსიკაში

ნიუ-იორკი, 10 მარტი. მექსიკიდან მიღებული ცნობით, აჯანყებულებმა დაიჭირეს ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების ჩრდილო-ეთის მოსაზღვრე ქალაქი სოუდად-ხუარესი. მთავრობის ჯარმა დაიხია ელ-პასოსაკენ (ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების ტერიტორია). კულიჯმა აკრძალა კომერციული აეროპლანების გატანა მექსიკაში, რომლებიც მექსიკის მთავრობამ შეიძინა. ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატების სამხედრო სამინისტრო მექსიკის მთავრობას აწვდის სამხედრო მოწყობილობას. იუწყებიან, ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობას განზრახვა აქვს, რომ მექსიკის მთავრობას ნება დართოს შეერთ. შტატების ტერიტორიაზე გადაიყვანოს ჯარი აჯანყებულებისათვის ზურგიდან დასახმელად. მექსიკის მთავრობა ოფიციალურად იუწყება, რომ მისი ხელისუფლება ვერა-კრუცში აღდგენილ იქნა. აჯანყებულები ამტკიცებენ, რომ დაიჭირეს წყნარ-ოკეანის უდიდესი ნავთსადგური მექსიკისა—მაზატლანი. (ადს).

ანტი-ფაშისტური კონგრესი

კონგრესის პრეზიდიუმი

ბერლინი, 10 მარტი. ბერლინის პროფკავშირთა სახლის დარბაზში გაიხსნა ანტიფაშისტური კონგრესი.

პრეზიდიუმში არჩეულთა შორის არიან: **ბარბიუსი, ბიტნერი, სტაროვი, ევრეინოვი და მიუნცენბერგი.** პრეზიდიუმის საპატიო წევრებად არჩეულ იქნენ ციხეებში მჯდომნი: **ტერაჩინი, გრამში, გოფმაიერი, რაკოში, დობროჯეანუ, ბაჩინსკი, მარტი** და სხვანი. დაიწყო ბარბიუსის მოხსენება შემდეგ თემაზე „ფაშიზმი, იმპერიალიზმი და ომის საფრთხე“.

ამხ. ჰანრი ბარბიუსის მოხსენება

ბერლინი, 10 მარტი. ამხ. ბარბიუსმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ერთად ერთი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც ადგილი არ აქვს ფაშიზმს, არის საბჭოთა კავშირი, ბარბიუსი საჭიროდ სთვლის ფაშიზმთან ბრძოლის შემდგომ მომზადებას და ამ ბრძოლის ხელმძღვანელი ორგანიზაციის შექმნას.

ფაშიზმი სხვადასხვა ქვეყნებში

ბერლინი, 10 მარტი. უნგრელმა დელეგატმა **კარელიმ** თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ფაშიზმს უნგრეთში განსაკუთრებული ფორმები აქვს და ნახევარ ფეოდალურ ტრადიციებს ემყარება. უნგრეთის ფაშიზმს მშრომელი მასები სურს გამოიყენოს იარაღად იტალიის იმპერიალიზმის მიზნებისათვის. უნგრეთი ომისათვის ემზადება ტრიანონის ხელშეკრულების გადასინჯვის ლოზუნგით.

ჩეხო-სლოვაკიის დელეგატებმა თავის სიტყვაში დაახასიათეს მშრომელი მასების დაუნდობლად ჩაგვრა ჩეხის გაბატონებულ კლასების მიერ და განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი ფაშისტური ტერორის საშინელებას პრიკარპატსკაია რუსში.

მემარცხენე ბურჟუაზიული ლიტერატორი **მანფრედ გეორგი** თავის სიტყვაში აცხადებს, რომ გერმანიაში რევოლიუციონურ მონაპოვართაგან არაფერი არ დარჩა. სოციალ-დემოკრატიამ სულიერად გაანადგურა მუშათა კლასი. გეორგმა ხაზი გაუსვა ფაშიზმის უშუალო საფრთხეს გერმანიაში. ინგლისელ უმუშევართა ლაშქრობის (ლონდონში) ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **მილიტანტმა** აღნიშნა, რომ კონტინენტალურ ევროპაში ფიქრობენ, რომ ინგლისში არ არსებობს ფაშიზმი. ფაშისტური ტენდენციების არსებობას ინგლისში ახასიათებს კანონი პროფკავშირთა წინააღმდეგ, დემოკრატიული სულის მოსპობა სოციალური უზრუნველყოფის დარგში და მოლაპარაკება მრეწველობაში მშვიდობიანობის დამყარების საკითხზე. ორატორის სიტყვით, აღფრთოვანებული შეხვედრა, რომელიც ლაშქრობაში მონაწილე უმუშევრებს მოუწყვეს მრავალი ქალაქების და სოფლების მუშებმა, ამტკიცებს, რომ ინგლისის მუშათა კლასი მზად არის ფაშიზმის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შვეიცარიის პარლამენტის კომუნისტ დეპუტატმა **ველტიმ** თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ შვეიცარიაც, რომელსაც „დემოკრატიის უძველეს ქვეყანას“ უწოდებენ, ამჟამად ფაშიზმის გავრცელების ასპარეზს წარმოადგენს.

ამის დასამტკიცებლად ველტიმ მოიყვანა მრავალი მაგალითი: ვოროვსკის მოკვლა, მის მკვლელის გამართლება, ანტი-ფაშისტური მოძრაობის ჩახრჩობა ხელისუფლების მიერ, ფაშიზმის აშკარად გავრცელება შვეიცარიის იტალიელებით დასახლებულ ნაწილში.

შემდეგ გამოვიდა გერმანიის კომპარტიის ცკას წევრი **ჰეკერტი,** რომელმაც მთელი რიგი ფაქტებით დაახასიათა, რომ ფაშიზმს ნამდვილი წინამორბედნი და ხელისშემწყობნი ყველგან არიან რეფორმისტები: ესპანეთში რეფორმისტული პროფკავშირები თანამშრომლობენ დიქტატორ პრიმა დე რივერას მთავრობასთან, საფრანგეთში პოლ ბონკური ავტორია მილიტარისტული კანონისა, „ნაციონალური მობილიზაციის“ შესახებ, რევოლიუციონური მოძრაობის ჩახრჩობამ 1919 წელს სოციალ-დემოკრატ ნოსკეს მეთაურობით მომზადება მონარქისტული გადატრიალების ცდა 1920 [illegible]

მ ე რ ვ ე წ ე ლ ი

ამიერ-კავკასიის ფედერაცია პროლეტარულმა რევოლიუციამ წარმოშვა. იგი დაარსდა ბაქოს პროლეტარიატის ინიციატივით და მას სიხარულით დაუჭირეს მხარი მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელმა მასებმა, მიუხედავად კონტრ-რევოლიუციონური ანტისაბჭოთა ჯგუფების, სხვადასხვა სახის ნაციონალურ უკლონიზმის წინააღმდეგობისა.

საბჭოთა გადატრიალება ჩვენს რესპუბლიკებში და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის შენება ბოლშევიკების ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ნიშნავდა ბოლოს მოღებას მშრომელი მასების იმ ხოცვა-ჟლეტისათვის, რომელიც რეაქციონური იმპერიალიზმის მითითებით გააჩაღეს კერძო „ნაციონალური“ საკუთრების ერთგულმა ფინიებმა — მენშევიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატელებმა. მაგრამ გამარჯვების განსამტკიცებლად და სოციალისტური რევოლიუციის დადებითი პროგრამის გასაშლელად საჭირო იყო ამიერ-კავკასიის ხალხების მტკიცე სამხედრო-პოლიტიკური და სამეურნეო-კულტურული კავშირის შექმნა ერთის მხრით, და კავშირის განმტკიცება საბჭოთა ნიადაგზე მოწყობილ დანარჩენ სახელმწიფოებთან, მეორეს მხრით. შეეძლოთ თუ არა პროლეტარული რევოლიუციით განთავისუფლებულ ამ.-კავკასიის ხალხებს უარი ეთქვათ ურთიერთ „ადგილობრივ“ კავშირზე და პირდაპირ შესულიყვნენ საბჭოთა კავშირში? რასაკვირველია, შეეძლოთ. მაგრამ, ისინი კავშირში შევიდნენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის საშუალებით. და სწორეც მოიქცნენ. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ადგილობრივი ეროვნული შუღლის აღმოფხვრა. რუსეთის პროლეტარიატმა დაამხო ბურჟუაზიის ხელისუფლება და ამასთან ერთად გაალო ბურჟუაზიულ-მემამულეთა რუსეთის „ხალხთა ციხის“ რკინის კარები. ლენინურმა რუსეთმა გაანთავისუფლა ყოფილი ჩაგრული ხალხები და დაამყარა მათთან მეგობრული კავშირი საერთო მტრების და სამეურნეო-კულტურული ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ბრძოლის ნიადაგზე. მოისპო ეროვნული მტრობა „რუსეთის“ და სხვა ხალხებს შორის. ხომ არ ნიშნავდა ეს იმას, რომ მოისპო იმ ეროვნული მტრობის ნაშთები, რომელიც ამიერ-კავკასიაში დასთესეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა და შოვინისტურმა პარტიებმა? განა საკმაო იყო კომუნისტური პარტიის ცარიელი ქადაგობა ინტერნაციონალიზმის შესახებ და ის, რომ „ქართველს“ თანამოძმედ ეცნო „სომეხი“ და ძმურად გადახვევოდა მას, რომ სომეხს შეეყვარებია „თურქი“ და სხვ.? არა, ჩვენი ინტერნაციონალიზმი არის არა პლატონიური, არა მწიგნობრული, არამედ ნამდვილი ინტერნაციონალიზმი. იგი ახასიათებს პროლეტარიატს, ყოველ კომუნისტს, ყოველ ლენინელს; მაგრამ იმისათვის, რომ ეს იდეა შეეთვისებია ფართო მასებს, ჩვენს პირობებში საჭირო იყო ჩამოყალიბებული ორგანიზაციები დაწყებული ქვედა საფეხურიდან და გათავებული სახელმწიფო ორგანიზაციით, ამიერ-კავკასიის ფედერაცია არის ინტერნაციონალური სოლიდარობის სწორედ ასეთი სახელმწიფო ორგანიზაცია. ამიერ-კავკასიის ფედერაცია არის იარაღი ეროვნული შუღლის საბოლოოდ აღმოსაფხვრელად ხალხებს შორის, რომლებსაც ჯერ კიდევ გუშინ უსისიანებდნენ ერთმანეთს და, რომლებიც დღეს ჩაბმულნი არიან სოციალისტურ მშენებლობაში. ამიერ-კავკასია — ეროვნული მშვიდობიანობის ორგანოა პირველ რიგში. მაგრამ ეს მშვიდობიანობა ჩვენ გვესაჭიროება საბჭოთა სისტემის განსამტკიცებლად და გასაუმჯობესებლად, სოციალიზმის მშენებლობისათვის, პირველ რიგში გეგმიანი ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის გადასაყვანად კოლექტივიზაციის ნიადაგზე და კულტურული ზრდისათვის. ამიერ-კავკასიის ფედერაცია მოწოდებულია იყოს და არის კიდევაც ისეთი საშუალება, რომელიც აადვილებს მთელი სამეურნეო და კულტურული პროცესია გეგმიან ხელმძღვანელობას, იმ პროცესს, რომელიც ასე სწრაფად იზრდება ყოველ წლობით ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკაში. დაბოლოს, ამიერ-კავკასიის ფედერაცია მოწოდებულია იყოს და კიდევაც არის ჩირაღდანი. ეს ჩირაღდანი აძლიერებს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის უდიდესი შუქურას სინათლეს, რომელიც უნათებს გზას ურთიერთ დაახლოებისა იმ ხალხების საბჭოთა ფედერაციის ნიადაგზე, რომლებიც დაამსხვრევს ფეოდალური ტყვეობისა და ბურჟუაზიული ექსპლოატაციის ბორკილებს. ამ ინსტრუმენტის მოვლა, მისი დაცვა ყოველგვარი ჟანგისაგან, სულ მცირეოდენი ლაქის თავის დროზე მოშორება, მისი შემოწმება, — მშრომლების, მათი ხელისუფლებისა და მათი პარტიის საერთო მოვალეობას შეადგენს. სწორედ ამ მოვალეობას ვასრულებდით დღემდე.

ეხლა კი შევუდექით ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმობისა და სოლიდარობის ამ არსენალის ერთდროულ და ყოველ მხრივ შემოწმებას.

მარქსის სიტყვით, პროლეტარული რევოლიუციები, ბურჟუაზიული რევოლიუციებისაგან განსხვავებით, „განუწყვეტლივ უწევენ კრიტიკას თავის თავს, სწყვეტენ თავის მსვლელობას, ბრუნდებიან უკან და ხელახლად იწყებენ იმას, რაც, ალბად, უკვე დამთავრებულია, დაუნდობელი სიმკაცრით დასცინიან თავისი პირველი ცდების გაუბედაობას, სისუსტეს, ნაკლოვანებებს“.

დიადი პროლეტარული რევოლიუცია, რომლის ცხოველმყოფელი ელვა უკვე მე-12 წელია ეფინება მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილს — საბჭოთა ქვეყანას, შევიდა უმკაცრესი თვითკრიტიკის პერიოდში. მიუხედავად ბურჟუაზიული გარემოცვის მგლებისა და ტურების ღმუილისა, მიუხედავად კულაკურ-ნეპმანური ელემენტების კბილთა-ღრჭენისა, ჩვენი ძლევამოსილი სოციალისტური რევოლიუცია არ სწყვეტს თავის მსვლელობას, დაუნდობელი სიმკაცრით აკრიტიკებს თავის თავს, აკრიტიკებს სოციალიზმის გეგმიანი მშენებლობის სისუსტეს და ნაკლოვანებებს, ლენინური პარტიის პოლიტიკური დირექტივების განხორციელებას, აგრეთვე განვლილი და გასავლელი გზის იდეოლოგიური გაშუქების შეცდომებს. კრიტიკის იარაღის ასეთი გამოყენება აუცილებლად ესაჭიროება ჩვენს რევოლიუციას, იგი აუცილებელი ელემენტია ჩვენი რევოლიუციის სიმტკიცისა და უძლეველობის, იგი, ამავე დროს ერთგვარი „საწამლავია“ არალეგალური მენშევიზმის, დაშნაკიზმის, მუსავატიზმის, ტროცკიზმის და სხვ. წინააღმდეგ. თვითკრიტიკის იარაღით საბოლოოდ ვსძლევთ მემარჯვენე-ოპორტუნისტულ გადახრასაც.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია და მასში შემავალი ძირითადი რესპუბლიკები ავტონომიებით, საბჭოთა კავშირის სხვა დანარჩენ ეროვნულად ჭრელ რაიონებთან ერთად ეხლა იწყებს გენერალურ თვითშემოწმებას და თვითკრიტიკას.

კომისია საკავშირო პარტიულ-საბჭოთა იმ ორგანოსი (ცენტრ. საკონტრ. კომისიის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატისა), რომელსაც მეთაურობს ამხ. სერგო ორჯონიკიძე, უკვე შეუდგა მუშაობას. მას მიზნად აქვს დაგვეხმაროს ამ თვითშემოწმებასა და თვითკრიტიკაში, რისთვისაც მან უნდა გამოარკვიოს: რამდენად შეთანხმებული იყო ჩვენი ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკა ინტერნაციონალიზმის კლასობრივ პოლიტიკასთან; იყო თუ არა შეცდომები სხვადასხვა ეროვნებათა მშრომელების ფართო მასებს შორის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული რევოლიუციის განხორციელების დროს; ჩვენი სახელმწიფო მექანიზმის რომელი ელემენტები მოისუსტებენ და როგორ უნდა ავამოძრავოთ ეს ელემენტები, რათა მთელმა მექანიზმმა მთლიანად და მისმა ცალკე ნაწილებმა იმუშაონ უკეთესად, ვიდრე დღეს მუშაობენ.

ამიერ-კავკასია თავისი არსებობის მერვე წელს იწყებს რევოლიუციონური თვითშემოწმების მეტად სერიოზული აქტით. ეს ახალი საბაზია მისი მტრების გულის გასახეთქად და მისი მეგობრების სასიხარულოდ.

მამია ორახელაშვილი.

ა.-კ. ცაკის მიმართვა

საბჭოთა ამიერ-კავკასიის მუშებს და გლეხებს

დღეს ერთმანეთს ხვდება ორი უდიდესი ისტორიული მოვლენა იმ ხალხთა ცხოვრებაში, რომელნიც საბჭოთა კავშირში და ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში მოსახლეობენ. ამ დღეს 1917 წლის 12 მარტს, რუსეთის პროლეტარიატმა დაამხო თვითმპყრობელობა და ის, დიდი ბელადის ლენინისა და მისი პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ოქტომბრის რევოლიუციის გზით, მივიდა პროლეტარულ დიქტატურამდე დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში.

1922 წლის 12 მარტს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მშრომელებმა შეჰქმნეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია—ნაციონალური მშვიდობიანობისა და ხალხთა ძმობის დასაყრდენი სოციალისტური მშენებლობის გზაზე.

პროლეტარიატის დიქტატურის ეს შვიდი წელი ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში იყო ხანა სოციალიზმის დიად მშენებლობისა და მშენებლობის ზრდის სიძნელეთა გადალახვისა. ჯერ კიდევ მრავალი რთული ამოცანა გვიდგას წინ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა, კოლექტივიზაციისა და კოოპერაციაში გლეხთა მეურნეობების საყოველთაო ჩაბმის საფუძველზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საქმეში, შემოსავლიანობის აწევისა და მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას შორის კავშირის შემდგომი განმტკიცების საქმეში. მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა თავისი ავანგარდის — კომპარტიის ხელმძღვანელობით, წარმატებით დასძლევენ ამ ამოცანებს და გასწევენ წინ ახალი გამარჯვებისაკენ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, ოქტომბრის დიდ მონაპოვართა და საბჭოთა კავშირის საზღვრების დაცვის ფრონტზე.

გაუმარჯოს დიად პროლეტარულ რევოლიუციას!

ძირს ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ნაშთები!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას — ამიერ-კავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური ძმობის ჩირაღდანს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს წითელ არმიას — პროლეტარული დიქტატურის დამცველს!

გაუმარჯოს კომინტერნს — კომუნიზმისათვის მებრძოლ ავანგარდსა და დიადს შტაბს!

გაუმარჯოს მის სახელოვან სექციას — ლენინურ საკავშირო კომპარტიას (ბ)!

ამ.-კავკ. ცენტ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე მიხა ცხაკაია.
ამ.-კავ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მდივანი ს. იაკუბოვი.

ო რ ი დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ი

(1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლიუცია და ა.-კ. ფედერაციის 7 წლის თავი)

1905 წლის რევოლიუციამ ძლიერ შეარყია თვითმპყრობელობის საფუძვლები და, თუმცა მუშათა კლასი მაშინ დამარცხდა, მაგრამ მან უდიდესი გამოცდილება შეიძინა ამ გენერალური რეპეტიციით“.

შემდეგ დადგა „შავი რეაქცია“ (1907—1917), რომლის დროსაც რევოლიუციონური მუშები იძულებულნი გახდნენ არალეგალურ მუშაობაზე გადასულიყვნენ. დიდ დამარცხებათა მიუხედავად, მუშათა კლასი განაგრძობდა მედგარ ბრძოლას.

1914 წელს დაიწყო მსოფლიო ომი, რომელმაც მრავალი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სამხედრო ხარჯები დღითი-დღე იზრდებოდა.

ხალხი საკმაოდ აღარ იყო მიწის დასამუშავებლად და ნათესი სივრცე ძლიერ შემცირდა. ფაბრიკა-ქარხნების უმრავლესობა ომის საჭიროებისათვის მუშაობდა. სახალხო მეურნეობა თანდათან იფიტებოდა, მუშებისა და გლეხების მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა. ხალხმა ვეღარ აიტანა ყოველივე ეს. დაიწყო ეკონომიური გაფიცვა, რომელმაც რამდენიმე დღის შემდეგ პოლიტიკური ხასიათი მიიღო. აჯანყებულმა მუშებმა, რომლებსაც სამხედრო ნაწილებიც შეუერთდნენ, დაამხვეს სისხლიანი ნიკოლოზის თვითმპყრობელობა. ხელისუფლება ჩაიგდეს სახელმწიფო სათათბიროს წევრებმა — მილიუკოვებმა, გუჩკოვებმა და კომპანიამ, რომლებიც განაგრძობდნენ იმავე პოლიტიკას, —ომი გამარჯვებამდე. მიწა, ფაბრიკები და ქარხნები ისევ მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელში დარჩა. ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. რევოლიუცია ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა, იგი იპყრობდა სულ ახალ და ახალ სფეროებს, კერენსკის და „კადეტების“ მთავრობას, რომელიც დაკავშირებული იყო მენშევიკებთან და ესერებთან, არ შეეძლო მიეცა ხალხისათვის არც ზავი, არც პური და არც თავისუფლება, ვინაიდან იგი იყო ომის მთავრობა...

მუშათა კლასმა მოიშორა მეფის უღელი, მაგრამ მან ვერ გაინთავისუფლა თავი კაპიტალისტური ბორკილებისაგან.

პროლეტარიატი, რომელსაც ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) დიდი ლენინის მეთაურობით. მოითხოვდა ხელისუფლების გადაცემას მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებისათვის. ხანგრძლივი და მედგარი ბრძოლა დასჭირდა მუშათა კლასს ლენინის გენიალური ხელმძღვანელობით, სანამ დაემხობოდა მემამულეთა და კაპიტალისტთა მართვა-გამგეობა და ქვეყნის ერთად-ერთ პატრონებად გახდებოდნენ მშრომელნი. ამრიგად, მარტის რევოლიუციამ გზა გაუკაფა დიად ოქტომბერს.

გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს და მის ბელადს — კომინტერნს!

* * *

გადავიდეთ ეხლა ა.-კ. ფედერაციის 7 წლის თავზე.

ამიერ-კავკასია მთელი თავისი მრავალი ერთიანი და მრავალტომიანი მოსახლეობით ყოველთვის წარმოადგენდა ეროვნული შუღლისა და ნამდვილი ომების ასპარეზს.

მეფის მთავრობა აღვივებდა ეროვნულ შუღლს და ამით ფიქრობდა თავი ეხსნა მომავალი რევოლიუციისაგან. — გაჰყავ და იბატონე — აი ტირანიის ყველა ფორმების პრინციპი.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლიუციამ, რომელმაც იფეთქა ჯერ პეტროგრადში და შემდეგ ელვასავით მოედო მთელ ყოფილ რუსეთის იმპერიას, პირველი სტიმული მისცა ყოფილი რუსეთის ნაწილების სეპარატიულ გამოყოფას. მაგალითად, რუსეთს ჩამოშორდა ამიერ-კავკასია ქართველი მენშევიკების, სომეხი დაშნაკების და აზერბეიჯანელი მუსავატისტების მეთაურობით

ოქტომბრის შემდეგ რევოლიუციის მტრებმა — რეაქციონურმა და შოვინისტურმა პარტიებმა, ანტანტის დირექტივით, გამოაცხადეს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა საბჭოთა რესპუბლიკისაგან. „ამ.-კავკასიის სეიმში“, დროებით თითქოს გაერთიანდა სამი „დემოკრატიული“ რესპუბლიკა —აზერბეიჯანი, სომხეთი და საქართველო. ამ გაერთიანებამ იარსება სულ თვენახევარი და მერე კი დაიღუპა. ამას შემდეგ შეიქმნა სამი რესპუბლიკა

კა: აზერბეიჯანი, სომხეთი და საქართველო, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ზემოხსენებული წვრილბურჟუაზიული პარტიები — მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატისტები. ამავე დროს ამიერ-კავკასიაში სამხედრო და პოლიტიკური ბატონობა იმპერიალისტების ხელში იყო. დაიწყო განუწყვეტელი ომები ერთმანეთს შორის: სომეხ-ქართველთა, სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა, რბევა, სიმშილი და საყოველთაო ანარქია.

ამიერ-კავკასიის მშრომელნი განიმსჭვალნენ იმ აზრით, რომ ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გარეშე შეუძლებელი იყო ეროვნული მშვიდობიანობა და სამეურნეო მშენებლობა. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ერთი ერთმანეთის მოყოლებით მოხდა მუშათა და გლეხთა აჯანყებები და ჩრდილოეთის —რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ძმური მუშურ-გლეხური წითელი არმიის დახმარებით აქ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

1920 წლის აპრილში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აზერბეიჯანში, იმავე წლის ნოემბერში — სომხეთში, ხოლო ყველაზე უფრო გვიან —1921 წლის თებერვალს — საქართველოში. ამრიგად, საბჭოთა რევოლიუციის ფრონტი გაიმართა რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკებიდან ჩრდილოეთ-კავკასიით ამიერ-კავკასიისაკენ, და კასპის ზღვიდან სომხეთით და საქართველოთი შავი ზღვისა და მცირე აზიისაკენ.

ამ რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე საგრძნობი შეიქნა, რომ საჭიროა ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსება ამიერ-კავკასიის ხალხების გაერთიანება პოლიტიკურ და ეკონომიურ კავშირში.

ლენინი სწერდა: „რესპუბლიკების ფედერაცია პრინციპიალურად ჩაითვალოს აბსოლიუტურად სწორად, და იგი აუცილებლად განხორციელდეს".

ამიერ-კავკასიის ხალხებმა შეიგნეს, რომ ერთი-ერთმანეთისაგან განცალკევებულად ისინი ვერ განვითარდებიან, ხებს და აგრეთვე წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ გარეშე ძალას — იმპერიალისტებს. ეროვნული მშვიდობიანობის განმტკიცება და ამიერ - კავკასიის ხალხების შემდგომი დაახლოვება ძმური სოლიდარობის საფუძველზე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა რესპუბლიკები გაერთიანდებიან სოციალისტური რესპუბლიკების მთლიან კავშირში.

1922 წლის 12 მარტს ა.-კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების სრულუფლებიანმა კონფერენციამ მიიღო საკავშირო ხელშეკრულება (ამ.-კავკასიის საბჭ. სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანება კავშირში), ხოლო იმავე წლის დეკემბერში —ამ.-კავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების პირველ ყრილობაზე ჩამოყალიბდა ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა, რომელშიაც შედიან აზერბეიჯანი, სომხეთი. და საქართველო და აზერბეიჯანის და საქართველოს ს.ს. რესპუბლიკებში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები.

ა.-კ. ფედერაცია დაარსდა ყველა მშრომელთა ნებისყოფის თანახმად, ა.-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკაში მოსახლე ყველა სრული თანასწორობის საფუძველზე.

შვიდმა წელმა განვლო ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსების შემდეგ და ჩვენ ვხედავთ, რომ მეფის რუსეთის ნანგრევებზე, მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატისტების მიერ შექმნილი უკიდურესად გამწვავებული ნაციონალურ-პოლიტიკური ატმოსფერის ნანგრევებზე, მშრომელი ხალხების შემოქმედებითი ენერგიით და კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიაში დამყარდა მტკიცე ეროვნული მშვიდობიანობა, ამიერ-კავკასიის ყოველ კუთხეში ჰყვავის ეროვნული კულტურა, იზრდება სოციალისტური მშენებლობა. ამიერ-კავკასია, მტკიცედ გაერთიანებული დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან, წინ მიდის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გზაზე. ყოველივე ეს ხორციელდება პროლეტარიატის დიქტატურის დროს, პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის მჭიდრო კავშირის პირობებში, და ლენინური საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით.

წლითი-წლობით იზრდება ახალი ელექტრო-სადგურები (ზაჰესი, ერევნის, განჯის და მთელი რიგი სხვა სადგურები); შენდება ქარხნები და ფაბრიკები ბაქოში, განჯაში, თბილისში. ბუნებრივია, რომ მრეწველობის ზრდასთან ერთად მუშათა რიცხვიც იზრდება.

სოფლად იზრდება კოლექტიური მშენებლობა. ფართოვდება ნათესის სივრცე, მიწის დამუშავების პრიმიტიულ წესებიდან გადავდივართ გაუმჯობესებულ წესებზე, პირველყოფილ კავს ვცვლით გუთნით, ტრაქტორით და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით.

სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სწრაფ და უნახავ ზრდას. ბუნებრივია, რომ დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე ეს რესპუბლიკები ვერ მიაღწევდნენ იმ შედეგებს, რასაც მიაღწია თვითეულმა მათგანმა ამიერ-კავკასიის მთლიან სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში, რომელიც საბჭოთა კავშირში შედის.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას! !

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხების ძმურ გაერთიანებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მთლიან ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!

გაუმარჯოს ლენინურ კომინტერნს — მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის დიად შტაბს — და მის სახელოვან სექციას ლენინურ საკავშირო კომპარტიას (ბ) — საბჭოთა კავშირის დამაარსებელს!

დეე, ყოველთვის სცოცხლობდეს მასში ნამდვილი ლენინიზმი — რევოლიუციონური მარქსიზმი — მეცნიერული კომუნიზმი. დეე, შორს უკუაგდოს მან თავისი წრიდან ყველა კონტრ- რევოლიუციონური ტროცკისტები და აშკარა ოპორტუნისტული მემარჯვენე გადახრა და მასთან შემარიგებელნი!

მიხა ცხაკაია.

საქართველოს ცაკის მისალმება

ა.-კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს

ა.-კ. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების ფედერაციის არსებობის ექვსი წლის თავის აღსანიშნავად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოგიძღვნით მხურვალე ძმურ სალამს.

ჯერ თვითმპყრობელობის და შემდეგ მენშევიკ-მუსავატ-დაშნაკების ბატონობის დროს მთელი ამიერ-კავკასია გადაქცეული იყო ეროვნულ შუღლისა და ხოცვა-ჟლეტის ასპარეზად. ამას ბოლო მოუღო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ, რომელმაც ამიერ-კავკასიის ყველა ეროვნებას შორის დაამკვიდრა ნამდვილი ძმური სოლიდარობა. ეს სოლიდარობა კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა და განმტკიცდა ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოც. რესპუბლიკების ფედერაციის დაარსებით. ეროვნულ მტრობისა და შუღლის სანაცვლოდ დღეს მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელი მასები, განურჩევლად ეროვნებისა, დარაზმული არიან კლასიური შეგნებით, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით როგორც შინაურ, ისე საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

საქართველოს მუშები და გლეხები ღრმად დარწმუნებული არიან, რომ სწორედ ასეთი ძმური სოლიდარობა წარმოადგენს საუკეთესო თავდებს ჩვენი პოლიტიკური სიძლიერისა, ყოველგვარი ნაყოფიერი მშენებლობისა და სოციალიზმის საბოლოოდ დამყარებისათვის.

გაუმარჯოს ერთა შორის სოლიდარობას!!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის წინამძღოლს კომინტერნს და მის სახელოვან სექციას ლენინის საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!

გაუმარჯოს ა.-კ. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების ფედერაციას!

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
ს. ს. ცაკ-ის მდივანი **ი. ვარძიელი**

ყალბი დოკუმენტების დამმზადებელთა საქმე

როგორ მუშაობდა ორლოვის კომპანია

ბერლინი, 10 მარტი. „ველტ ამ აბენდ"-ი განაგრძობს ცნობების ბეჭდვას, რომლებიც შეეხება ყალბი დოკუმენტების დამზადებაში მონაწილეთა კავშირს გერმანულ დაწესებულებებთან.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ორლოვი მუდმივი სტუმარი იყო ბერლინის პოლიცეი-პრეზიდიუმის პოლიტიკური განყოფილებისა. ყოველს შემთხვევაში 1925 წლის გაზაფხულიდან. თავის დროზე მან მოახერხა, რომ პოლიცეი-პრეზიდიუმი დახმარებოდა მეფის ყოფილ ოფიცერს ზივერტს, რომელიც მუშაობდა ბერლინის პოლიციაში. 1919 წლიდან ზივერტი მუშაობდა ვეისმანთან, ხოლო შემდეგ, ამ უკანასკნელის თანხმობით, ის სცდილობდა შესულიყო საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაში. მან რომელიღაც შეკითხვით მიმართა საბჭოთა წარმომადგენლობას და შეკითხვაზე წერილობითი პასუხი მიიღო. ამასთან საპასუხო წერილის სათაურები გამოიყენა ყალბი დოკუმენტების დასამზადებლად.

შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ უკანასკნელ ხანებში ყალბი დოკუმენტების დამმზადებლები არა ერთხელ გაემგზავრნენ პარიზში იმ მიზნით, რომ იქ განევითარებინა ყალბი დოკუმენტების გავრცელების საქმე. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ორლოვი მრავალი წლების განმავლობაში ბერლინის პოლიციასთან თამაშობდა სპეციალისტის როლს იმ საკითხებში, რომლებიც შეეხებოდა რუსულ ემიგრაციას. დასასრულ, გაზეთი აღნიშნავს, რომ ორლოვის დამცველმა წინადადება მისცა პოლიციას ან პროკურატურას გადასცეს ორლოვის საქმე, ან უარი სთქვას მის გადასახლებაზე და დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს ის, რადგანაც, დამცველის სიტყვით არ შეიძლება თავისუფლება აღეკვეცოს ისეთ ადამიანს, როგორიც ორლოვია, რომელმაც დიდი სამსახური გაუწიოს გერმანიის სახელმწიფოს. (ადს).

„როტე ფანე" ცერგიბელის განცხადების შესახებ

ბერლინი, 10 მარტი. „როტე ფანე" კომენტარიებს უკეთებს პოლიცეი-პრეზიდენტის, სოციალ-დემოკრატი ცერგიბელის განცხადებას და შემდეგ კითხვებს იძლევა: 1) მართალია თუ არა, რომ 1921 წლის 2 სექტემბერს პრუსიის სოციალ-დემოკრატიული კოალიციონური მთავრობის სტატს-სეკრეტარმა რეიხსრატში მიმართა გერმანიის მთავრობას წერილით, რომელშიაც წინადადებას აძლევდა დაეარსებინა საიდუმლო საინფორმაციო ბიურო მოსკოვის საელჩოში და პეტროგრადის საკონსულოში? 2) მართალია თუ არა, რომ ვეისმანმა წამოაყენა წინადადება მოსკოვსა და ლენინგრადში საბჭოთა მთავრობას წინააღმდეგ მიმართული კონტრრევოლიუციონური იარაღის,—შპიონაჟის ბიუროების—მოწყობის შესახებ, და ის, რომ ამ ბიუროების მოწყობის დროს ორლოვისათვის მნიშვნელოვანი როლი იყო გათვალისწინებული? 3) მართალია თუ არა, რომ ვეისმანის ხელქვეითმა, ამ საქმეთა გამგემ, რომლებიც შეეხებოდა საბჭოთა მთავრობას, ცნობილმა ბარტელსმა—გამოიყენა ორლოვი, როგორც ჯაშუში? 4) მართალია თუ არა, რომ ორლოვს ბარტელსის გადადგომის შემდეგ მჭიდრო კავშირი ჰქონდა საზოგადოებრივი წესრიგის სახელმწიფო კომისარიატის მოხელე მიულინსთან და ბერლინის პოლიტიკური პოლიციის მოხელე ხელერთან, და რომ ესენი ყოველმხრივ ეხმარებოდენ ორლოვს? (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საბჭოთა დოკუმენტების ფალსიფიკატორები თავს ვერ გაიმართლებენ

მოსკოვი, 11 მარტი. ბერლინიდან უკანასკნელად მიღებულ ცნობების თანახმად, საბჭოთა დოკუმენტების დამამზადებელთა ორლოვის და სხვების დამცველნი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ბრალდებულნი გერმანიის კანონების თანახმად არ უნდა იქნენ დასჯილნი, რადგან გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი ასეთ მოქმედებას არ ითვალისწინებს, როგორც დანაშაულს და რადგან ორლოვის და მისი ჯგუფის მუშაობა არ იყო მიმართული გერმანიის სახელმწიფოებრივობის წინააღმდეგ.

ამის შესახებ საერთაშორისო უფლების ცნობილ მცოდნემ პროფესორ ვორმსმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა შემდეგი: ორლოვის დამცველის მითითებანი მოკლებულია საფუძველს. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ყალბი საბუთების დამზადებასთან, რასაც ადგილი ჰქონდა გერმანიის ტერიტორიაზე. ორლოვი და კომპანია მოქმედებდა როგორც პოლიტიკური, ისე ანგარების მიზეზებით. გერმანიის კანონებით ასეთი მოქმედება აღიარებულია, როგორც დანაშაული და, მაშასადამე, მისი ჩამდენნი პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან.

პროფესორ ვორმსის აზრს იზიარებს საერთაშორისო უფლების მცოდნე იურისტი მალიანტოვიჩიც.

ბიუროკრატების საჯარო გასამართლება

მოსკოვი, 11 მარტი. გუშინ ამხ. ზემლიაჩკას თავმჯდომარეობით აქ შესდგა იმ ბიუროკრატების საჯარო გასამართლება, რომელნიც ამას წინად აღმოჩენილ იქნენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ დაწესებულებათა მოულოდნელი შემოწმების დროს. გასამართლებას დაესწრო მრავალი მუშა. საქმის გარჩევაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მთელმა აუდიტორიამ. სხდომა გაგრძელდა ნაშუადღევამდე. დადასტურდა, რომ მოულოდნელი შემოწმების დროს აღმოჩენილი დეფექტები საერთოდ სწორად გამოხატავს სინამდვილეს. მიღებულ იქნა დადგენილება, სადაც ჩამოთვლილია ღონისძიებების ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ.

ღამის ცნობები

მაქს ჰელცის დაპატიმრება ანტიფაშისტურ მიტინგზე

ბერლინი, 11 მარტი. ბერლინში ანტიფაშისტურ კონგრესის გახსნის გამო გუშინ ბუშის ცირკში შესდგა ბერლინის მუშების მრავალრიცხოვანი ანტიფაშისტური მიტინგი. მიტინგი გახსნა მიუნცენბერგმა. მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს ვილჰელმ პიკმა და ანრი ბარბიუსმა, რომელსაც მიტინგი შეხვდა მხურვალე ოვაციებით და „ინტერნაციონალის" სიმღერით. საფრანგეთისა და ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მისალმების შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა მიუნცენბერგმა. ბერლინის პოლიცეი - პრეზიდენტის, სოციალ-დემოკრატ ცერგიბელის წერილის გამოქვეყნებას, რომლითაც აკრძალულია ყოველგვარი დემონსტრაციები, როგორი ხასიათისაც არ უნდა იყოს ისინი, მიტინგის მონაწილეები შეხვდნენ სასტიკი პროტესტით. მიტინგი დასრულდა „ინტერნაციონალით".

ცირკის შენობიდან გამოსვლისას პოლიცია უხეშად ეპყრობოდა მიტინგის მონაწილეებს. მიტინგზე დამსწრე მაქს ჰელცი ცირკიდან გამოსვლისას დააპატიმრეს იმის გამო, რომ მან არ შეასრულა პოლიციელების ბრძანება. ბურჟუაზიული პრესაც კი აღნიშნავს პოლიციელების გამომწვევი საქციელის უაზრობას. მემარცხენე გაზეთი „ველტ ამ აბენდ" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გუშინ მომხდარმა ამბებმა აშკარად დაუმტკიცეს კონგრესის უცხოელ დელეგატებს, რომ გერმანიაში ფაშიზმი ემყარება სოციალ-დემოკრატიას და გადადის შეტევაზე (ადს).

გენერალ ხირანის დასჯა სიკვდილით

ნიუ-იორკი, 10 მარტი. ნიუ-იორკის გაზეთების ცნობით, ნიკარაგუაში სიკვდილით დასაჯეს გენერალი ხირანი—გენერალ სანდინოს აჯანყებულთა ჯარის ყოფილი უფროსი.

ფეიქართა გაფიცვა ალუენში

პარიზი, 10 მარტი. ალუენის მრეწველებმა უარი განაცხადეს სიდრას დეპარტამენტის პრეფექტის წინადადებაზე, რომლის თანახმადაც გაფიცულ მუშებსა და გამქირავებლებს შორის წარმოშობილი კონფლიქტები გადასაწყვეტად უნდა გადაეცეს საარბიტრაჟო კომისიას. დამქირავებლებმა განაცხადეს, რომ ისინი უარს ამბობენ განიხილონ სამუშაო ხელფასის რაიმე მომატების საკითხი. „ლიუმანიტე"-ს ცნობით, ხელისუფლება აძლიერებს გაფიცვის აქტიურ მონაწილეთა დევნას. ალუენის მუნიციპალიტეტმა, რომლის უმრავლესობაც კომუნისტები შეადგენენ, საპროტესტო განცხადება გამოაქვეყნა იმის წინააღმდეგ, რომ ალუენში ფაქტიურად საალყო წესებია შემოღებული (ადს).

ტყვარჩელის ქვანახშირის სამუშაოების დაწყება

მოსკოვი, 11 მარტი. იმ მოხსენებაში, რომელიც „გლავგოსტოპ"-მა საკავშირო სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. კოსიორს წარუდგინა, აღნიშნულია ტყვარჩელის ქვა-ნახშირის წარმოების მოწყობის საქმის მსვლელობა. ივნისისათვის „ჰიდროშახტი" დაამთავრებს მღვიმეების და სხვადასხვა ნაგებობების პროექტის შედგენას. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ადგილობრივი მასალა სავსებით გამოსადეგია საბინაო, საგზაო და სხვა მშენებლობისათვის. სახელმწიფო ელექტროტრესტთან დაიდო ხელშეკრულობა მშენებლობის საჭიროებისათვის ტყვარჩელის სარაიონო ელექტროსადგურის და დროებითი სადგურის აგების შესახებ. მოსამზადებელი მუშაობა მღვიმეების გასათხრელად დაიწყება არა უგვიანეს აპრილისა. პირველ რიგში გაყვანილ უნდა იქნას გზატკეცილი კვეზონიდან მაღნების ადგილამდე 14 კილომეტრის მანძილზე. პირველ წლებში ამოღებული იქნა 9 მილიონი ტონი ქვანახშირი და უმთავრესად მოხმარდება კერჩის ქარხანას.

საბჭოების მე-5 საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 11 მარტი. საბჭოების მე-5 საკავშირო ყრილობის მოწვევა დანიშნულია 16 მაისისათვის მოსკოვში. დღის წესრიგში არის: 1) საბჭოთა კავშირის მთავრობის მოხსენება. 2) საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა: ა) საერთო მოხსენება. ბ) განვითარების გეგმა. 3) სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფელში კოოპერატიული მშენებლობის შესახებ. 4) სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის საანგარიშო მოხსენება. 5) ა) რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობის ცნობა რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის კონსტიტუციის შესახებ, რომელიც დამტკიცებულ იქნა საბჭოთა სრულიად რუსეთის ყრილობის მიერ; ბ) უკრაინის მთავრობის ცნობა უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის კონსტიტუციის შესახებ, რომელიც დამტკიცებულ იქნა სრულიად უკრაინის საბჭოთა ყრილობის მიერ, 6) საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-21 მუხლის შეცვლის შესახებ. 7) საკავშირო საბჭოს წევრთა არჩევნები და ეროვნებათა საბჭოს წევრთა დამტკიცება (ადს).

პურის განაწილების ახალი წესი

თბილისის საბჭოს დადგენილება

გუშინ საღამოს თბილისის საბჭოს პლენუმმა მიიღო დადგენილება თბილისში პურის განაწილების ახალი წესის შემოღების შესახებ

გუშინ, საღამოს, მუშათა თეატრში შესდგა თბილისის საბჭოს მეორე პლენუმი. დღის წესრიგში დასმული იყო მოხსენება პურის ბაზრის მდგომარეობისა და პურის განაწილების ახალი წესის შემოღების შესახებ. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდნენ ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. ბექზადიანი და ამხ. ოდილავაძე და ამხ. ლასკარი.

პურის მიწოდება და განაწილება

ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა პურის ბაზარზე—აღნიშნავდნენ მომხსენებლები,—გამოწვეულია არა იმ გარემოებით, რომ საბჭოთა კავშირი საერთოთ განიცდიდეს პურის ნაკლებობას, არამედ იმით, რომ ის მარაგი, რომელიც სახელმწიფოს მოეპოვება, არ ნაწილდება მომხმარებლებს შორის რაციონალურად.

იმ მიზეზის გამო,—რომ გამომცხვარი პური იაფი ღირს, გლეხები ყიდულობენ მას, ხოლო თავის საკუთარ ხორბალს ყიდიან უფრო მაღალ ფასებში. მაგალითად, ამიერ-კავკასიისათვის ყოველთვიურად შემოდიოდა 925,000 ფუთი ფქვილი. ზედმიწევნით სწორი გამოანგარიშებით კი გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიისათვის ყოველთვიურად საკმაოა 812 ათასი, ე. ი. 113,000 ფუთი პური გადიოდა შეუმჩნევლად ქალაქებიდან. კერძოდ თბილისისთვის, ყოველდღიურად ცხვებოდა 8.500 ფუთი პური, მაშინ, როცა მისი საჭიროება 7.200 ფუთს არ აღემატება. ამგვარად, მიუხედავად გამომცხვარი პურის სიჭარბისა, ქალაქში მაინც ადგილი ჰქონდა პურის კუდებს. აშკარაა, რომ ნაწილი გამომცხვარი პურისა, არ ხმარდებოდა ადგილობრივ საჭიროებას, და გაჰქონდათ ქალაქგარედ. საჭიროა გამოინახოს ღონისძიება, რომელიც ამ მოვლენას საზღვარს დაუდებს და შექმნის ნორმალურ პირობებს პურის ბაზარზე. საბჭოთა კავშირის დედა-ქალაქებმა მოსკოვმა, ლენინგრადმა, და აგრეთვე ბაქომაც შემოიღეს პურის განაწილების ახალი წესი: ეს არის პურის მომარაგება წიგნაკებით. წიგნაკები არ წარმოადგენს წინანდელ საბარათო სისტემას, არამედ ეს არის პურის განაწილების მოწესრიგება, რომელიც მიზნად ისახავს ერთის მხრივ, მოქალაქეთა უზრუნველყოფას პურის არსებული მარაგით, და მეორე მხრივ, პურის ხარისხის გაუმჯობესებას. როგორც ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქები, ისე თბილისიც პურს მიიღებს ისევ იმ რაოდენობით, როგორც უკანასკნელ დრომდე ღებულობდნენ. გარდა ამისა, შემოტანილ იქნება 800.000 ფუთი პური მებამბეებისათვის, 300 000 ფუთი მიზნობრივი დამზადებისათვის, 300.000 ფუთი იმ რაიონებისათვის, სადაც წელს მოუსავლობა იყო. ამგვარად პურით უზრუნველყოფილი იქნება გლეხობის ის ნაწილი, რომელიც საკუთარი პურის უქონლობის გამო პურს იძენდა ქალაქებში. ამ კატეგორიის მომხმარებელთაგან ქალაქის პურის ბაზარი განტვირთული იქნება. წიგნაკების შემოღება ჩვენ საშუალებას მოგვცემს მოვზომოთ პურის მარაგი და ამგვარად, შევქმნათ სამარაგო ფონდი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ იმ შემთხვევაში, თუ ახალი პურის მოყვანამდე პურის მოწოდების საქმეში რაიმე შეფერხებას ექნა ადგილი.

პურის განაწილების ახალი წესის შემოღების მიზნით სათანადო ორგანოების დადგენილების თანახმად, მოსახლეობა ნაწილდება სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შედიან: ფაბრიკა-ქარხნების და რკინის გზის მუშები, წითელ არმიის სამეთაურო შემადგენლობა, მილიცია, უშუალოდ წარმოებაში ჩაბმული მოსამსახურეები და უმუშევრები, რომელნიც წინად ფიზიკურ შრომას ეწეოდნენ;—ამ ჯგუფის მოქალაქეებს მიეცემათ დღეში 800 გრამი გამომცხვარი პური; მეორე ჯგუფის პირებს, რომელშიდაც შედიან ყველა მოსამსახურეები, მათი ოჯახები და აგრეთვე პირველ ჯგუფში აღნიშნულ პირთა ოჯახის წევრები, ინვალიდები, არა ფიზიკური შრომის უმუშევრები, სამხედრო უწყებათა მოსამსახურეები, პენსიონერები, მოწაფეები, შინა მრეწველები და სხვა მშრომელი მოსახლეობა—მიეცემათ დღეში — 400 გრამი პური. მესამე ჯგუფს ეკუთვნის არამშრომელი მოსახლეობა, რომლისთვის ნორმა ცალკე იქნება გამომუშავებული. პირველ ორ ჯგუფს დაურიგდებათ წიგნაკები, ხოლო მესამე ჯგუფის პირებს წიგნაკები არ დაურიგდებათ.

პურით უზრუნველყოფას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას, ჩვენ მივაღწევთ მხოლოდ ამ პურის განაწილების ახალი სისტემის შემოღებით. საჭიროა მთელი მუშათა საზოგადოებრივი აზრის ამ საკითხის გარშემო დარაზმვა და პროფესიონალურ-საზოგადოებრივ ორგანიზაციების დახმარებით ამ სისტემის უმტკივნეულოდ გატარება.

შემდეგ, მომხსენებლები პლენუმს დაწვრილებით აცნობენ წიგნაკებით პურის მომარაგების სისტემას.

მოხსენებების გარშემო გაიმართა კამათი; დეპუტატები მიზანშეწონილად სცნობენ წიგნაკების შემოღებას და მოუწოდებდნენ საბჭოთა, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ პურის განაწილების ახალი სისტემის შემოღებაში.

რეზოლიუცია

დასასრულ პლენუმმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. ბექზადიანის და ოდილავაძის მოხსენება პურის ბაზრის მდგომარეობისა და პურის წიგნაკების შემოღების შესახებ, თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმი ადგენს:

1. ქ. თბილისის მშრომელი მოსახლეობისათვის პურის მომარაგების მოწესრიგების მიზნით და აგრეთვე არა სამომხმარებლო საჭიროებისათვის პურის გაცემის თავიდან ასაცილებლად, (საქონლის კვება და სხვ.) ამა წლის აპრილის პირველიდან ქ. თბილისში შემოღებულ იქნეს პურის მომარაგება წიგნაკებით.

2. დაწესებული იქნეს პურის გაცემის დღიური ნორმების მიხედვით მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფები. **პირველი ჯგუფი**—ა) ფაბრიკა-ქარხნების, საწარმოების, რკინის გზის და სხვა ფიზიკური შრომის მუშები, წითელი არმიის სამეთაურო შემადგენლობა, მილიცია, უშუალოდ წარმოებაში ჩაბმული მოსამსახურეები, და უმუშევრები, რომელნიც უმუშევრობამდი ეწეოდნენ ფიზიკურ შრომას ზოგადსაწარმოო დარგებში; **მეორე ჯგუფი**—ბ) „ა" ჯგუფში აღნიშნულ პირთა ოჯახის წევრები, ყველა მოსამსახურეები და მათი ოჯახები, ინვალიდები, უმუშევრები, („ა" ჯგუფში აღნიშნულ პირთა გამოკლებით), სამხედრო უწყებათა მოსამსახურეები, („ა" ჯგუფში აღნიშნულ პირების გარდა), პენსიონერები, მოწაფეები, შინამრეწველები და სხვა მშრომელი მოსახლეობა; **მესამე ჯგუფი**—გ) არა მშრომელი მოსახლეობა.

3. დაწესებული ნორმების მიხედვით პურის შესაძენად მთელ მშრომელ მოსახლეობას მიეცეს პურის წიგნაკები მოსახევი ტალონებით.

4. წიგნაკები გაიცეს ოჯახის უფროსის სახელზე ყველა მის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებისათვის.

ოჯახის წევრებს,რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი სამუშაოდან, ან დამოუკიდებლად ირიცხებიან კოოპერატივებში წევრებად, უფლება ეძლევათ მიიღონ ცალკე წიგნაკები.

5. წიგნაკებით პურის გაცემა უნდა სწარმოებდეს ყველა პურის გასაყიდ პუნქტებიდან (§ 6.-ში აღნიშნულ პუნქტების გამოკლებით), მტკიცე ნორმების მიხედვით.

წიგნის მეპატრონეები წინასწარ მიმაგრებულ უნდა იქნენ გასაზღვრულ პუნქტებზე მათი სურვილისამებრ.

6. არა მშრომელ მოსახლეობას (ჯგუფი „გ") პურის წიგნაკები არ მიეცემა. არამშრომელ მოსახლეობისათვის პურის მომარაგების მიზნით გამოყოფილი უნდა იქნეს სპეციალური პურის გასაყიდი პუნქტები, სადაც პური გაიცემა ყველა მსურველებზე პურის წიგნაკების გარეშე.

7. ყველა საავადმყოფოები, საბავშვო სახლები, ინტერნატები, სასადილოები, გამსახლები და სხვ. აყვანილნი უნდა იქნენ განსაკუთრებულ აღრიცხვაზე და მიმაგრებულნი გეგმით გათვალისწინებულ პურის პუნქტებზე.

8. დაწესებულ იქნეს გადიდებული ფასები პურზე, რომელიც გაიცემა პურის გასაყიდ სპეციალურ პუნქტებიდან წიგნაკების გარეშე, აგრეთვე აღნიშნული გადიდებული ფასები უნდა გავრცელდეს კერძო სასადილოებსა და რესტორანებისათვის გასაცემ პურზე.

9. არა მშრომელ მოსახლეობაზე დიფერენციალურ ფასების მიხედვით გაყიდულ პურისაგან შემოსული განსხვავება ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის მიერ ცალკე უნდა აღირიცხოს და მოხმარდეს პურის ცხობის მექანიზაციას და პურის მიწოდების გაუმჯობესებას.

10. პურის წიგნაკების სისტემის მოსამზადებელი მუშაობის საწარმოებლად და მისი ცხოვრებაში გასატარებლად, დაარსებული იქნეს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. კ. ოდილავაძე (თავმჯდომარე), მ. ძაგანია და მ. დავიდოვი (თავმჯდომარის მოადგილეები) და წევრები: მარკმანი, ლასკარი, მოისეევი, ავანოვი და დავითხანოვი.

11 აღრიცხვა მშრომელთა, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ პურის წიგნაკები და მათ შორის წიგნაკების განაწილება, ევალებათ წარმოება-დაწესებულებებს და სხვა სათანადო ორგანოებს უმუშევრებისათვის—შრომის ბირჟას, ინვალიდებისათვის—დამზღვევ სალაროს და სხვ. რომელნიც პასუხისმგებელნი არიან სიების სწორად შედგენისა და წიგნაკების სწორად განაწილებისათვის.

12. პურის წიგნაკების მისაღები სიები შედგენილი უნდა იქნეს ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან—ერთი გადაეცემა კომისიას. კომისია ამ სიის მიხედვით გასცემს წიგნაკებს, რომელიც დაურიგდებათ ხელწერილის ქვეშ სათანადო პირებს. მეორე ეგზემპლიარი კი წიგნაკების მიმღებ პირთა ხელის მოწერით ინახება დაწესებულებათა და საწარმოთა საქმეებში.

13. იმ შემთხვევაში, თუ მოხდა რამე ცვლილება კმაყოფაზე მყოფ პირთა შემადგენლობაში, პურის წიგნაკები უნდა გამოიცვალოს სათანადო მოწმობის წარდგენის შემდეგ.

14. წიგნაკების ფასი გამოანგარიშებულ უნდა იქნეს წიგნაკის თვითღირებულების მიხედვით.

15. ცენტრალურ კომისიას ევალება სამი თვის განმავლობაში დაამუშაოს და ა.-კ. სახ. ვაჭრ. კომისარიატის რწმუნებულს დასამტკიცებლად წარუდგინოს მთელი ინსტრუქცია წიგნაკებით პურის გაცემის შემოღების შესახებ.

16. მოსახლეობის ცალკე ჯგუფებისათვის პურის მოხმარების ნორმებს, გასაყიდ ფასებს და აგრეთვე არა მშრომელ მოსახლეობისათვის გამოსაცხობ პურის რაოდენობას აწესებს ვაჭრ. სახ. კომ. რწმუნებულის სამმართველო.

17. პურის სიების შედგენის დროს არა სწორ ცნობების წარდგენისათვის და საერთოდ ამ დარგში ბოროტმოქმედებისათვის დამნაშავენი მიცემულნი იქნებიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის კანონების თანახმად.

18. პურის წიგნაკების შემოღების იდეის პოპულიარიზაციის მიზნით ქალაქ თბილისის მშრომელ მოსახლეობაში აუცილებლად ჩატარებულ უნდა იქნას ფართო კამპანია ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით.

ჩვენი მტრები მემარჯვენე გადახრის შესახებ

პროლეტარული რევოლიუციის საზღვარგარეთ გახიზნული კლასიური მტრები უყურადღებოთ არ სტოვებენ ჩვენს პარტიაში ოპოზიციის ან ამა თუ იმ გადახრის წარმოშობას. საკმარისია ითქვას რამე ასეთის არსებობის შესახებ, რომ თეთრ-გვარდიელთა მთელმა ხროვამ დაწყებული მონარქისტებიდან და გათავებული მენშევიკებით, დორბლმორეულმა მორთოს ყვირილი რევოლიუციის „კრიზისზე". მხოლოდ მათი იმედები არ მართლდება. ამის დამამტკიცებელია ის, რომ ჩვენს პარტიაში, დაწყებული ოქტომბრის რევოლიუციიდან, ადგილი არ ქონია არც ერთ ისეთ ოპოზიციის არსებობას, რომელიც ყველა ჯურის თეთრგვარდიელებს არ გამოეცხადებინოთ ბოლშევიზმის აღსასრულის მოახლოების მაჩვენებლათ. მაგრამ ბოლშევიზმი სულ უფრო და უფრო მტკიცდება. მათი ასეთი დამოკიდებულება ჩვენს პარტიაში ამა თუ იმ ოპოზიციის არსებობას, რომელიც ყველადვილი გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თეთრგვარდიელები, რომლებსაც უცრუვდებათ იმედები რევოლიუციის გარედან შეიარაღებული ძალით დამარცხების შესაძლებლობის შესახებ, იმედებს ამყარებენ მასზე, რომ ბოლშევიკური პარტია აცდება თავის კლასიურ ხაზს და კარებს გაუღებს კაპიტალიზმის თავისუფალ განვითარებას. ამ თვალსაზრისით უდგებიან ისინი ყოველგვარ ოპოზიციის შეხედულებათა შეფასებას, ესა თუ ის ოპოზიცია მათთვის მისაღებია იმდენათ, რამდენათაც ის ბოლშევიზმს ებრძვის როგორც ორგანიზაციულად, ისე პოლიტიკურად, რამდენადაც ის ხელს უწყობს პირდაპირ თუ არა პირდაპირ კაპიტალიზმის თავისუფალ განვითარებას. ჩვენ გვერდი არ უნდა აუაროთ იმას, რასაც ჩვენი მტრები ჩვენზე ამბობენ, მხოლოდ არა იმ მიზნით, რომ უმტკიცოთ მათ ოპოზიციის არსებობაზე იმედების დამყარების უსაფუძვლობა რევოლიუციის დამარცხების საქმეში, არამედ იმ მიზნით, რომ არაპირდაპირი საშუალებით მოვახდინოთ შემოწმება პარტიის ხაზის სისწორის და ამ ხაზიდან ამა თუ იმ გადახრის შეცდომების, რადგან ზოგჯერ კლასიური მტრებიც „კლასიურ სიმართლეს" (ლენინი) ამბობენ.

თეთრგვარდიელთა პრესა სავსეა მსჯელობით მემარჯვენე გადახრის სოციალურ პოლიტიკური ბუნების და მათი თვალსაზრისით ამ გადახრის არსებობის დადებით მნიშვნელობის შესახებ. აქედან ჩვენ უნდა გვაინტერესებდეს ის, თუ როგორია მათი პასუხი რევოლიუციის იმ ძირითად საკითხებზე, რომლების გარშემო მემარჯვენე ელემენტები პარტიისაგან განსხვავებულ აზრს გამოსთქვამენ. პარტიის პასუხი ასეთ საკითხებზე კერძოთ კი ეკონომიური განვითარების გზების შესახებ, უკვე ნათელია, რადგან არა ერთხელ თქმულა ამის შესახებ პარტიულ ყრილობის და ცეკას პლენუმების დადგენილებათა სახით. მხოლოთ როდესაც ვეცნობით თეთრგვარდიელთა და განსაკუთრებით მენშევიკების პასუხს ამავე საკითხებზე, **ნათელი ხდება ის, თუ რატომ პოულობს მათ შორის მემარჯვენე გადახრა შესაფერ სიმპატიას და ერთსულოვან თანაგრძნობას.**

მენშევიკების შეხედულებათა განხილვიდან ჩვენი განვითარების გზების შესახებ ვღებულობთ, რომ მათსა და მემარჯვენე ელემენტებს შორის მეტია საერთო ამავე საკითხების გარშემო, ვიდრე სხვაობა. აქედან ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა ადვილად შეუძლია მემარჯვენე გადახრის იდეოლოგიას შეიქნეს ნამდვილ მენშევიკურ იდეოლოგიათ. ნათესაური კავშირის არსებობის გამოაშკარავებამ მენშევიკურ და მემარჯვენე გადახრის იდეოლოგიას შორის ხელი უნდა შეუწყოს თვით ამ მემარჯვენე გადახრის იდეოლოგიის გადალახვას ჩვენი პარტიის წევრების მიერ, რომ მას ჩვენს შორის არ მიეცეს არავითარი გასავალი. დღეს ყველასათვის ნათელია ის გარემოება, რომ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი ეკონომიური განვითარების სფეროში გამოიხატება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო მეურნეობის კოლექტიურ საფუძველზე თანდათანობით გადაყვანის მტკიცედ გატარებაში. ინდუსტრიალიზაციის და სოფლად კოლექტიურ მეურნეობის გაძლიერების სახით მოცემულია უმთავრესი საშუალებანი ახალი ეკონომიურ პოლიტიკის საფუძველზე სოციალისტურ აღმშენებლობის წარმატებით მსვლელობისა და კაპიტალიზმის ფესვების საბოლოოთ მოსპობისათვის, ასეთია კლასიური საფუძველი პარტიის გენერალური ხაზისა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო მეურნეობის ახალ საფუძველზე გარდაქმნის საქმეში აღებული, რომელსაც ის ჩვეული ბოლშევიკური სიმტკიცით ატარებს ცხოვრებაში, მიუხედავად ყოველგვარ სიძნელისა და დაბრკოლებების. აღნიშნულ ხაზიდან პარტია არ გადაუხვევს რამდენიც არ უნდა ილაყბონ მემარჯვენე ელემენტებმა ჩვენში და მენშევიკებმა საზღვარგარეთ, ამ უკანასკნელებს კარგად ესმით პარტიის მიერ აღებულ ხაზის **კლასიური მნიშვნელობა**, რის გამო არ ზოგავენ ძალღონეს ამტკიცონ ვითომ მისი განხორციელება შეუძლებელია. მათი ასეთი განწყობილებით აიხსნება ის გარემოება, რომ ისინი მზათ არიან მხარი დაუჭირონ და ქებადიდება შეასხან ყველა იმათ, რომლებიც რამეს კი იტყვიან ინდუსტრიალიზაციის ტემპის **შენელების** და სოფლად კოლექტიურ მეურნეობის საამშენებლო პროგრამის თუნდაც **შემცირების** შესახებ. მენშევიკები უტოპიათ სთვლიან ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს. „სოც.-ვესტ"-ის ერთ-ერთი მეთაური ასეთ „ბრძნულ" აზრს გამოსთქვამს ამ საკითხზე: „ნუ თუ საჭიროა კიდევ ყველასათვის უდავო ჭეშმარიტების არსებითად დასაბუთება, რომ მხოლოდ დაუყოვნებლივ უარის-თქმას ინდუსტრიალიზაციისაგან შეუძლია რუსეთის მრეწველობის დაყენება უკეთეს ჯანსაღ და საიმედო საფუძველზე". მხოლოდ სასოფლო მეურნეობის კოლექტიურ ნიადაგზე გარდაქმნის მიზნით პარტიის მიერ აღებულ ხაზს კი იგივე ჟურნალი დამღუპველად სთვლის სასოფლო მეურნეობისათვის, ამიტომ მენშევიკების აზრით პარტიამ უარი უნდა სთქვას: **„უტოპიურ ცდაზე".. შექმნას კოლექტიური და მსხვილი სახელმწიფოებრივი სასოფლო მეურნეობა** („სოც.-ვესტ." № 22—23 დეკემბერი 1928 წ.). როგორც აღვნიშნეთ ასეთი პასუხი მენშევიკების მხრივ რევოლიუციის ამ ძირითად საკითხებზე გამოწვეულია თვით ამავე საკითხების კლასიურ მნიშვნელობით ე. ი. იმის შიშით, რომ საბჭოთა ხელისუფლება აღნიშნულ ღონისძიებათა გატარებით ახალ ეკონომიურ პოლიტიკის საფუძველზე გაძლიერებული ტემპით წინ მიიწევს, სოციალიზმის განხორციელებისა და კაპიტალიზმის საბოლოოთ მოსპობისაკენ, რასაც მენშევიკებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ გულგრილათ შეხვდენ. მენშევიკებმა კარგად იციან, რომ ინდუსტრიალიზაციის და სოფლად კოლექტიური მეურნეობის გაძლიერების პოლიტიკა წარმოადგენს იმ იმედების საბოლოოთ გაცრუებას, რომელსაც ისინი ამყარებდენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე. ვის არ ახსოვს მათი აღტაცება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღებით, ვინ არ იცის მათი ისტერიული ყვირილი იმის შესახებ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებით „ლენინი გონს მოეგდა", მასში გაიმარჯვა „ეკონომიურმა რეალიზმმა" და სხვა. მაგრამ მენშევიკები მალე იძულებული შეიქნენ ანგარიში გაეწიათ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის საფუძველზე მიღებულ ეკონომიურ აღორძინების ფაქტებისათვის. იძულებულნი შეიქნენ უკან დაეხიათ ახალი ეკონომიური პოლიტიკის აღნიშნულ შეფასებიდან, რადგან ბრმებისათვისაც კი აშკარა შეიქნა, რომ სწორეთ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ კიდევ უფრო მეტათ გააძლიერა რევოლიუციის სამეურნეო ბაზა. მხოლოდ ამის შემდეგ მენშევიკებმა მიმართეს სხვა ხერხს. შეუდგნენ იმის მტკიცებას, რომ, მართალია ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გამოიწვია მეურნეობის აღორძინება, მაგრამ აქ საქმე გვაქვს არა სოციალიზმის ზრდასთან, არამედ კაპიტალიზმის განვითარებასთან. ასეთი იყო დღემდის მენშევიზმის თეორია ჩვენი განვითარების ხასიათის შესახებ. ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო მეურნეობაში სოციალისტური სექტორის გაძლიერების პოლიტიკა კი ნიადაგს აცლის მენშევიკების უკანასკნელ მტკიცე ბასაც. ინდუსტრიალიზაცია და სოფლად კოლექტიურ მეურნეობათა გაძლიერება სწორედ სოციალიზმის შემდგომი ზრდის მაჩვენებელია. ამიტომ ვერ ურიგდება მენშევიზმი ჩვენი პარტიის მიერ აღებულ ეკონომიურ განვითარების გზას. ამიტომ აცხადებენ მისი წარმომადგენლები უტოპიათ ინდუსტრიალიზაციას, რისი განხორციელება მენშევიზმს, როგორც ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, აცლის ნიადაგს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში. მათი მიზანია, პარტიამ უარი სთქვას ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნის პოლიტიკაზე, რომ მით შესაძლებელი გახდეს კაპიტალიზმს გამარჯვება.

მემარჯვენე ელემენტები მხდალათ და მორიდებით ქადაგებენ იმას, რასაც მენშევიკები ყოვლად უტიფრად და აშკარად ამბობენ ჩვენი განვითარების გზების შესახებ. მენშევიკურ დასკვნამდის შეუძლია მიგვიყვანოს უსათუოდ მემარჯვენე გადახრის იდეოლოგიის ლოღიკურ განვითარებამ, რაც **ჯერ-ჯერობით პოულობს თავის გამოხატულებას ინდუსტრიალიზაციის ტემპის და სასოფლო მეურნეობაში კოლექტიურ, სოციალისტურ სექტორის გაძლიერების პროგრამის შემცირების მოთხოვნაში, ისე როგორც კულაკურ მეურნეობის განვითარებისადმი ხელის არ შეშლაში.** მემარჯვენეთა ეს მოთხოვნა არსებითად წარმოადგენს სოციალისტურ აღმშენებლობის უარყოფის „პროგრამა-მინიმუმს", რაზედაც მენშევიკები დიდი სიამოვნებით აწერენ ხელს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც დავინახეთ, მათ შემუშავებული აქვთ კაპიტალიზმის თავისუფალ განვითარების პროგრამა „მაქსიმუმი" სოციალიზმის ელემენტების შესუსტებით და მათ გაძლიერებაზე საერთო ხელის აღებით. ისინი კმაყოფილდებიან მემარჯვენეების მოთხოვნილებებით, იციან რომ მათი განხორციელება მოამზადებს სოციალურ-ეკონომიურ ნიადაგს კაპიტალისტურ გამარჯვების უზრუნველყოფისათვის.

ფ. დანს სწორეთ აღნიშნული პერსპექტივა აქვს მხედველობაში, როდესაც სწერს: **„მემარცხენე გადახრის ის პოლიტიკა, რომელიც საერთო სახით გულისხმობს ინდუსტრიალიზაციის ტემპის შემცირებას და კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების აღმშენებლობაზე უარის თქმას, რასაკვირველია წარმოადგენს მხოლოდ პირველ ნაბიჯს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის შეგუების ცდაში ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ განვითარების აუცდენელ მოთხოვნილებასთან".** („სოც.-ვესტ." № 22—23 დეკ. 1928 წ.) ფ. დანი წინასწარმეტყველებს იმას, რომ აღნიშნულ მოთხოვნილებათა განხორციელებას აუცილებლათ მოყვება შედეგათ სოციალისტურ აღმშენებლობაზე უარის თქმა საერთოთ. ამ შემთხვევაში კლასიური მტერი ოდნავ არ ცდება. ის სიმართლეს ამბობს. პარტია აფრთხილებს მემარჯვენე ელემენტებს, რომ სიფრთხილით მოეპყრან ყოველგვარ ახალ „გეგმების" შემუშავებას ჩვენი განვითარების გზების შესახებ, რადგან იქ, სადაც გადადგმული იქნება პირველი ნაბიჯი, აუცილებელი შეიქნება შემდგომის გაკეთებაც, ამიტომ ამბობს პარტია, რომ დღევანდელ პირობებში ინდუსტრიალიზაციის ტემპის შესუსტების მოთხოვნა, არსებითათ მის სრულ უარყოფას მოასწავებს, და ამ უარყოფის ფაქტის წინაშეც დავდგებოდით, თუ მემარჯვენე გადახრა გაიმარჯვებდა ჩვენს პარტიაში. ეს კარგად ესმით ჩვენს მტრებსაც და ამიტომ იღწვიან ისინი მემარჯვ. გადახრისადმი უსაზღვრო სიყვარულით. იგივე ფ. დანი სწერს, რომ **„წარმოვიდგინოთ ის (ე. ი. მემარჯვენე გადახრა კ. გ.) უკვე ჩამოყალიბებულათ ორგანიზაციულ მოძრაობის სახით ბოლომდის გათვალისწინებულ პროგრამით, როგორი იქნებოდა ამ შემთხვევაში მისი გამარჯვების შედეგები? ეს იქნებოდა რუსეთის ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ განვითარების პირობების უზრუნველყოფა.."** (იქვე). მენშევიკები დადებითად სცნობენ მემარჯვენე გადახრის შეხედულებას სწორეთ იმისათვის, რომ მათი გატარების შედეგი იქნებოდა სოციალიზმის დამარცხება და კაპიტალიზმის გამარჯვება, ნათქვამია: სული სულს იცნობს და გული გულსო. მენშევიკები არაფერს ზოგავენ ჩვენი პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რამდენადაც მათთვის მიუღებელია მისი **პოლიტიკა სოციალიზმის აღმშენებლობისაკენ მიმართული**, მხოლოდ თავის მფარველობის ქვეშ აყავთ მემარჯვენე ელემენტები, რადგან ამ უკანასკნელთა **პოლიტიკა მიმართულია კაპიტალიზმის აღორძინებისაკენ.** მემარჯვენეთა „პროგრამა" მხოლოთ ამიტომ არის დიდ მოწონებაში მენშევიკებს შორის „სოც-ვესტნიკის" ბანაკიდან. „საჭიროა განა ვილაპარაკოთ—სწერენ ისინი—რომ მემარჯვენეთა ოპოზიციის მიერ წამოყენებული ეკონომიური პროგრამა, არსებითად არის ეხლა უფრო პროგრესიული, ვინემ ოფიციალური პარტიის ტაქტიკა და უფრო მეტათ შეეფარდება ქვეყნის ინტერესებს და საწარმოვო ძალებს.. მემარჯვენე ოპოზიცია თავის ეკონომიურ მოთხოვნილებებში არის გამომხატველი ეკონომიური გონიერების, გამომხატველი ხალხის ფართე მასის მწვავე ინტერესების.." („სოც.-ვესტ." № 20) ამ შემთხვევაში მენშევიკები საკუთარ თავს იტყუებენ იმით, რომ მემარჯვენე გადახრის ეკონომიურ მოთხოვნილებებს ასაღებენ ხალხის ფართე მასის ინტერესების გამომხატველად. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ უნდა გვეფიქრა, რომ მემარჯვენე გადახრას უფრო მეტი გავლენა ექნებოდა ჩვენს პარტიაში, რადგან ეს უკანასკნელი არსებობს სივრცისა და დროის გარეშე. ჩვენი პარტია თავის ეკონომიურ პოლიტიკაში, (რომლის ქვაკუთხედს სოციალისტური აღმშენებლობა წარმოადგენს და არა კაპიტალიზმის აღორძინება), სწორეთ სრული სისწორით გამოხატავს „ხალხის ფართე მასის" ინტერესებს. მენშევიკებს დაავიწყდათ ისე, როგორც მათ ყოველთვის ავიწყდებათ, იმის გამორკვევა, თუ რომელი ხალხის „მწვავე ინტერესებს" ეთანხმება მემარჯვენე ელემენტების ეკონომიური მოთხოვნილებები, მათ დაავიწყდათ ეთქვათ, რომ ეს მოთხოვნილებები ეთანხმება პირველყოვლისა,იმათ ინტერესებს,რომლებიც ჩვენში მუდამ კაპიტალიზმის აღორძინებაზე ოცნებობენ; ეთანხმება აგრეთვე ბურჟუაზიულ ელემენტების ინტერესებს ჩვენში როგორც ქალაქად ნეპმანებს, ისე სოფლად კულაკებს.

სწორედ „ხალხის" ეს ნაწილი ყავს მხედველობაში და მის აქტივობაზე ამყარებენ იმედებს მონარქისტები, რომლებიც, მსგავსათ მენშევიკებისა ერთსულოვნათ შეხვდენ მემარჯვენე ელემენტების „ეკონომიურ გონიერების" პროგრამას. მოუსმინოთ რას სწერენ ეს შავრაზმელები: **„ეხლანდელ კომუნისტურ მემარჯვენე გადახრას შეუძლია იქონიოს იმედი მცხოვრებთა ფართე წრეების აქტიურ თანაგრძნობაზე** (წაიკითხე: მენშევიკების, კულაკების, ნეპმანების, სამღვდელოების და სხვა ჯურის შავრაზმელების კ. გ.), **თუ ის შესძლებს გადაჭრით გამოსვლას... ინდუსტრიალიზაციის წინააღმდეგ..**. (გაზ. „ვოზროჟდენიე" №24, 1928 წ.).

ასეთია ჩვენი კლასიური მტრების (დაწყებული მენშევიკებით და გათავებული მონარქისტებით), ერთსულოვანი შეფასება მემარჯვენე გადახრის სოციალ-პოლიტიკური ბუნების, საიდანაც დასკვნის გამოტანა თვით მემარჯვენე ელემენტებისათვის მიგვინდვია.

კ. გორდელაძე.

საქ. ინჟინერ-ტეხნიკოსთა მე-4 ყრილობა

პირველი სხდომა

გუშინ საღამოს საქ. პროფსაბჭოს დარბაზში გაიხსნა ინჟინერ-ტეხნიკოსთა სრულიად საქართველოს მე-4 ყრილობა. ყრილობა გახსნა ინჟ. კაციტაძემ.

ყრილობამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია: ამხ. სტალინი, კალინინი, რიკოვი, ვოროშილოვი, ტომსკი, ბუხარინი, მოლოტოვი, რუძუტაკი, კუიბიშევი, ორჯონიკიძე, ენუქიძე, მ. ცხაკაია, ორახელაშვილი, ელიავა, მახარაძე, კახიანი, ღოღობერიძე, მაჩაიძე, ნაზარეტიანი და ურულაშვილი.

მისალმებანი ყრილობას

ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტეხნ. ინსტიტუტის მასწავლებელთა სახელით ყრილობას მიესალმა ინჟ. წულუკიძე.

პოლიტეხნიკური ინსტიტუტი,—ამბობს ორატორი, რომელიც ამზადებს ინჟინერ-ტეხნიკოსთა ახალ კადრებს, დაინტერესებულია ყრილობის მუშაობით და იმედს გამოსთქვამს, რომ თქვენ დადებითად გადასჭრით თქვენს წინაშე მდგომ სერიოზულ ამოცანებს.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ფ. მახარაძემ, რომელსაც ყრილობა ხანგრძლივი ტაშით ეგებება.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

ჩვენი აღმშენებლობა დამყარებული გეგმაზე, გიგანტიური ნაბიჯებით მიდის წინ, მაგრამ მშენებლობის განსახორციელებლად საჭიროა არა მარტო ფინანსიური სახსრები, არამედ ქვეყნის უზრუნველყოფა ინჟინერ-ტეხნიკოსთა ძალებითაც. მე არ შევეხები მრეწველობას. ავიღოთ სოფლის მეურნეობა. ჩვენს ამოცანაში შედის სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მისი კოლექტივიზაცია და სხვ. ინჟინერ-ტეხნიკოსთა და აგრონომების დახმარების გარეშე ამ ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია. ჩვენს მშენებლობას ზოგჯერ სდევს შეცდომები. რასაკვირველია, მე არ მინდა შევჩერდე ისეთ საქმეზე, რომელსაც ეწოდება შეგნებული მავნებლობა და რომელშიაც ინჟინერ-ტეხნიკოსების უმნიშვნელო ნაწილმა მიიღო მონაწილეობა (შახტის საქმე); არის კიდევ შეუგნებელი მავნებლობა, რაც გამოიხატება დაუდევრობაში და საქმისადმი გულგრილობაში. როგორც შეგნებული, ისე შეუგნებელი მავნებლობის შედეგები ობიექტიურად ერთნაირია და ამიტომ ამ უკანასკნელს ჩვენ უფრო მეტი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. ხელისუფლებას ინჟინერ-ტეხნიკოსების მასების საკეთილდღეოთ ესაჭიროება და ამიტომ თვითოეული ინჟინერიც ამ მასასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ინჟინერს უნდა ახსოვდეს, რომ ის ამ მასის შემადგენელი და მოწინავე, კულტურული ნაწილია და ამიტომ უნდა ეცადოს თავისი ცოდნა და გამოცდილება მიაწოდოს ამ მასას. იქ, სადაც საქმეს მხოლოდ ფორმალური სისწორე ახასიათებს და არა სიხალისე, მუშაობის ნაყოფიერებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენს წინაშე დღეს აურებელი ამოცანებია დასმული: შრომის ნაყოფიერების აწევა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და სხვ. ყველა ამ საქმეში სხვა ორგანიზაციებთან ერთად ინჟინერ-ტეხნიკოსები მასების ორგანიზატორებად უნდა გამოდიოდნენ.

ჩვენ ყოველთვის გვქონდა გამონახული საერთო ენა და გვაქვს კიდევაც ასეთი ენა ამ საკითხებში და რწმენას გამოვსთქვამ, რომ თქვენ შესძლებთ თქვენს წინაშე დასმულ ამოცანების ცხოვრებაში გატარებას.

* * *

შემდეგ ყრილობას მიესალმენ: პროლეტარულ სტუდენტობის სახელით ამხ. ნეტკაჩევი და მეცნიერულ-ტეხნიკური საზ-ბის სახელით ამხ. დიასამიძე, რის შემდეგ ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საქ. პროფსაბჭოს, საქ. ცაკს და სახკომსაბჭოს, ს.კ.პ.(ბ) ცეკას, ინჟინერ-ტეხნიკოსთა საკავშირო ბიუროს და ამხ. სერგო ორჯონიკიძეს.

შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა ამხ. ბ. მაჩაიძეს

ამხ. მაჩაიძის მოხსენება

საქართველოს რესპუბლიკების მშრომელებს წილად ხვდათ თავის ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის წარმოება, რაც ინჟინერ-ტეხნიკური ძალების მონაწილეობის გარეშე წარმოუდგენელია. პროფკავშირებიც, როგორც მასიური მუშათა ორგანიზაცია, დაინტერესებული არიან აღმშენებლობით და ჩვენი წარმოების განვითარებისათვის ხელის შეწყობით, ხოლო ამის განსახორციელებლად საჭიროა მჭიდრო ურთიერთობა და თანამშრომლობა ინჟინერ-ტეხნიკოსებთან. ამ მიზნით კავშირების ყველა ცენტრალურ გამგეობებთან ჩამოყალიბებულია ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციები, რომლებიც გაერთიანებული არიან სექციათაშორისო ცენტრალურ ბიუროში. ამ სექციების არსებობამ გაამართლა თავისი დანიშნულება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პროფკავშირებს, ისე ამ სექციებს თავის მუშაობაში ახასიათებთ ნაკლოვანებანი, რომლებიც საჭიროებენ გამოსწორებას.

ჩვენს წარმოებებს ყოველწლიურად მუშათა ახალი კადრები ემატება, უმთავრესად სოფლის ხარჯზე. ამ ახალ მუშებს თან მოაქვთ გლეხური განწყობილებანი. ბევრი მათგანი არ არის დაინტერესებული შრომის ნაყოფიერების აწევით, ისინი ხშირად არღვევენ შრომის დისციპლინას. პროფკავშირებისა და ინჟინერ-ტეხნიკოსთა ძალების მოვალეობას შეადგენს მათში სათანადო მუშაობის წარმოება, მაგრამ სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მათგანნი, იმის მაგივრად, რომ აწარმოვონ ეს მუშაობა და ებრძოლონ ასეთს განწყობილებას, თვითონვე კუდში მიჰყვებიან მას, რაც დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში საჭიროა ინჟინერ-ტეხნიკოსთა ძალების სიმტკიცე და პროფკავშირების დახმარება. იმედია, რომ ყველა ჩამოთვლილ დეფექტების აღმოფხვრას ჩვენ შევძლებთ გაათკეცებული თანამშრომლობით.

საქ. მუშგლეხკორთა თათბირი

დელეგატების ჩამოსვლა

გუშინ დილიდანვე თათბირის დარბაზი გაჭედილი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ დელეგატებით. ყველა დიდი ხალისით მოელოდა მანდატის მიღებას.

— შენ კოსტა, ერთი შენებურათ უნდა დაჰკრა თათბირზე და დაჭყლა ჩვენი ორგანიზაციის პირვარამი—ეუბნება ერთი დელეგატი თავის ამხანაგს, რომელიც კედლის გაზეთით დატვირთული ჩამოსულა თათბირზე.

აგერ ერთი კედლის გაზეთ, ეტლით მოიტანეს და სამ კაცს ძლივს ჩამოაქვს დაბლა.

გაიღო დარბაზის კარები. საორგანიზაციო კომისიამ მოაწყო მაგიდა და შეუდგა მანდატების გაცემას. ხალხი, თანდათან მატულობს. სამი კაცი ვერ აუდის დელეგატების აღრიცხვას. აგერ დარბაზის ერთ კუთხეში თვით დელეგატი აწარმოებს აღრიცხვას, მაგრამ მაინც არაფერი შველის, დელეგატების რიცხვი დღითდღე მატულობს.

— ამხანაგო, მე თქვენი არაფერი მინდა, ოღონდ ხმოვნის უფლება დავესწრო თათბირს,—ამბობს სოფლიდან ჩამოსული ერთი ამხანაგი, რომელსაც არავითარი საბუთი არ ჰქონდა იმისა, რომ ის ამორჩეული იყო თათბირის დელეგატად. განა ეს პირველი, და უკანასკნელი იყო? ასეთები აურებელი მოდიოდნენ და თხოულობდნენ მხოლოდ თათბირზე დასწრების უფლებას.

უკვე ორას ორმოცი დელეგატი გატარდა აღრიცხვაზე. აქედან ოთხმოციამდე სათათბირო ხმით არის. გარდა ამისა 60-მდე არიან ისეთი მუშკორები, რომლებსაც არ მიეცათ მანდატი, მაგრამ თათბირზე კი დაშვებულ იქნენ სტუმრებად. მუშკორები და გლეხკორები, რომლებმაც მიიღეს მანდატები, თავიანთ კედლის გაზეთებს ერთ კუთხეში აგროვებენ და თითონ კი სტოვებენ დარბაზს, რომ საშუალება მისცენ კომისიას თავისუფლად იმუშაოს.

საღამოს 6 საათისათვის, ხელმეორეთ იყრიან თავს დელეგატები. დარბაზი არაა ჯერ კარგად მორთული თათბირისათვის, დელეგატებს ეტყობათ, რომ რაღაც აწუხებთ, რაღაცას ეძიებენ და არ ამბობენ.

— ამხანაგებო, რა არის, მუშგლეხკორთა პირველი თათბირია და არც ერთი ლოზუნგი არ არის გაკრული, რა მუშკორები ვართ,—წამოიძახა ერთმა მუშამ, რომელმაც წინადადება მისცა თავის ამხანაგს, კოლექტიურად შეედგინათ რამე ლოზუნგები და სანამ გახსნიდნენ თათბირი, გაეკრათ. ისინი კედლებზე, მაგრამ ლოზუნგების შედგენა მათ არ გასჭირვებიათ, ისინი უკვე მზად იყო. თათბირი გადაიდო 12 მარტის დილის ათი საათისათვის.

დელეგატებმა გუშინდელი საღამო მაინც არ დაკარგეს ტყუილად. თავიანთი ხელით გააკრეს გაზეთები დარბაზში და დამშვიდებულნი გაეშურნენ ბინებისაკენ.

ვ. ნ.

დღეს, დილის 10 საათზე (კალოუბნის ქ. № 8), გაიხსნება საქართველოს მუშგლეხკორთა თათბირი.

საბჭ. კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა

ამხ. კ. ვოროშილოვის მოხსენება ლენინგრადის პარტკონფერენციაზე

საერთაშორისო მდგომარეობა

ამხანაგებო, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ლენინგრადის ორგანიზაციის საუკეთესო პარტიულ ფალანგას და მის მეორე საოლქო პარტკონფერენციას, ძმურ სალამს ვუძღვნი (ტაში). ცენტრალური კომიტეტის მუშაობა განვლილი პერიოდის განმავლობაში მეტის-მეტად ძნელ პირობებში მიმდინარეობდა. სოციალისტური მშენებლობის სწრაფ ზრდას და ჩვენი ქვეყნის კულტურულ განვითარებას თან სდევდნენ დიდი სიძნელეები, რომლებსაც ჰქმნიდნენ როგორც ჩვენი სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობა, ისე მისი განვითარების შინაური პირობები. ცენტრალური კომიტეტის დიდ მუშაობაში შეუძლებელი იყო—ობიექტიური სიძნელეები არ გაეღრმავებინა ბრძოლის განგრძობას ტროცკიზმის კონტრ-რევოლიუციონური ნაშთების წინააღმდეგ და მემარჯვენე უკლონისტური ელემენტების გამოცოცხლებას ჩვენს პარტიაში. მიუხედავად ამისა, ც. კ. ბოლშევიკური დაჟინებით სძლევდა მის გზაზე გადაღობილ ყველა დაბრკოლებას და მტკიცედ მიიმართებოდა იმ გზით, რომელიც მას პარტიის მე-15 ყრილობამ უჩვენა. ვლადიმერ ილიჩი ამბობდა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო სახელმწიფოში, არამედ სახელმწიფოთა სისტემაშიაც. განვლილი პერიოდის განმავლობაში ცენტრალურ კომიტეტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცია ამ სახელმწიფოების სისტემისათვის და ფხიზლად ედევნებია თვალყური იმ პოლიტიკური და ეკონომიური პროცესებისათვის, რომლებიც კაპიტალისტურ სახელმწიფოებში სწარმოებდნენ.

მეექვსე კონგრესი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ

იმპერიალისტური ომის შემდეგ კაპიტალისტური სისტემა საერთო კრიზისს განიცდის. კომუნისტური ინტერნაციონალის მეექვსე კონგრესმა დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა კაპიტალიზმის მდგომარეობას ომის შემდეგ და დაახასიათა კაპიტალისტური კრიზისის ცალკე საფეხურები და პერიოდები. ეს დახასიათება მოკლედ შემდეგი დებულებებით გამოიხატება: პირველი პერიოდი (რომელიც უშუალოდ მოსდევდა ომს) „უმწვავესი კრიზისის" პერიოდი იყო. მეორე პერიოდი—კაპიტალიზმის აღდგენისა და ერთგვარი სტაბილიზაციის პროცესს წარმოადგენდა. მესამე პერიოდი (ეხლანდელი) წარმოადგენს გაძლიერების ხანას (ტეხნიკის, კარტელების, ტრესტების, სახელმწიფო კაპიტალიზმისადმი ტენდენციის განვითარება) და ამავე დროს ღრმავდებიან კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობანი და წინააღმდეგობანი მათსა და საბჭოთა კავშირის შორის, რაც აუცილებელს ხდის ახალი იმპერიალისტური ომებისა და პროლეტარული რევოლიუციების ახალ ხანას.

ნება მომეცით, შევჩერდე რამდენსამე ფაქტზე, რომლებიც სავსებით ადასტურებენ, რომ კომინტერნის მეექვსე კონგრესმა სწორედ შეაფასა მსოფლიო კაპიტალიზმის თანამედროვე მდგომარეობა.

ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობანი

მსოფლიო სარბიელზე ამჟამად ერთმანეთს მეტოქეობას უწევენ კაპიტალიზმის ორი ბურჟუაზიული ძალა, ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატები და ინგლისი, რომლებიც ერთმანეთს შეეჯახნენ და ერთი მეორის წინააღმდეგ აწარმოებენ გაფთრებულს, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ეკონომიურსა და პოლიტიკურ ბრძოლას. იმპერიალისტური ომის შემდეგ ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების რესპუბლიკა ბუმბერაზულად გაიზარდა საწარმოო შესაძლებლობათა და კაპიტალების დაგროვების მხრით. ამიტომ ამერიკა თავს ვიწროდ გრძნობს თავის სახელმწიფოს ფარგლებში. იგი ვერ დასჯერდებოდა აგრეთვე იმ პოზიციებს სხვა ქვეყნებში, რომლებზედაც ომამდე მისი ეკონომიური გავლენა ვრცელდებოდა. ჩრ. ამერ. შეერთ. შტატების რესპუბლიკა თავისი საქონლის გასაღებისა და კაპიტალის ინვესტიციის ახალ ბაზრებს ეძებს, მაგრამ ამ საქმეში მას წინ ეღობება მძლავრი მეტოქე—ინგლისის იმპერიალიზმი. ყოველ ნაბიჯზე ერთმანეთს ეჯახებიან ამ ორი ბუმბერაზის ეკონომიური ინტერესები და რაც უფრო მეტი ხანი გადის, მით უფრო გაფთრებულ ხასიათს ღებულობს ეს შეტაკება. საჭირო არ არის განსაკუთრებული გამჭრიახი პოლიტიკოსი-ბოლშევიკი იყო იმის დასანახავად, რომ ინგლისისა და ამერიკის გამწვავებული წინააღმდეგობანი ბოლოსა და ბოლოს შეიარაღებული შეტაკების გზით გადასწყდებიან. ასეთია საქმის ლოღიკა. ეს შეტაკება თავისი ძალღონითა და სიმძაფრით გადააჭარბებს ყველა სისხლისმღვრელ ომს, რომელსაც ოდესმე ადგილი ჰქონდა კაცობრიობის ისტორიაში. აი ზოგიერთი ცნობა: 1913 წელს ინგლისს მსოფლიო სავაჭრო ბრუნვაში ეკავა 15.24 პროცენტი, ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებს კი—მხოლოდ 11.5 პროცენტი. 1926 წელს სურათი უკვე იცვლება: ინგლისს ეკუთვნის 14.22 პროცენტი ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებს—15 პროცენტი. 1913 წელს ინგლისმა გაიტანა 2.557 მილიონი დოლარის საქონელი, ჩრდ. ამერიკამ—2.448 მილიონი დოლარისა, ე. ი. ცოტა ნაკლები ვიდრე ინგლისმა. სამაგიეროდ 1928 წელს (11 თვის განმავლობაში) ინგლისმა გაიტანა 3.508 მილ. დოლარის საქონელი, ხოლო ჩრდ. ამერ. შეერთებულმა შტატებმა—4.655 მილიონი დოლარისა. ამასთანავე დამახასიათებელია, რომ ამერიკის ეკსპორტის სტრუქტურა იცვლება: დამზადებული საქონელი 1913 წელს ამერიკამ გაიტანა 31 პროცენტი, 1927 წელს კი—უკვე 41 პროცენტი.

გარდა იმ ბრძოლისა, რომელიც სწარმოებს გასაღებელი ბაზრებისათვის და სხვა სახელმწიფოებში კაპიტალის დაბანდებისათვის, განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იღებს ამერიკისა და ინგლისის ბრძოლა ნავთის, კაუჩუკის და ბამბის სახით. საქმე ის არის, რომ ამ ნედლეული პროდუქტების საქმეში ორივე სახელმწიფო ერთი-მეორეზეა დამოკიდებული. ამერიკამ თავის ხელში მოაქცია ბამბის 72 პროცენტი. ამავე დროს ინგლისის ხელშია კაუჩუკის მსოფლიო რაოდენობის 75 პროცენტი. ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებში მოსახმარი კაუჩუკის უდიდესი ნაწილი (77 პროცენტი) ინგლისიდან შეაქვთ, ხოლო ინგლისი თავის მხრით ხმარობს ამერიკის ბამბის 50.6 პროცენტს. ამ ნიადაგზე ჩნდება დაუსრულებელი კონფლიქტები, რომელთა მშვიდობიანი გადაჭრა თანამედროვე სიტუაციის წყალობით უფრო და უფრო ძნელი ხდება. ამას თვით ამერიკელები ასკვნიან.

საინტერესო იქნება გავიხსენოთ ცნობილი გამომგონებლის ედისონის აზრი. 1928 წლის დამდეგს მან სთქვა: „ჰენრი ფორდი და ფეერსტონი არკვევდნენ საკითხს, რა უნდა ჰქნას ჩვენმა ქვეყანამ. თუ მოხდება ომი, რომელიც რეზინის შემოზიდვას მოგვისპობს. ნურავითარი ილუზიები ნუ გექნებათ ამ ომის შესახებ: იგი მოხდება. გვიან თუ მალე ევროპის ერები გაერთიანდებიან ჩრდ. ამერიკის წინააღმდეგ და პირველი იმათი ნაბიჯი ის იქნება, რომ რეზინს მოგვისპობენ".

ამჟამად ამერიკა და ინგლისი ისე ებრძვიან ერთმანეთს, როგორც ინგლისი და გერმანია ებრძოდნენ 1914 წლის ომამდე. მაშინ ჩვენ ვითვალისწინებდით და ვწინასწარმეტყველობდით ომს, როგორც ერთად-ერთ საშუალებას გერმანიისა და ინგლისის გამწვავებულ წინააღმდეგობათა გადასაჭრელად—და ეს ომი მოხდა კიდეც. ამასვე გამოიწვევს ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობათა ზრდა. ფრიად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების სენატმა 1929 წლის თებერვლის დამდეგს კელოგის პაქტის რატიფიკაციისთანავე მიიღო კანონ-პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 15 ახალი კრეისერის აგებას. ამავე დროს მიღებულ იქნა სენატორ ბორას მიერ წარმოდგენილი დამატება კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის შესახებ ზღვაზე. ეს დამატება ძალიან საზარალოა ინგლისისათვის, რომელსაც დაუსჯელად შეეძლო ნეიტრალური სახელმწიფოების გემების ჩაძირვა ომის დროს. ასეთი ფაქტების ჩამოთვლა მრავლად შეგვიძლია.

ეს ფაქტები ერთხელ კიდევ ადასტურებენ კომინტერნის მეექვსე კონგრესის წინასწარმეტყველების სისწორეს, რომ კაპიტალისტური მსოფლიო ფეხსა სდგამს ახალი იმპერიალისტური ომების ხანაში. დამახასიათებელია, რომ ამერიკისა და ინგლისის სხვადასხვა პასუხისმგებელი პოლიტიკური მოღვაწეები აშკარად ლაპარაკობენ ინგლის-ამერიკის ომის შესაძლებლობის შესახებ. პრესაში უკვე მოიყვანეს ციტატები ადმირალ პლანკეტის სიტყვიდან.

უკანასკნელ ხანებში ამავე თემაზე ილაპარაკეს ამერიკელმა სენატორებმა [illegible] და რიდმა, რიდი დაურიდებლად ამბობს: „ინგლისის პოზიცია მუქარას წარმოადგენს ამერიკისათვის. ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც ვერაფერი ასწავლა ინგლისის მოქმედებამ, ამერიკელი ხალხის წარმომადგენლად ვერ გამოდგება. მე მოვითხოვ, რომ ჩვენ ავაგოთ არა ისეთი ფლოტი, რომელიც თავისი ძალით გაუთანაბრდება ყოველ სხვა ფლოტს, არამედ ისეთი, რომელიც საკმაოდ ძლიერი იქნება, რომ რამდენიმე შეერთებული სახელმწიფოს ფლოტებმაც კი ვერ გაბედონ ჩვენზე თავდასხმა. ოკეანის თვალუწვდენელ სივრცეზე ჩვენს ყურამდე აღწევს იმ უროების ხმა, რომლებიც სჭედენ დიდი საომარი გემების ჯავშანს. იფიქრეთ ინგლისისა, საფრანგეთისა და იაპონიის ფლოტების შესახებ. ჩვენ ვცხოვრობთ გრანდიოზული მეტოქეობის ეპოქაში. თავდაცვა საუკეთესო იარაღს წარმოადგენს უშიშროებისათვის. მსხვერპლად ის გახდება, ვინც უმწეო აღმოჩნდება. ჩვენი ფლოტის პირველ მოვალეობას შეადგენს ამერიკის დაცვა და ჩვენ ყური უნდა დავიხშოთ მაშინ, როდესაც პაციფისტების სიტყვები გაისმის".

ინგლისის მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ მაკდონალდმა რომელსაც იმედი აქვს რომ არჩევნების შემდეგ ისევ დაუბრუნდება ხელისუფლებას, ამერიკულ ჟურნალ „ნეიშენ"-ში წერილი მოათავსა. მაკდონალდი თავის მხრით მელანქოლიურად ამბობს: „ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობა თანდათან უარესდება. ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის პრაქტიკული პოლიტიკა სწორედ ისეთივეა, როგორიც წინ უძღოდა უკანასკნელ ომს და რომელმაც მოამზადა იგი". „ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობა,—განაგრძობს მაკდონალდი,—ისეთ ხასიათს იღებს, რომ ნამდვილი კონფლიქტი შეუძლებლად არ გვეჩვენება".

(ცხადია, არავინ ჩვენგანი არ იფიქრებს, რომ რომელიმე დასახელებული ავტორი კომუნიზმის იდეებს „აღიარებდეს". მაგრამ „პროგნოზები" და გულახდილი ლაპარაკი მომავლის შესახებ ძალიან ბევრ რამეში ჰგავს მთლიანი სიტუაციის იმ შეფასებას, რომელიც მოგვცა კომინტერნის მეექვსე კონგრესმა.

შეიარაღების ზრდა

რათა სრულიად დავასურათოთ საერთაშორისო მდგომარეობა, საჭიროა შევჩერდეთ შეიარაღების განუწყვეტელი ზრდის საკითხზე. იმპერიალიზმის შეიარაღებული ძალები, თუ შეიძლება ასე ითქვას, რიცხვობრივად როდი არ იზრდებიან, ცოცხალი ძალების რიცხვი უკანასკნელ დროს მაინც და მაინც ძალიან არ გაზრდილა. თუ ავიღებთ 5 მთავარ სახელმწიფოს (საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონია), დავინახავთ, რომ მათ ჯარში 1913 წელს ითვლებოდა 1.827.000 კაცი, ხოლო 1929 წელს—2.068.000, ე. ი. 241.000 კაცით მეტი. მაგრამ იმპერიალისტური სახელმწიფოების ჯარში ისეთი პროცესები ხდება, რომლებიც არაჩვეულებრივად ადიდებენ მათ შეიარაღებულ ძალას. დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს პროფესიონალების. ე. ი. კლასობრივად შერჩეული ელემენტების პროცენტის ზრდა ბურჟუაზიულ არმიებში. 1911 წელს საფრანგეთის მთელ არმიაში პროფესიონალები შეადგენდნენ 8.4 პროცენტს, 1928 წელს კი—უკვე 40,3 პროცენტს.

ამრიგად, ბურჟუაზია უზრუნველჰყოფს თავის თავს მძლავრი და საიმედო კადრების შექმნით, რომლებშიაც ითქვიფებიან ზეგარით გაწვეულთა კონტიგენტები. ხარჯები შეიარაღებაზე უკანასკნელ წლებში თვალსაჩინოდ გაიზარდა. 6 სახელმწიფოს (საფრანგეთის, ინგლისის, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის, იაპონიის და გერმანიის) სამხედრო ბიუჯეტები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გაიზარდნენ 10,3 პროცენტით (1923—24 წელს—2.002.000 დოლარი, 1928 წელს—2.216.000 დოლარი). ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ თითქმის ყველა სახელმწიფო ამცირებს ცნობებს სამხედრო ხარჯების შესახებ. შეიარაღებისათვის გაწეული ხარჯების ნაწილი სამხედრო უწყების ნუსხაში კი არ არის ნაჩვენები, არამედ სხვა პარაგრაფებსა და მუხლებში. შემდეგი ცნობებიდან ჩანს, თუ როგორია სამხედრო ხარჯების ხვედრითი წონა ამ 6 სახელმწიფოში. 1928 წელს საფრანგეთი შეიარაღებაზე ოფიციალურად ხარჯავდა თავისი ბიუჯეტის 21,1 პროცენტს (ფაქტიურად ხარჯები ორჯერ მეტია), ინგლისი—15 პროცენტს, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა—18,4 პროცენტს, იტალია—23,8 პროცენტს, იაპონია—27,8 პროცენტს, გერმანია, რომელსაც აკრძალული აქვს დიდი შეიარაღებული ძალების შენახვა—მხოლოდ 8,3 პროცენტს. საინტერესოა, რომ პოლონეთი ხარჯავს 38 პროცენტს და გარდა ამისა, დიდ თანხებს ხარჯავს საიდუმლო წესით. ამის გამო, როგორც იცით, ამ ცოტა ხნის წინად მოხდა სიტყვიერი ბრძოლა პილსუდსკისა და სეიმს შორის. ჩვენ, თვალუწვდენი ტერიტორიისა და უდიდესი მოსახლეობის მიუხედავად, არმიაზე ვხარჯავთ ჩვენი ბიუჯეტის მხოლოდ 11 პროცენტს.

ზევით მე ვთქვი, რომ საკადრო კაპიტალისტური არმიების ცოცხალი ძალების რიცხვი იზრდება ნელა, ყოველ შემთხვევაში ისე სწრაფად არა, როგორც მოსალოდნელი იყო სამაგიეროდ, ბურჟუაზია ჰქმნის თავის მოხალისე სამხედრო ორგანიზაციებს, რომლებიც უნდა გამოდგნენ ბაზისად შეიარაღებულ ძალთა გაფართოებისათვის. ეს სამხედრო-საზოგადოებრივი ორგანიზაციები ძალზე იზრდებიან. საფრანგეთში ასეთ ორგანიზაციებში ირიცხება 1.185.000 კაცი, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში—1.896.000, ინგლისში—778.000, იტალიაში—2.160.000: ამ ორგანიზაციების უდიდეს უმრავლესობას საკადრო ოფიცრები სწვრთნიან; სამხედრო გაწვრთნით და ხშირად დისციპლინითაც ეს ორგანიზაციები ნამდვილ სამხედრო ნაწილებს წარმოადგენენ. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სამხედრო ტეხნიკის განვითარება. ასე, მაგალითად, თუ 1913 წელს საფრანგეთს ყოველ დივიზიაზე ჰქონდა 24 ტყვიამფრქვევი, ეხლა საფრანგეთის არმიის ყოველ დივიზიას აქვს უკვე 483 ტყვიამფრქვევი, ე. ი. 20-ჯერ მეტი. ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების არმიასაც 1913 წელს ყოველ დივიზიაზე ჰქონდა 24 ტყვიამფრქვევი, ეხლა—უკვე 924, ე. ი. 38-ჯერ მეტი. ძალიან გაიზარდა არმიის არტილერია, გადიდდა მისი შორსმსროლელობა და სიმძლავრე. სამხედრო-საჰაერო ფლოტები ამ ხნის განმავლობაში მძლავრ ძალად გადაიქცნენ. მე მაქვს შემდეგი ცნობები: ინგლისში 1923 წელს იყო 385 აეროპლანი, ხოლო 1928 წელს—850, ამერიკაში 1923 წელს—420, 1928 წელს კი—950, იტალიაში იყო 250, ეხლა კი—600, იაპონიაში იყო 250, 1928 წელს—470 საფრანგეთში იყო 1,350, ხოლო 1928 წელს—1 650. ეს ციფრები ეხება ეგრედ წოდებულ მოქმედ აეროპლანებს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საავიაციო მატორების მშენებლობამ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში განვითარების მეტად მაღალ დონეს მიაღწია. შეგვიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ ომის დროს ეს ციფრები შეიძლება არა თუ გაორკეცდნენ, არამედ ხუთჯერაც გაიზარდონ.

ჩვენი მახლობელი მეზობლების შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი ოდნავადაც არ ჩამორჩებიან სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებს. ისინი ისევე იარაღდებიან, როგორც მათი მფარველი დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოები, ისინი ხარჯავენ მეტად დიდ, მათი ბიუჯეტისათვის აუტანელ თანხებს. ჩვენმა მეზობლებმა დასავლეთის მხრიდან—ფინეთმა, ესტონეთმა, ლატვიამ, პოლონეთმა და რუმინეთმა 1923—24 წელს ოფიციალურად დახარჯეს 335 მილიონ ოქროს მანეთი. ხოლო 1928—29 წელს ისინი ხარჯავენ 380 მილიონ ოქროს მანეთს. ფაქტიური ხარჯები, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო დიდია. პოლონეთის არმიას ამჟამად აქვს ვარგიანი არტილერია და დიდძალი ტყვიამფრქვევი. პოლონეთის რესპუბლიკამ ბოლო დროს საფრანგეთის და ნაწილობრივ ინგლისის დახმარებით შექმნა შედარებით მძლავრი სამხედრო მრეწველობა (აეროპლანების საამშენებლო, ზარბაზნების, იარაღის და ვაზნების ქარხნები).

საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობის პოლიტიკას აწარმოებს

როგორ უნდა გვეწარმოებინა ჩვენ ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკა ყველა იმ ფაქტორის არსებობის დროს, რომელთა შესახებაც მე ვილაპარაკე? ერთის მხრით, ჩვენ ვხედავთ წინააღმდეგობათა ზრდას კაპიტალისტურ მსოფლიოში, ხოლო, მეორეს მხრით, უფრო და უფრო ღრმავდებიან წინააღმდეგობანი სოციალისტურ სახელმწიფოსა და მსოფლიო კაპიტალს შორის. ცეკა მიდიოდა, მიდის და ივლის იმ გზით, რომელიც დასახულ იქნა ლენინის მიერ და რომლითაც ჩვენ მოვდივართ ოქტომბრის რევოლიუციის მომენტიდან. ჩვენ ვიდექით და ვდგევართ მშვიდობიანობის დაცვის თვალსაზრისზე და გულწრფელად მოწადინებული ვართ ომის თავიდან აცილების სურვილით. ცენტრალური კომიტეტი ატარებდა ამ ხაზს მთელ მისთვის მისაწვდენი ენერგიითა და სიმედგრით. ჩვენ ყოველი ღონე ვიღონეთ იმისათვის, რომ განგვემტკიცებინა მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის ხელის შემწყობი ყველა ელემენტი. მეორეს მხრით, ჩვენ ვდგამდით გადამჭრელ ნაბიჯებს იმისათვის, რომ მოგვესპო ის პირობები, რომლებიც ამწვავებენ საერთაშორისო ურთიერთობას და იწვევენ ომს ჩვენს წინააღმდეგ ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

როგორც იცით, ჩვენ წინადადება მივეცით კაპიტალისტურ სახელმწიფოებს განიარაღების შესახებ. ჩვენი პროექტები საერთო და ნაწილობრივი განიარაღების შესახებ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, უარჰყვეს. მაგრამ ამ წინადადებებმა, რომლებიც ჩვენ ჟენევაში წამოვაყენეთ, თავისი როლი ითამაშეს და მათ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ იმპერიალისტების ნამდვილ გეგმებისა და ზრახვების გამოაშკარავების საქმეში. როდესაც ჩვენს მთავრობას საფრანგეთის მთავრობის საშუალებით წინადადება გადაეცა კელოგის პაქტზე ხელის მოწერის შესახებ, ჩვენ ამ პაქტს ხელი მოვაწერეთ. ჩვენ ერთი წუთითაც ეჭვი არ შეგვდის იმაში, რომ კელოგის პაქტს არ შეუძლია მშვიდობიანობის უზრუნველყოფა კელოგის პაქტს არ შეუძლია თავიდან აცილება იმ სისხლიან შეტაკებებისა, რომლებიც დღითი-დღე ახლოვდებიან. მიუხედავად ამისა, ჩვენ ხელი მოვაწერეთ ამ დოკუმენტს. სწორედ ამით ჩვენ ძალიან დავასუსტეთ პოზიციები ჩვენი მტრებისა, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ დაჟინებით აწარმოებენ [illegible] პროპაგანდას. ჩვენ ბევრს მომაკვდინებელ ცოდვას გვაბრალებენ, გვაბრალებენ, სხვათა შორის წითელ იმპერიალიზმს. ჩვენ რომ უარი გვეთქვა კელოგის პაქტის ხელის მოწერაზე, აქით ახალ საბუთს მივცემდით მტრებს ანტისაბჭოთა აგიტაციისათვის. ჩვენ არა თუ ხელი მოვაწერეთ კელოგის პაქტს, არამედ წამოვაყენეთ წინადადება იმის შესახებ, რომ ეს პაქტი ვადამდე შესულიყო ძალაში. ჩვენსა და პოლონეთს შორის. თქვენ იცით, რომ როდესაც საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან პოლონეთის მთავრობამ მიიღო წინადადება კელოგის პაქტის ვადამდე შესვლის შესახებ, იგი პასუხის გაცემას დიდხანს აჭიანურებდა. მან თავი უხერხულად იგრძნო, იგი მეტად მძიმე მდგომარეობაში იქნა ჩაყენებული. პოლონეთის უმაღლესი მფარველის საფრანგეთისათვისაც მოულოდნელი იყო ჩვენი წინადადება. საფრანგეთის პრესამ ანტისაბჭოთა კამპანია დაიწყო. პოლონეთისა და ფინეთის პრესაშიაც ჰქონდა ადგილი მკაცრ გამოსვლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. დაიწყო დიპლომატიური მიწერ-მოწერა, რომელსაც თქვენ კარგად იცნობთ და რომელიც დამთავრდა იმით, რომ ოქმს ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირმა, პოლონეთმა, რუმინეთმა, ესტონეთმა და ლატვიამ. ამ ოქმს შემდეგში თურქეთი შეუერთდა. მე დარწმუნებული ვარ, ამხანაგებო, რომ თქვენ მოიწონებთ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკას. თქვენ მიხვდებით, რომ მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერით ჩვენ რამდენიმე ხნით გავუძნელეთ ჩვენს კლასობრივ მტრებს—თავს დაგვესხნენ. არასოდეს ჩვენ გადამეტებით არ ვაფასებდით კელოგის პაქტის მნიშვნელობას, მაგრამ ჩვენი პოლიტიკური ნაბიჯით მახლობელი პერიოდისთვის გავაგრძელეთ ის შესვენება, რომელიც ისტორიამ გვარგუნა და რამდენადმე განვამტკიცეთ მშვიდობიანობის შანსები.

საშინაო მდგომარეობა

საბჭოთა კავშირი წინანდებურად წარმოადგენს კუნძულს მტრულად განწყობილ კაპიტალისტურ ოკეანეში და ჩვენი საშინაო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ისტორიულად შექმნილ ამ მდგომარეობას. ცენტრალური კომიტეტი გადაჭრით და ენერგიულად უნდა ატარებდეს პარტიის ხაზს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ. საბჭოთა კავშირის, როგორც მუშათა დიქტატურის ქვეყანას, რომელიც აშენებს სოციალიზმს, შეუძლია არსებობს და განვითარდეს მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის იმ ტემპის შენარჩუნებით, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვთავისუფლდეთ უცხოეთის დამოკიდებულებისაგან. ის უზრუნველჰყოფს თავდაცვის მოთხოვნილებებს და მთელი მეურნეობის რეკონსტრუქციის შესაძლებლობას. როგორ გამოხატულებას პოულობდა ეს ძირითადი ხაზი ცეკას მუშაობაში?

მრეწველობა

მრეწველობა სწრაფი ტემპით იზრდება. 1924—25 წლიდან 1928 წლამდე ძირითადი კაპიტალი (გარდა ელექტრო-მშენებლობისა) გაიზარდა 33,6 პროცენტით. მრეწველობის ძირითადი კაპიტალი 1928—29 წელს აღწევს 10.330 მილ. მანეთს. ელექტრო-ენერგიის გამომუშავება ამავე ხნის განმავლობაში არაჩვეულებრივად გაიზარდა. 1913 წელს მთელი ელექტრო-ენერგია ყოფილი რუსეთის ტერიტორიაზე შეადგენდა 1.945 მილ. კილოვატ-საათს, 1924—25 წელს—2.274 მილ. კილოვატ საათს, 1928—29 წელს ჩვენ უკვე გვაქვს 5.261 მილ. კილოვატ-საათი, ე. ი. 1913 წელთან შედარებით ის გაიზარდა თითქმის 3 ნახ. ჯერ. ამგვარად, ინდუსტრიალიზაციაზე აღებული კურსი ხორციელდება არა სიტყვით, არამედ საქმით, წლითი წლობით იზრდება ჩვენს მრეწველობაში კაპიტალური თანხების დაბანდება. მაგრამ ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების მშენებლობა დიდ დროს მოითხოვს და მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში ვამჩნევთ ამ კაპიტალურ დაბანდებათა პირველ შედეგებს. 1925—26, 1926—27 და 1927—28 წლების განმავლობაში ჩვენ ავამუშავეთ ახალი საწარმონი, რომლებიც დაჯდა 302 მილ. მანეთი. ხოლო 1928—29 წელს ავამუშავებთ ისეთ საწარმოებს, რომელთა ღირებულება უდრის 550 მილ. მანეთს. კაპიტალური სამრეწველო მშენებლობისა და ელექტრომშენებლობის ზრდასთან ერთად შეუჩერებლივ იზრდება მთელი მრეწველობის პროდუქცია. ჩვენი მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემპი არაჩვეულებრივად მაღალია და მას არა აქვს პრეცედენტი ეკონომიურ ისტორიაში.

ხუთწლიანი გეგმა

აქ მოყვანილი ცნობები გვიხატავენ ჩვენი მრეწველობის მუშაობას წარსული წლების განმავლობაში. როგორია შემდგომი პერსპექტივები? ამაზე პასუხს გვაძლევს ჩვენი მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, რომელიც შეადგინა სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ. ხუთწლიანი გეგმის თანახმად პროდუქციის გამოშვება ყოველწლიურად უნდა გაიზარდოს 21—22 პროცენტით, ე. ი. პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპი შენარჩუნებულ უნდა იქნას საკმაო სიმაღლეზე. 5 წლის დამლევს (ე. ი. 1932—33 წ.) პროდუქციის გამოშვება არაჩვეულებრივად გადიდდება. 1927—28 წელს მრეწველობის საერთო პროდუქციის რაოდენობა უდრიდა 10.284 მილ. მანეთს, ხოლო 1932—33 წელს პროდუქციის გამოშვება აყვანილ უნდა იქნას 29.980 მილ. მანეთამდე, ე. ი. უნდა გაიზარდოს 267 პროცენტით. ამავე დროს ჯგუფმა A-მ, ე. ი. საწარმოო საშუალებათა წარმოებამ, პროდუქცია უნდა გაადიდოს 321 პროცენტით, ხოლო ჯგუფმა Б-მ, რომელიც ამზადებს სამომხმარებლო საშუალებებს—230 პროცენტით.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს შორის მთავარი ადგილი უჭირავს კაპიტალური თანხების დაბანდებას. გეგმა ითვალისწინებს კაპიტალური დაბანდებების (მრეწველობაში) გადიდებას 12.755 მილ. მანეთამდე (გარდა ელექტრო-მშენებლობისა). იმ თანხებთან ერთად, რომლებიც იხარჯება ელექტრომშენებლობაზე სულ გამოდის 15 მილიარდი მანეთი. ხუთი წლის ბოლოში მრეწველობის ძირითადი კაპიტალი (გარდა ელექტრომშენებლობისა) მიაღწევს 21 ნახ. მილიარდ მანეთს.

ინდუსტრიალიზაციის ტემპი

ყველა ეს ცნობა იმას მოწმობს, რომ ინდუსტრიალიზაციის ის ტემპი, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, საკმაოდ დაძაბულია. ამ ტემპს უწინარეს ყოვლისა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების საქმეში. შესაძლებელია იმისათვის უნდა გამოვიყენოთ, რომ უაღრესად სწრაფი ტემპით განვავითაროთ ინდუსტრიალიზაცია. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ შევადგინოთ ინდუსტრიალიზაციის გეგმები, რომ ანგარიში არ გავუწიოთ ჩვენს ძალებსა და სახსრებს, მხედველობაში არ მივიღოთ მდგომარეობის რეალური პირობები. ყოველგვარ შეცდომას გამოანგარიშებაში, განსაკუთრებით ძალების გადამეტებულად დაძაბვას შეუძლია ცუდი გავლენა იქონიოს სოციალისტური მშენებლობის საქმეზე. ტროცკისტები, მაგალითად, გამოდიოდნენ ზეინდუსტრიალიზაციის გეგმებით. მათ ავიწყდებოდათ, რომ ჩვენი ინდუსტრია ვითარდება თავისებურ პირობებში. წვრილ და უწვრილეს გლეხურ მეურნეობათა არსებობის, საშინელი ჩამორჩენილობისა, უკულტურობის და ამ წყეული მემკვიდრეობის პირობებში, რომელიც წარსულისაგან მივიღეთ. ამიტომ ტროცკისტების ეკონომიური „პროგრამა" წარმოადგენს უნიადაგო დემაგოგიურ დოკუმენტს. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ამ პოზიციებიდან ტროცკისტები უკვე დიდი ხანია გადაბარგდნენ კონტრრევოლიუციის ბანაკში. საბჭოთა ხელისუფლების აშკარა მტრების ბანაკში. ეხლა კრიტიკა გამომდინარეობს სხვა ფლანგიდან და არგუმენტაცია მიმართულია ტემპის შენელებისაკენ. თუ ტროცკისტები გამოდიოდნენ ზეინდუსტრიალიზაციის პროგრამით, მემარჯვენე გადახრის იდეოლოგები გამოდიან თეზისებით იმის შესახებ, რომ სახალხო მეურნეობის ძალღონეს არ შეუძლია ინდუსტრიის განვითარების ეხლანდელი ტემპი. მემარჯვენე გადახრის წარმომადგენლნი მოითხოვენ ტემპის შენელებას და, როგორც ისინი ამბობენ, ისეთ „რეალურ" შესაძლებლობათა შექმნას, რომლებიც უნდა უზრუნველჰყოფდნენ ჩვენი მეურნეობის „უმტკივნეულო" განვითარებას. მემარჯვენე უკლონისტთა თვალსაზრისი აშკარად უსაფუძვლოა. ისინი უწინარეს ყოვლისა ივიწყებენ ჩვენი სამეურნეო განვითარების სიძნელეებს. რომელთა საფუძველს წარმოადგენენ ერთის მხრივ, ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის პირობები (მე უკვე ვილაპარაკე საბჭოთა კავშირის ფინანსიურ ბლოკადის შესახებ), ხოლო მეორეს მხრივ—ჩვენი შინაგანი მდგომარეობის პირობები.

ზედმეტია ფიქრი იმაზე, რომ სოციალისტური მრეწველობის მშენებლობა ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანაში უმტკივნეულოდ შეიძლებოდეს. ყოველგვარი ლაპარაკი ამ თემაზე ფუჭი და უაზრო ლაყბობაა. მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ისიც, რომ მემარჯვენე უკლონისტები წინადადებას გვაძლევენ ჩვენი მრეწველობის განვითარების საქმეში საფუძვლად ავიღოთ ის დონე, რომელზედაც დგანან ამ მრეწველობის უფრო ჩამორჩენილი დარგები. პარტიის ხაზი კი სწორედ ამის საწინააღმდეგოა: მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ არსებული რესურსები იმისათვის, რომ ავსწიოთ ჩვენი სამეურნეო ფრონტის ის ჩამორჩენილი დარგები, რომლებსაც შეუძლიათ შეაფერხონ ჩვენი განვითარების ტემპი.

სად უნდა ვეძიოთ მემარჯვენე გადახრის ფესვები? უწინარეს ყოვლისა იმ ობიექტიურ სამეურნეო სიძნელეებში, რომლებიც აშინებენ მერყევ ელემენტებს. მეორეს მხრივ აღსანიშნავია უცხო ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენა. ჩვენს სახელმწიფო აპარატში მუშაობს ძალიან ბევრი ყოველგვარი სპეციალისტი და მეცნიერი წინწკლებში და უწინწკლოდ. ეს ტიპები მონაწილეობას იღებენ ჩვენს მშენებლობაში და „თავისებურად" განმარტავენ ჩვენს მიღწევებსაც და ჩვენს დეფექტებსაც და თავისებურად სახავენ გზებს ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად. ამ სპეციალისტების მთელმა ჯგუფმა უკანასკნელ დროს გამოილაშქრა სწორედ ინდუსტრიალიზაციის ტემპის წინააღმდეგ. ზოგიერთი სპეციალისტები, მაგალითად, ა. ვაინშტეინი და ბევრი სხვა, პირდაპირ ამბობს, რომ ჩვენ მიერ აღებული ტემპი კრიტიკას ვერ უძლებს და რომ ამ ტემპში ჩვენ დავმარცხდებით.

აი რას სწერდა ა. ვაინშტეინი:

„ხუთწლიანი გეგმის ძირითად ნაკლს წარმოადგენს ის, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარება ნავარაუდევია მეტად სწრაფი, ჩვენი ძალ-ღონისათვის შეუფერებელი და არარეალური ტემპით... ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი ყოველწლიური ტემპი შემოსავლის ზრდისა უნახავია იმ უაღრესად კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც კი, რომლებიც ომამდე სწრაფად ვითარდებოდნენ".

ამავე თვალსაზრისზე დგას ა. ნიკიტსკი. არიან ეკონომისტები, რომლებიც თუმცა ჩვენთან მუშაობენ და ჩვენთან იმყოფებიან, მაგრამ აზროვნობენ და გრძნობენ არა ჩვენებურად. ეს მსჯელობა იმას მოწმობს, რომ მთელი რიგი ეკონომისტები არ იცნობენ და არც სურთ იცნობდნენ უდიდეს შესაძლებლობებს, რომლებიც პროლეტარულ სახელმწიფოს მოეპოვება. ობიექტიურად ამავე თვალსაზრისზე ეშვებიან ჩვენი მემარჯვენე უკლონისტური ელემენტები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის გარდაქმნის დროის ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენს ინდუსტრია. მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპი მოგვცემს გამოსავალს იმ სიძნელეებიდან, რომლებსაც ამჟამად განვიცდით. ეს ანბანი არ უნდა ავიწყდებოდეთ მემარჯვენე უკლონისტურ ელემენტებს, რომლებიც პანიკას ეძლევიან და ეძებენ ჩვენი მშენებლობის ახალ „უმტკივნეულო" გზებს. გაიხსენეთ ლენინის აღთქმა: „უნდა დავეწიოთ მოწინავე ქვეყნებს და გავუსწროთ მათ ეკონომიურადაც".

გეგმების შესრულება

იმ კითხვაზე—შევძლებთ თუ არა ძალა განვახორციელოთ ჩვენ მიერ აღებული ტემპი ინდუსტრიალიზაციისა, ნაწილობრივ პასუხს იძლევა სამეურნეო გეგმების შესრულება გასულ წელს. 1927—28 წელს ჩვენ პირველად გვქონდა ისეთი თვალსაჩინო მიღწევა, როგორიცაა თვითღირებულების შემცირება 5,1 პროცენტით. მე იმიტომ ვაქცევ თქვენს ყურადღებას ამ ფაქტს, რომ თვითღირებულების შემცირება წარმოადგენს ერთ-ერთ იმ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომელიც სდგას ჩვენი პარტიის წინაშე. იმ დრომდე, სანამ ჩვენ ვერ შევსძლებთ თვალსაჩინოდ შევამციროთ თვითღირებულება, სანამ ვერ შევსძლებთ ნამდვილად გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, სანამ არ გადავჭრით ჩვენი პროდუქციის თვისებრივი გაუმჯობესების ამოცანებს—მანამდე ჩვენი მიღწევები პირობითი და არასრული იქნება.

ამრიგად, გასულ წელს პირველად შევამცირეთ თვითღირებულება 5,1 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება გადიდებულ იქნა 14 პროცენტით. სამუშაო ხელფასი გადიდდა 10,4 პროცენტით. საშუალო ხელფასი 1927-28 წელს აბსოლიუტური ციფრებით უდრიდა 60 მან. 70 კაპეიკს, მაშინ, როდესაც 1926-27 წელს იგი უდრიდა 56 მან. 40 კაპ. დასასრულ, პროდუქციის ზრდა უდრიდა 23 პროცენტს. თქვენ ხედავთ, რომ 1927-28 წელმა მოგვცა დადებითი, უაღრესად სასიამოვნო შედეგები. მართალია, ჩვენ იმედი გვქონდა, რომ რამდენადმე უფრო შევამცირებდით თვითღირებულებას, უფრო ავწევდით შრომის ნაყოფიერებას, მაგრამ საერთო შედეგები მაინც დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ცენტრალური კომიტეტი ყოველ ზომას იღებს იმისათვის, რომ უახლოესი პერიოდის განმავლობაში წარმოების საშუალებათა განვითარების მაჩვენებლები თვალსაჩინოდ გაიზარდონ, მიღებული ზომები იმისათვის, რომ ჩვენი ძველი მეტალურგიული ქარხნები (აქ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ საკმაო ყურადღებას არ ვაქცევდით საქმის ამ მხარეს) ნამდვილად დავტვირთოთ, გავაუმჯობესოთ ამ ქარხნების წარმოება და განვახორციელოთ მათი რაციონალიზაცია, რათა ამ ქარხნებისაგან მივიღოთ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია. გარდა ამისა, მომქმედი მეტალურგიული ქარხნების გაფართოება საშუალებას მოგვცემს უმოკლეს ვადაში მივიღოთ ლითონის დამატებითი მასები. ამჟამად ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ შევადგინოთ დიდძალი ახალი მეტალურგიული ქარხნების პროექტები. ხუთი წლის დამლევს ამუშავდება: ქერჩის ქარხანა (1 და 2 წყება), მაგნიტოგორის, კრივოროჟის, ლიპეცკის, ზაპოროჟიეს და მრავალი სხვა ქარხანა.

მემარჯვენე გადახრის წარმომადგენელნი გვსაყვედურებენ რომ ჩვენ ვაძლიერებთ და ვაჩქარებთ ჩვენი განვითარების ტემპს. აი მეტად საინტერესო ცნობები, რომლებიც ამხ. ტოლოკონცევმა გადმომცა. ს.მ.უ. საბჭომ მოსთხოვა დაინტერესებულ დაწესებულებებს, რომ მათ გამოეგზავნათ ცნობები თავიანთი მოთხოვნილებათა შესახებ მომავალი ხუთი წლის განმავლობაში. მიღებულ იქნა შემდეგი დამახასიათებელი ცნობები, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთს დაგისახელებთ:

მილიონ მანეთობით:

	მოთხოვნილება	წარმოება
1) თბოძალოვანი მოწყობილობა	1.084	718.
2) დაზგები	620	200.
3) სპეციალური მანქანები—ქაღალდის და ქიმიური	381	123.
4) ტრანსპორტი	1.196	1.410.

ეს ციფრები მოწმობენ, რომ ინდუსტრიალიზაციის ამჟამად დასახული ტემპითაც კი ვერ შევსძლებთ დავაკმაყოფილოთ ჩვენი მეურნეობის მოთხოვნილებანი, რომლებიც თანდათან იზრდებიან. მოთხოვნილებას დაზგებზე და სპეციალურ მანქანებზე ჩვენ დავაკმაყოფილებთ მხოლოდ 30 პროცენტით. ხოლო დანარჩენი ნაწილი უცხოეთიდან უნდა შემოვიტანოთ.

მე უკვე შევაფასე ჩვენი ინდუსტრიის მუშაობა 1927-28 წელს. როგორ სრულდება სამრეწველო გეგმა 1928-29 წლის პირველ კვარტალში? მრეწველობის გეგმის შესრულება ჯერ-ჯერობით არ იძლევა საფუძველს რაიმე შიშისათვის. გასულ წელთან შედარებით პროდუქცია 23 პროცენტით გაიზარდა. შრომის ნაყოფიერება პირველ კვარტალში გაიზარდა 9,12 პროცენტით (თუმცა 17 პროცენტით უნდა გაზრდილიყო, აქ ჩვენ ცოტა ჩამოვრჩით). სამუშაო ხელფასის წილი პროდუქციის ღირებულებაში 0,5 პროცენტით შემცირდა. თვითღირებულების შემცირება ჯერ კიდევ არ გამორკვეულა. ცალკე დარგებში წარმატება გვაქვს, ხოლო ზოგიერთ დარგში თვითღირებულება, სამწუხაროდ, რამდენადმე გაიზარდა კიდეც. მე ჯერჯერობით თავს ვიკავებ დასკვნების გამოყვანისაგან, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ საჭიროა დაიწყოს ენერგიული კამპანია თვითღირებულების შემცირებისათვის. სამეურნეო და პროფესიონალურმა მუშაკებმა და პარტიულმა კოლექტივებმა ამ მხარეს უნდა მიაქციონ მთელი თავიანთი ყურადღება.

ჩვენი მშენებლობის სიძნელენი

მრეწველობის მშენებლობა, როგორც უკვე ვსთქვი, დიდ სიძნელეთა ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს. ეს სიძნელენი ორ ნაწილად იყოფა: ერთს შეადგენენ ობიექტიური ხასიათის სიძნელენი, რომელთა გადალახვა მხოლოდ განსაზღვრულ დროის განმავლობაში შეიძლება. მაგრამ ჩვენ გვეღობება ბევრი ისეთი სიძნელეც, რომელიც სუბიექტიურ ხასიათს ატარებს და გამომდინარეობს ჩვენი შეცდომებიდან, უყურადღებობიდან, დაუდევრობიდან, მუშაობის უკოორდინარობიდან და სხვ. ჩვენი ობიექტიური სიძნელენი მდგომარეობენ საკმაო სახსრების უქონლობაში, საკმაო კაპიტალების უქონლობაში. ჩვენ შეგვიძლია ვაშენოთ ჩვენი მეურნეობა, საერთოდ, და ვაწარმოოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, კერძოდ, მხოლოდ ჩვენი საკუთარი შინაგანი რესურსებით. თუმცა ეს რესურსები ყოველწლიურად მატულობენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მეტის-მეტად გვაბრკოლებს მათი სიმცირე. ყველა ჩვენი გეგმა—საბიუჯეტო, სამრეწველო და სხვ.—მეტის-მეტად დაძაბულია. ამ გეგმათა შესრულების დროს ჩვენ [illegible] უკანასკნელ შესაძლებლობამდე მივდივართ. ჩვენ მეტად მწვავედ განვიცდით ფულადი სახსრების ნაკლებობას. ჩვენთვის დახშულია ჩვეულებრივი ბურჟუაზიული დაგროვების გზები, ე. ი. სხვა ქვეყნების ძარცვა, ძარცვა კოლონიებისა და დიდი საგარეო სესხების მიღება. ფაქტიურად ჩვენ ფინანსიური ბლოკადის პირობებში ვცხოვრობთ. ცუდად არის ჩვენი რეზერვების (ფულადი, სასურსათო და სხვ.) საქმე. ჩვენ, ამხანაგებო, არა გვყავს კვალიფიციური ტეხნიკური პერსონალის საკმაო რიცხვი. ხარისხის მხრივ ჩვენი ტეხნიკური პერსონალი, როგორც მისი კომუნისტური, ისე უპარტიო ნაწილი, ჯერ კიდევ მეტად ახალგაზრდა და გამოუცდელია. მას სჭირდება პრაქტიკა, მას ჯერ დიდი გამოცდილება სჭირია მუშაობაში. მცირეა ჩვენი კვალიფიციური მუშა ხელის რიცხვიც. ჩვენს წინ სდგას რესურსების დაგროვებისა და კვალიფიციურ მუშა ხელის მომზადების ამოცანა. ამ ამოცანას ჩვენ დავსძლევთ მახლობელი წლების განმავლობაში, თუ ძალთა სრული დაძაბვით ვიმუშავებთ.

მე მოკლედ და არა სრულად ჩამოვთვალე ობიექტიური სიძნელენი. ეს სიძნელენი ორკეცდება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ობიექტიური ხასიათის დაბრკოლებებით. შარშან ჩვენს მრეწველობაში ჩვენ აღმოვაჩინეთ კონტრ-რევოლიუციონური მავნებლობა (შახტის საქმე, წყალთა მეურნ. თურქესტანში და სხვ.). უნდა გამოვტყდეთ, პარტიულ ორგანიზაციებს რომ ფხიზლად ედევნებინათ თვალყური, შეუძლებელი იქნებოდა დონეცის რაიონში თითქმის 5-6 წლის განმავლობაში კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის არსებობის ფაქტი. სხვათა შორის, მავნებლობამ საზიანო გავლენა მოახდინა არა მარტო დონეცის ოლქის, არამედ ჩვენი მშენებლობის სხვა უმნიშვნელოვანეს დარგების შემდგომ განვითარებაზედაც.

შრომის ნაყოფიერება ჯერ კიდევ დაბალია, მაშინ, როდესაც ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს ავსწიოთ ეს ნაყოფიერება და ვალდებულნი ვართ ავწიოთ კიდეც რადაც უნდა დაგვიჯდეს. 1927-28 წელს გათვალისწინებული იყო შრომის ნაყოფიერების აწევა 17,3 პროცენტით, ფაქტიურად კი ეს ნაყოფიერება მხოლოდ 14 პროცენტით გაიზარდა. 1928-29 წლის 1-ლ კვარტალშიაც, როგორც აღვნიშნე, არ არის განხორციელებული ამოცანა შრომის ნაყოფიერების აწევის შესახებ. უკანასკნელ ხანებში ბევრ საწარმოში ადგილი აქვს პროდუქციის ხარისხის დაწევას. ამ მოვლენას რაც შეიძლება მალე უნდა მოეღოს ბოლო. დასასრულ, ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში შრომის დისციპლინის დაცემას, რომელსაც ჩვენ ვხედავთ. აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს ასეთ მოვლენებს. ამის შესახებ პარტიის ცეკამ ამ დღეებში მიიღო სპეციალური მოწოდება ყველა პარტიული ორგანიზაციების მიმართ. მიღებულია გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქნას საწარმოთა წესრიგისა და მათი მართვა-გამგეობის მტკიცე და განსაზღვრული [illegible]. პარტიის ცეკა ფიქრობს, რომ საწარმოებში მართველობის ერთპიროვნული სისტემა გატარებულ უნდა იქნას არა სიტყვით, არამედ საქმით, ბოლშევიკურად. მთელ რიგ ფაბრიკებსა და ქარხნებში, არა მარტო ჩვენი კავშირის განაპირა რაიონებში, არამედ, სამწუხაროდ, ცენტრშიაც, ადგილი აქვს ლოთობას სამუშაო დღეების გაცდენას, იარაღისა და დაზგებისადმი დაუდევრად მოპყრობას. ჩვენ ვიცით შემთხვევები, როდესაც მუშა, ღამის ქეიფის შემდეგ, ქარხანაში მოდის გამოსაძინებლად და სხვადასხვა.

ცოდვა გამომჟღავნებული ჯობს, ამხანაგებო: ამ მხრივ ლენინგრადი გამონაკლისს არ შეადგენს, მაშინ, როდესაც ლენინგრადის მუშები უნდა წარმოადგენდნენ დისციპლინის მაგალითს, მაგალითს პროლეტარული დამოკიდებულებისა სოციალისტური მშენებლობის იმ დიდი ამოცანებისადმი, რომელიც მუშათა კლასის წინაშე დგას.

სოფლის მეურნეობა

ჩვენი სოფლის მეურნეობა უფრო ნელა იზრდება, ვიდრე მრეწველობა. ხოლო სოფლის მეურნეობის როლი და მნიშვნელობა სოციალისტურ მშენებლობაში განსაკუთრებით დიდია. სოფლის მეურნეობა სახელმწიფო მრეწველობისათვის იმ ბაზარს წარმოადგენს, რომლის საფუძველზე მრეწველობა ვითარდება. სოფლის მეურნეობა სახელმწიფო მრეწველობის სანედლეულო ბაზარია და ამ მხრით მისი განვითარების პირობებს ჰქმნის. ბოლოს, სოფლის მეურნეობა მარტო ბაზარსა და სანედლეულო ბაზისს კი არ წარმოადგენს მრეწველობისათვის, იგი ექსპორტის წყაროც არის.

ჩვენი მოსავლიანობა მეტის-მეტად დაბალია. თუ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მოსავლიანობას შევადარებთ ჩვენს მოსავლიანობას, სანუგეშო სურათს ვერ მივიღებთ ჩვენ დესეტინა გვაძლევს რაღაც 40—50 ფუთს (656—820 კილოგრამს), ხოლო მოწინავე ქვეყნებს 200—250 ფუთს (3 ტონა 275 კილოგრამიდან 4 ტონა 95 კილოგრამამდე). ეს ციფრები ცხადად გვიჩვენებენ, რომ სოფლის მეურნეობის დარგში მთელ მსოფლიოს კუდში მივჩანჩალებთ და ჩვენთვის საჭიროა, გადამჭრელი და სერიოზული ზომების მიღება, რათა სათანადო გარდატეხას მივაღწიოთ.

ჩვენი სოფლის მეურნეობა გაცილებით უფრო სუსტად ვითარდება, ვიდრე მრეწველობა. სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი სრულებით ვერ დაგვაკმაყოფილებს. სოფლის მეურნეობის მეტის-მეტი ჩამორჩენილობა ზოგჯერ ლაპარაკს იწვევს მისი დეგრადაციის შესახებ. ბევრი სპეციალისტის და ზოგიერთი კომუნისტის აზრითაც კი, ჩვენ სოფლის მეურნეობაში დეგრადაციის გზას ვადგივართ. ე. ი. არა თუ წინ არ მივდივართ, არამედ უკან უკან ვიხევთ. ლაპარაკი ჩვენი სოფლის მეურნეობის დეგრადაციის შესახებ მართალი არ არის. დეგრადაცია არ ხდება, ჩამორჩენილია მხოლოდ ხორბლეულის საქმე, რომელიც ჩვენი მეურნეობის „ვიწრო ადგილად" გადაიქცა. ამას გვიჩვენებენ შემდეგი ცნობები (პროცენტებით წინა წლებთან შედარებით): საერთო ნათესის სივრცე (ციფრი პირველი). მარცვლეული პური (ციფრი მეორე). ტეხნიკური კულტურები (ციფრი მესამე). 1926 წელს: 105.7 პროც.—107,3 პროც.—92,7 პროც.; 1927 წელს: 102,5 პროც.—101,8 პროც.—106,7 პროც.; 1928 წელს: 100,7 პროც.—98,1 პროც.—117 პროც. ამგვარად, ნათესის საერთო სივრცე შეუჩერებლად იზრდება, უკან რჩებიან მხოლოდ მარცვლეული კულტურები, ხოლო შეუფერხებლად იზრდებიან ტეხნიკური კულტურები. საქონლის (ცხოველის) რიცხვიც შეუჩერებლად იზრდება, თუმცა ტემპი შენელებულია. ამგვარად, დეგრადაციის შესახებ ლაპარაკი უქმი ლაყბობაა. ამ თეორიის ზოგჯერ მიმართავენ განსაკუთრებული ხასიათის მოსაზრებით, რომელსაც საერთო არაფერი აქვს სოფლის მეურნეობის პროცესების ობიექტიურ ანალიზთან.

ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის

რა ზომებს სთვლიან საჭიროდ ც. კ. და მთელი ჩვენი პარტია, რომ შეიცვალოს სოფლის მეურნეობის ეხლანდელი მდგომარეობა? იმ ღონისძიებათა გარდა, რომლებსაც პარტია მიმართავდა და მიმართავს, სხვა ზომებს ვერ ვხედავთ. ეს ღონისძიებანია: ყოველნაირად ხელი შევუწყოთ სოფლის ინდივიდუალურ მეურნეობას, მატერიალური და ყოველგვარი სხვა დახმარება აღმოვუჩინოთ მას და ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობათა კოლექტივიზაციის საქმეს, მსხვილ საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციას. ჩვენი მარცვლეული ფაბრიკები და კოლექტიური მეურნეობანი მოგვცემენ არა მარტო დიდძალ სასაქონლო პურს, არამედ ხელს შეუწყობენ გლეხობის ინდივიდუალურ მეურნეობათა საერთო გაძლიერებასაც.

რა გავაკეთეთ ამ მხრივ? კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის დარგში უკვე შესამჩნევ შედეგებს მივაღწიეთ. მაგალითად, 1926—27 წელს სულ გვქონდა 17.897 კოლექტიური მეურნეობა, 1928 წელს—უკვე 37.854 კოლექტიური მეურნეობა. თქვენ იცით, რომ კოლექტიური მეურნეობანი თვალსაჩინოდ განსხვავდებიან ინდივიდუალურ მეურნეობათა მიწის დამუშავების მეთოდებით, საქონლის სიმრავლით და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დიდი მოსავლიანობით. უკანასკნელ წლებში დიდ ეფექტს გვაძლევენ ტრაქტორთა რაზმები, რომლებსაც ვაწყობთ იმ მიზნით, რომ მოხნან ინდივიდუალური და კოლექტიური მეურნეობათა მიწები.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამქირავებელ პუნქტებს და მარცვლეულის საწმენდ პუნქტებს. რაც შეეხება საბჭოთა მეურნეობებს, ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვაძლევთ მათს მშენებლობას. განვლილ წელს მოწყობილი მარცვლეულის ტრესტი ენერგიულ საქმიანობას იჩენს. მან შარშან მოხნა 813.000 ჰექტარი. დავალებული 703 000 ჰექტარის ნაცვლად. მარცვლეულის ტრესტი 1929 წელს 105.000 ტონა პურის აკრეფას ვარაუდობს, თუმცა აქედან სასაქონლო პური იქნება სულ 31.000 ტონა, დანარჩენი თესლად იქნება გამოყენებული. 1930 წელს განზრახულია 500—600 ათასი ტონა პურის აკრეფა. მარცვლეულის ტრესტი დარწმუნებულია, რომ 5 წლის შემდეგ შეასრულებს დავალებას—სახელმწიფოს მისცემს 100 მილიონ ფუთ (1.638.000 ტონა) სასაქონლო პურს.

სოფლის მეურნეობას ძალიან სჭირდება სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ჩვენ ყოველგვარ ღონეს ვხმარობთ, რომ მეტი მანქანები მივაწოდოთ სოფელს. 1927—28 წელს ჩვენ 180 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები დავამზადეთ, ომის წინადროინდელმა რუსეთმა კი 1913 წელს დაამზადა სულ 50 მილიონი მანეთის მანქანები. მართალია, 1913 წელს საზღვარგარეთიდან შემოიტანეს კიდევ 60 მილიონი მანეთის მანქანები, მაგრამ საერთოდ ეს შეადგენდა სულ 110 მილიონი მანეთის მანქანებს, ჩვენ კი დავამზადეთ 180 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ჩვენ შევუდექით სტალინის სატრაქტორო ქარხნის აგებას, რომელიც ჯერ ნავარაუდევი იყო 10.000 ტრაქტორის დასამზადებლად, შემდეგ—20.000 და ახლა—40.000 ტრაქტორის დასამზადებლად. ჩვენ როსტოვში ვამთავრებთ სასოფლო სამეურნეო მანქანათა ქარხანას, რომელიც უკვე მერმისს 100-ზე მეტ მილიონი მანეთის პროდუქციას მოგვცემს. სასოფლო-სამეურნეო მანქანების ახალი ქარხნები, ძველ გაფართოებულ ქარხნებთან ერთად, მახლობელი წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის ბაზარზე დიდძალ მანქანებს გამოუშვებენ.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

სოფლის მეურნეობის განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს აგრეთვე ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი დღემდე მეტად სერიოზულ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრავს საგლეხო პოლიტიკას. თუმცა სასოფლო-სამეურნეო გადასახადს ჩვენი ბიუჯეტის საერთო სისტემაში და მთელი სახალხო მეურნეობის ბრუნვაში დიდი ადგილი არ უჭირავს, მაგრამ იგი მაინც სერიოზულ როლს თამაშობს ქალაქისა და სოფლის ურთიერთობაში.

1928 წლის გაზაფხულზე, როდესაც დიდ სიძნელეებს განვიცდიდით პურის დამზადების საქმეში, ჩვენი პარტიის ც. კ., რომელსაც მხარს უჭერდნენ ადგილობრივი მომუშავე ამხანაგები, ერთხმად დაადგა იმ დასკვნას, რომ 1927 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მეტის-მეტად მცირე იყო და ამ გარემოებამ გავლენა მოახდინა პურის დამზადების საქმეზე. გლეხებს ფულის დიდი ზედმეტი თანხები ჰქონდათ, რის ნაცვლადაც საქონლის სათანადო რაოდენობას ვერ ვაძლევდით მათ. 1928 წელს გადასახადი გადიდებულ იქნა. განვლილმა წელმა დაგვანახვა, რომ გლეხობის განსაზღვრული საშუალო ჯგუფებისათვის გადასახადი რამდენადმე მძიმე იყო. ჩვენ საკმაოდ ვერ გავითვალისწინეთ ის გარემოება, რომ 35 პროცენტი—ღარიბ და ხელმოკლე საშუალო გლეხთა მეურნეობანი—სრულებით განთავისუფლდნენ გადასახადისაგან, მაშასადამე, გადასახადის გამღებია მხოლოდ 65 პროცენტი. გადამხდელთა საშუალო ნაწილისათვის დაბეგვრის გადიდება მეტად საგრძნობი გამოდგა. ამიტომ წელს, ამხ. სტალინისა და კალინინის წინადადებით, ც. კ.-მა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხი გადაათვალიერა და, როგორც იცით, გადასწყვიტა მისი რაოდენობის შემცირება 375 მილიონ მანეთამდე.

რას წარმოადგენს შემოდგომის ნათესის სივრცე? ცნობები, რომლებიც ჩვენ გვაქვს, გვიჩვენებენ, რომ ამ მხრით საქმე მთლად კარგად ვერ არის. [illegible] რაიონში იგი შემცირებულია, [illegible]—უმნიშვნელოდ გადიდებული. მაგალითად, ჩრდილოეთ-კავკასიაში, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, შემოდგომის ნათესის სივრცე, 1927 წლის გაზაფხულის ნათესის სივრცესთან შედარებით, 82,2 პროცენტს შეადგენს, ცენტრალურ შავმიწა ოლქში—98,9 პროცენტს, საბჭოთა უკრაინაში—88,2 პროცენტს,—თუმცა, ზოგიერთ ამხანაგებს, მათ შორის ამხ. ანდრეევს, [illegible] მიაჩნიათ ნათესის სივრცის შემცირება ჩრდილოეთ-კავკასიაში. ნათესის სივრცე რამდენადმე გადიდდა, თუმცა ძალიან უმნიშვნელოდ, შუა ვოლგის, ქვემო ვოლგის და ციმბირის რაიონებში. 1927 წლის გაზაფხულის ნათეს სივრცესთან შედარებით შუა ვოლგის რაიონში სათესის სივრცე შეადგენს 101,3 პროცენტს, ქვემო ვოლგის რაიონში—102,1 პროცენტს, ციმბირისაში—100,5 პროცენტს. ამგვარად, იმ რაიონებში, სადაც [illegible] იყო, რამდენადმე შემცირდა შემოდგომის ნათესის სივრცე. თესვის შემცირება გამოიწვიეს უმთავრესად მეტეოროლოგიური ხასიათის მიზეზებმა (გვალვამ და სხვ.), [illegible] სათესლე მასალის ნაკლებობამ. ც. კ.-ის აზრით, მხოლოდ გაზაფხულის თესვის კამპანიის გაძლიერებას შეუძლია აანაზღაუროს შემოდგომის თესვის ნაკლებობა. მიცემულია დავალება, რომ პურეულის მთავარ რაიონებში გაზაფხულის ნათესის სივრცე გაფართოვდეს 10—13 პროცენტით. სათანადო ზომებია მიღებული. ამ რაიონებისათვის საჭირო თესლის მისაწოდებლად, გლეხობის თესლეულის გასაწმენდად დამატებითი კრედიტების მისაწოდებლად მწევავი ძალისათვის და სხვ. გაზაფხულის თესვის კამპანიის უფრო ინტენსიურად ჩატარებისათვის გამოყოფილია შრომისა და თავდაცვის საბჭოს რწმუნებული—ამხ. რუძუტაკის სახით. ამგვარად, თუ ამ წლის მეტეოროლოგიური პირობები ხელსაყრელი იქნება, გაზაფხულის თესვის კამპანიის განვითარებისათვის ც. კ.-ის მიერ მიღებული და ჩატარებული ღონისძიებანი აუცილებლად ჯეროვან ეფექტს მოგვცემენ.

ორიოდე სიტყვა პურის დამზადების შესახებ. წელს პურის დამზადება დიდის სიმძაფრით მიმდინარეობს. პურის დამზადების საქმის გაუმჯობესებლად ც. კ.-ს შესაძლებლად არ მიაჩნია რაიმე ექსტრაორდინალური და საგანგებო ზომების მიღება. ჩვენს განკარგულებაშია გლეხობაზე ზემოქმედების საკმაო ნორმალური საშუალებანი, რომ გავაძლიეროთ პურის დამზადების საქმე. მხედველობაში გქონდეთ, ამხანაგებო, რომ ციმბირის, ყაზახსტანის და ვოლგის მხრის სხვადასხვა რაიონებში საკმაო ზედმეტი პური მოიპოვება. უნდა ვიცოდეთ მისი მიღების საშუალება. სახელმწიფო, საბჭოთა და კოოპერატიული ორგანოების და, პირველ ყოვლისა, დამამზადებელი ორგანოების ამოცანას შეადგენს—რევოლიუციონური კანონიერების ფარგლებში მივიღოთ სოფლის ზედმეტი პური და ამასთანავე არ წავახდინოთ ურთიერთობა გლეხობის ძირითად მასასთან.

შინაპარტიული მდგომარეობა

დასასრულ რამდენიმე სიტყვა შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ. წარსულ პერიოდში მტკიცე და მონოლიტურმა პარტიამ გადაიტანა მრავალი განსაცდელი. ამ დროის განმავლობაში იძულებული გავხდით გვეწარმოებინა მეტად ინტენსიური ბრძოლა ტროცკიზმის ნაშთებთან. ამ მოძრაობას ზაფხულში, წარსული წლის დამლევს, დაეტყო ერთგვარი გაცოცხლება. ტროცკისტულმა ელემენტებმა, რომლებიც გაათამამა მათი კონტრ-რევოლიუციონური მოქმედების დაუსჯელობამ, საგრძნობლად გააძლიერეს თავიანთი მუშაობა. ისინი ცდილობდნენ შეჭრილიყვნენ ფაბრიკა-ქარხნების მუშათა მასების შუა გულში. ცენტრალური კომიტეტი იძულებული შეიქნა მიეღო საგანგებო ღონისძიებანი მათ წინააღმდეგ. დღეს ყველასათვის ნათელია, რომ ტროცკიზმი თავის უკანასკნელ სტადიაში აღარ წარმოადგენს ოპოზიციონურ მიმდინარეობას პარტიის შიგნით, იგი გადაიქცა ანტისაბჭოთა კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციად. მუშების მოწოდება „პარტიის საქმეებში" ჩასარევად, მოწოდება გაფიცვებისაკენ, არალეგალური უჯრედების მოწყობა წარმოებებში კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად—ჩვენი მუშაობის ჩასაშლელად მეურნეობის განმტკიცების საქმეში,—ყოველივე ეს მოითხოვდა სასწრაფო და გადამწყვეტ ზომების მიღებას ცენტრალური კომიტეტის მხრივ. როგორც იცით, ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა ამ ზომებს. ამჟამად ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ამოცანას წარმოადგენს ტროცკიზმის საბოლოო ლიკვიდაცია არა მარტო ორგანიზაციულად, არამედ იდეურადაც. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ამოცანა წარმატებით იქნება შესრულებული. მალე ტროცკიზმს გაიხსენებენ მხოლოდ როგორც არასასურველ ეპიზოდს ჩვენი პარტიის ცხოვრებაში, როგორც იხსენებენ ამჟამად, მაგალითად, ბრძოლას მენშევიზმთან.

ტროცკიზმის ნაშთების ორგანიზაციული განადგურებისათვის ბრძოლის დროს ცენტრალურმა კომიტეტმა სულ ცოტა ხნის წინად აღმოაჩინა ახალი გადახრა პარტიის გენერალური ხაზიდან, გადახრა, რომელმაც მიიქცია ყველა პარტორგანიზაციის ყურადღება. მე მხედველობაში მაქვს მემარჯვენე გადახრა. თუ ტროცკისტული ბანაკიდან გამოსული „მემარცხენე" მოლაყბეებს სურთ იმ გზაზე დააყენონ პარტია, რომელიც ბოლოს მთლად გასწყვეტს კავშირს მუშათა კლასსა და სოფლის საშუალო და ღარიბ გლეხობის მრავალ მილიონიან მასებს შორის, მემარჯვენე გადახრა ცდილობს გადააცდინოს პარტია მის მიერ აღებული მტკიცე კურსიდან და დააყენოს იგი დათმობის გზაზე სოფლის ბურჟუაზიის მიმართ. ფრუმკინის თეორიას არ შევეხები. თქვენ ყველანი კარგად იცნობთ მას. უნდა ითქვას, რომ მემარჯვენე უკლონისტებს ჯერ კიდევ არ უჩვენებიათ რიგიანად, საბოლოოდ თავიანთი პოლიტიკური ფიზიონომია. მაგრამ აქედან სრულებითაც არ შეიძლება იმის დასკვნა, რომ ისინი უფრო ნაკლებად საშიში არიან, ვიდრე ტროცკისტული ოპოზიცია თავის დროზე.

მემარჯვენე უკლონისტები იმით არიან საშიში, რომ ისინი ტროცკისტების მსგავსად, იმოსებიან ლენინიზმით, რომლის სახითაც ცდილობენ გაავრცელონ პარტიაში ნამდვილი ოპორტუნიზმი, აშკარა მაჩანჩალობა და კულაკური იდეოლოგია. რაშია მთავარი უთანხმოება პარტიასა და მემარჯვენე უკლონისტებს შორის? უწინარეს ყოვლისა, ჩვენი მეურნეობის განვითარების ტემპის საკითხში. ინდუსტრიალიზაციის განვითარების დარგში პარტიამ აიღო თავის ძალღონის შეუფერებელი ტემპიო,—ამბობენ ისინი. თუ შევადარებთ ფრუმკინის დებულებას ისეთი სპეცების აზრთან, როგორნიც არიან ვაინშტეინი, ნიკიტსკი და სხვები, საერთოს ბევრ რამეს იპოვით მათ შორის. ყველა ამ ლაპარაკის ლეიტმოტივს წარმოადგენს იმის მტკიცება, რომ აღებული ტემპი ჩვენს ძალღონეს აღემატება. აქედან დასკვნა—უნდა შევანელოთ მრეწველობის განვითარების ტემპი, სამაგიეროდ უნდა გავაძლიეროთ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა. მემარჯვენეები მოუწოდებენ პარტიას—ყური მიუგდოს „სოფლის" ხმას. მათი არგუმენტების ოდნავი ანალიზიც კი ნათელჰყოფს, რომ კულაკის ხმა მათ მთელი სოფლის ხმად მოეჩვენათ. ამ ფილოსოფიის დედა-აზრი ბოლოს და ბოლოს ის არის, რომ შევანელოთ შეტევა კულაკური ელემენტების წინააღმდეგ და მივცეთ თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა გლეხობის კაპიტალისტურ ელემენტებს.

მემარჯვენე გადახრის იდეოლოგებს არ ესმით და მათ არც სურთ შეიგნონ, რომ ჩვენ ჩავდექით ჩვენი განვითარების ისეთ სტადიაში, რომელიც გვაიძულებს გამოვნახოთ გზა და საშუალებანი სოფლის მეურნეობის სასწრაფო რეკონსტრუქციისათვის სოციალისტურ საფუძველზე. მემარჯვენე უკლონისტები მოითხოვენ დიდ შეღავათებს და დიდ შესაძლებლობას სოფლის ზედა ნაწილისათვის, რათა იგი ინტენსიურად ვითარდებოდეს, მხოლოდ საითკენ და როგორ წავა ეს განვითარება,—ეს მათ თითქოს არ აინტერესებთ. მაგრამ პარტიისათვის არ შეიძლება არ იყოს საინტერესო, თუ საითკენ იზრდება სოფელი—სოციალიზმისაკენ თუ კაპიტალიზმისაკენ.

შემდეგ, მემარჯვენე უკლონისტები ილაშქრებენ საორგანიზაციო ხაზის წინააღმდეგ, შინაპარტიული რეჟიმის წინააღმდეგ. თქვენ იცით, რომ ეს სიმღერა ისევე ძველია, როგორც ჩვენი პარტია. თვით ლენინს მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში არა ერთხელ სდებდნენ ბრალს იმაში, რომ იგი ახორციელებდა მეტად მკაცრ ორგანიზაციულ ხაზს. ბევრს ლაპარაკობდნენ ამის შესახებ ტროცკისტებიც ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში, მაგრამ ჩვენი პარტია აღზრდილია ბოლშევიზმის ტრადიციებზე, იგი იყო და იქნება ისეთი, როგორადაც დარაზმა და მოამზადა ლენინმა გადამწყვეტ ძლევამოსილ ბრძოლებისათვის. როდესაც ამტკიცებენ, რომ ჩვენ არა გვაქვს შინაპარტიული დემოკრატია, რომ ჩაჩუმება და ორგდასკვნები ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის მთავარი მეთოდია—ეს თავხედი სიცრუე და მეშჩანური სისულელეა. ამ ხალხმა, რომელიც ამტკიცებს ამას, ვერ შეამჩნია პარტიის ფართო მასების აქტივობისა და შეგნების ის უდიდესი ზრდა, რომელსაც ვხედავთ პირდაპირ ყველაფერში.



ამხ. კ. ვოროშილოვი

იშლება და ვითარდება თვითკრიტიკა, რომელიც ვერაფრით ეჭაშნიკა ზოგიერთ ვაჟბატონს. იგი აჯანსაღებს პარტიის რიგებს, ააშკარავებს ჩვენი სინამდვილის იარებს, აძლიერებს როგორც პარტიულ, ისე უპარტიო პროლეტარული მასების აქტივობას და თვითშემოქმედებას. ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული პრინციპები შეადგენენ ლენინიზმის განუყრელ ნაწილს. „არ ჩაჩუმება", იმ მემარჯვენეთა აზრით, რომელნიც ცენტრალურ კომიტეტს აკრიტიკებენ, ნიშნავს იმას, რომ მათ მიეცეთ ნება თავისუფლად გაავრცელონ პარტიაზე ისეთი ცილისწამება, როგორსაც ქადაგებდა წითელი პროფესურის ინსტიტუტის უჯრედის კრებაზე მომავალი წითელი პროფესორი კუზმინი. ამ, უკაცრავად პასუხია, კომუნისტმა გაბედა ჩვენი პარტიის პოლიტიკის შედარება ხარკის ამღებ ხანების პოლიტიკასთან. ეს შედარება არ ეკუთვნის იმას, ვინც იგი წარმოსთქვა. ეს გადაღებულია სხვისი აზრებისა, ამავე ჯურის ვაჟბატონების აზრებისა. მაგრამ დამახასიათებელია ის, რომ ამ ძველმა სიმღერამ გლეხობის სამხედრო ფეოდალური ექსპლოატაციის შესახებ უკვე გაიკვლია გზა ზოგიერთი კაბინეტებიდან ინსტიტუტებში, ხოლო ინსტიტუტიდან, უნდა ვიფიქროთ, იგი უფრო შორსაც გაიკვლევს გზას. საიდან არის აღებული ასეთი განსაზღვრა პარტიის პოლიტიკისა გლეხობის მიმართ? ეჭვს გარეშეა, ჩვენდამი მტრულად განწყობილ ძალთა ბანაკიდან, იმ წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციის ბანაკიდან, რომელიც ასე კეთილსინდისიერად გამოჰხატავს სოფლის ზედა ფენების ინტერესებს. არც ერთ სრულ გონებაზე მყოფ ბოლშევიკს არ შეუძლია იმის მტკიცება, რომ ჩვენი პარტია გლეხობის მიმართ ფეოდალებისა და ხანების პოლიტიკას აწარმოებს. ეს სისულელეა, უაზრობა, ეს დანაშაულებრივი მოქმედებაა. ცხადია პარტიამ ყოველი ძალღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ ამგვარ ლაპარაკს აღარ ჰქონდეს ადგილი პარტიულ ამხანაგებს შორის. ბოლო უნდა მოეღოს ამ სისაძაგლეს.

როგორ აფასებს ცენტრალური კომიტეტი მემარჯვენე საფრთხეს? ამის შესახებ ბევრი იწერებოდა; თქვენ ეს იცით. ცენტრალური კომიტეტის [illegible] იმას, რომ ამჟამად საჭიროა გაძლიერებული ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან. მემარჯვენე საფრთხე დღევანდელ სტადიაში მოითხოვს მეტად ფხიზელ ყურადღებას მთელი პარტიის მხრივ. თუ ვერ შევსძლებთ მემარჯვენე გადახრის ლიკვიდაციას მის დასაწყის სტადიაშივე, იგი გაიზრდება და გადაიფურჩქნება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პარტია დასძლევს მემარჯვენე გადახრის და მის იდეოლოგებთან და მქადაგებლებთან ბრძოლით უფრო მეტად განამტკიცებს თავის რიგებს.

ჩვენ განვიცდით ჩვენი ისტორიის გარდამტეხ მომენტს. გაიზარდა კლასობრივად ჩვენდამი მტრულად განწყობილი ძალების წინააღმდეგობა, ხოლო ის სიძნელენი, რომელსაც განიცდის ჩვენი პარტია, იმდენად დიდია, რომ საჭიროა უდიდესი კოლექტიური ნებისყოფა, უმაგალითო სიმტკიცე და განსაკუთრებული დარაზმულობა ყველა იმ დაბრკოლების გადასალახავად, რომლებიც სდგანან ჩვენს გზაზე. დღევანდელ მომენტში განსაკუთრებით საჭიროა ჩვენი პარტიული რიგების სიმტკიცე. მემარჯვენე გადახრის წარმომადგენელთა გამოლაშქრება წარმოადგენს წვრილბურჟუაზიულ ფენების უკმაყოფილების ობიექტიურ გამოხატულებას. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ თუ მემარჯვენე გადახრა გარეთ გავიდა, იგი თავის მომხრეებს მოიპოვებს. თქვენ გახსოვთ, რომ თავის დროზე ტროცკისტებმა მოაგროვეს 10 ათასამდე თანამოაზრე. მემარჯვენე უკლონისტებსაც შეუძლიათ მოაგროვონ ჩვენს პარტიაში მომხრეთა განსაზღვრული რაოდენობა. მერყევი და მოქანავე ელემენტები, ყველა ის, ვინც ჯერ კიდევ ვერ გაკაჟდა პარტიულ ქურაში, ვისაც ჯერ კიდევ ვერ დაუძლევია გლეხური ფსიქოლოგია,—აი ის წრე, საიდანაც შეუძლიათ ამოჰკრიფონ ძალები მემარჯვენე გადახრის იდეოლოგებმა. მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენი პარტიული ორგანიზაციები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ მემარჯვენე გადახრას. პარტიული კონფერენციების რეზოლიუციები ერთხმად მოუწოდებენ ამხანაგებს გადამწყვეტი ბრძოლისაკენ მემარჯვენე გადახრასთან.

დარწმუნებული ვარ, რომ ლენინგრადის ორგანიზაციაც, ისევე, როგორც მთელი ჩვენი პარტია, გადაჭრით გაჰკიცხავს მემარჯვენე უკლონისტების თეორეტიულ დებულებებს და მათ პრაქტიკულ წინადადებებს, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგებიან პარტიის გენერალურ ხაზს. დარწმუნებული ვართ, რომ ლენინგრადის ორგანიზაცია მკაცრ წინააღმდეგობას გაუწევს მემარჯვენეებს და მთელ პარტიასთან ერთად განაგრძობს ბეჯით და თავდადებულ მუშაობას განაგრძობს ბეჯით და სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

ჩვენ ერთად-ერთი სოციალისტური სახელმწიფო ვართ მთელ დედამიწაზე. ჩვენ შემოგვყურებენ მთელი მსოფლიოს მუშები, მთელი მშრომელი კაცობრიობა. ჩვენზე ამყარებს თავის იმედს ყველა ჩაგრული, ყველა ის, ვინც იბრძვის კლასობრივი უღლის გადაგდებისათვის, ვისაც კიდევ ბევრი სისხლის დაღვრა მოელის თავისი განთავისუფლებისათვის. ჩვენ უკვე გავაკეთეთ დიდი საქმე: დავამსხვრიეთ კაპიტალის ბორკილები ვეებერთელა ტერიტორიაზე და შევუდექით ახალი საზოგადოებრივი წყობილების აშენებას. ამ საქმეს ჩვენ ბევრი შრომა, ჯაფა, მძიმე დანაკლისი, მსხვერპლი, და სისხლი შევწირეთ. ჩვენი პარტია გამოიბრძმედა იმ ბრძოლებში, რომლებსაც აწარმოებდა იგი თავის კლასობრივ მტრებთან ლენინის ხელმძღვანელობით. გადახრებთან და მერყეობასთან ბრძოლაში ჩვენი პარტია შეიარაღდა ლენინიზმის დიადი თეორიით. გზადაბნეული და მერყევი ადამიანების საცოდავი ტიტინი ვერ შეარყევს ჩვენ მტკიცე რიგებს. ჩვენ პარტიას ყოველწლიურად ემატება ახალი პროლეტარული ელემენტების უამრავი რაოდენობა. ჩვენ დიდი მუშაობა გვმართებს ამ ელემენტების გარდასაქმნელად ლენინის პრინციპებზე. ჩვენი პარტია დაუზოგავად სდევნის თავის რიგებიდან ყველა იმას, ვინც გაკოტრდა, ვინც მოსწყდა მასებს, ვინც დაუკავშირდა უცხო ელემენტებს, ყველას, ვინც იხრწნება მორალურად და სახელს უტეხს ჩვენ რიგებს. ჩვენი პარტია თავის საუკეთესო ორგანიზაციებთან ერთად, როგორნიც არიან ლენინგრადისა და მოსკოვის ორგანიზაციები, ყოველთვის მიჰყვებოდა და გაჰყვება ლენინის გზას, მიდიოდა და წავა იმ დიადი მომავლისაკენ, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება. ჩვენი პარტია პროლეტარიატის მოწინავე რაზმია, რომელიც რკინისებური კოლონებით, მტკიცე ნაბიჯით მიიმართება თავისი დიადი მიზნებისაკენ. იგი დასძლევს და დაამსხვრევს ყოველგვარ დაბრკოლებას, გადალახავს ყოველგვარ ხრიკს, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, და მიაღწევს თავის მიზნებს. (მქუხარე ტაში).

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

რა აფერხებს აპარატის გაჯანსაღებას

სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღება სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობათაგანია. ჩვენ ძირფესვიანათ ამოვთხარეთ ძველი წყობილება მისი მართვა-გამგეობის სისტემით. ჩვენ შევქმენით სრულიად ახალი სახელმწიფო, მართველობის ახალი ორგანოებით. მაგრამ ახალ აპარატში მემკვიდრეობით გადმოვიდა, ძველი მართვა-გამგეობის მრავალი სიმახინჯე. მთელ რიგ ეგრედწოდებულ ობიექტიურ პირობებს გარდა, როგორიცაა ჩვენი ტეხნიკური და კულტურული ჩამორჩენილობა, მატერიალური ხელმოკლეობა და სხვა, ძველი აპარატის სიმახინჯეს ჩვენი მართვა-გამგეობის ორგანოებში ქმნის აპარატის ცოცხალი ძალის შერჩევისა და ჩამოყალიბების საქმის მოუწესრიგებლობა.

საბჭოთა ორგანოებში ჯერ კიდევ საკმაოზე მეტად არიან მოკალათებული ყოველი ჯურის ბნელი ელემენტები, რომელთაც სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაული ჩაუდენიათ. ან რომელიც სოციალურად უცხო არიან ჩვენი საზოგადოებრივობისა და აღმშენებლობისათვის. იმ მიზნით, რომ ასეთი ელემენტები გაძევებულ იქნან საბჭოთა აპარატიდან, ჩვენ დროგამოშვებით მივმართავთ თანამშრომელთა შემადგენლობის წმენდას, გარდა ამისა, მუშაობის პროცესში, როცა ესა თუ ის მუშაკი საბოლოოდ ააშკარავებს თავის უსარგებლობას ან მავნებლობას საბჭოთა აპარატისათვის, მას ადმინისტრატიული ზომებით, ხშირად კი სასამართლოს დადგენილებითაც ვაძევებთ სამუშაოდან. ვაღწევთ თუ არა ჩვენ ამით ყოველთვის მიზანს?

ძნელია ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა. ბევრ შემთხვევაში აქ მიუტევებელ უმზგავსოებას აქვს ადგილი. თითქმის ყველა ჩვენგანს შეუძლია დაასახელოს იმის მაგალითი, როცა ესა თუ ის მუშაკი განდევნილ იქნა ერთ დაწესებულებიდან, როგორც უვარგისი, ან როგორც აშკარა ბოროტმოქმედი და საბჭოთა ხელისუფლების მტერი, ხოლო შემდეგ იგივე მუშაკი მიიღეს სხვა, ზოგჯერ უფრო საპატიო თანამდებობაზე. ამის საილუსტრაციოთ მრავალი მჭერმეტყველური მაგალითები მოყვანილ იყო ინსპექციის წარსულ ფურცელში ამხ. „ნიკ“-ის წერილში.

რა შედეგი მოსდევს ამას? ჯერ ერთი ყოველგვარი ფასი ეკარგება აპარატის შემადგენლობის გაჯანსაღებისათვის წარმოებულ მუშაობას. ამას გარდა იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს, ბოროტმოქმედისათვის სასჯელი არ არსებობს, პირიქით, სასჯელის ნაცვლად ისინი წარმატებასაც ღებულობენ.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ვიცით რამდენ გართულებას და სიძნელეებს იწვევს დაწესებულების წმენდა, რამდენად არღვევს ის დაწესებულების დამშვიდებულ მუშაობას. ეს ხდება იმიტომ, რომ გაიწმინდოს და გამოკეთდეს აპარატი. წმენდას ვახდენთ, ხორცმეტებს ჩვენი დაწესებულებიდან ვაძევებთ. ისინიც გადიან ერთი კარებიდან და შემოდიან მეორე კარებში.

ამ მტკივნეულ მოვლენას ჩვენი აპარატის გაჯანსაღების საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. საჭიროა პასუხისმგებლობის დაწესება. ამ შემთხვევაში დამნაშავენი არიან არა ის ბოროტმოქმედნი და სოციალურად უცხო ელემენტები, რომელნიც თავისუფლად ინაცვლებენ ადგილს ერთი დაწესებულებიდან მეორეში, არამედ დაწესებულებათა ის ხელმძღვანელები, ის ადგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანოები, რომელნიც თავის პასიურობით, თუ ზოგჯერ შეგნებული დახმარებით ხელს უწყობენ ასეთ ელემენტებს. ყოველ ცალკე შემთხვევაში პასუხი უნდა აგონ მათ, ვინც ნათლიმამური თუ სხვა მოსაზრებით ხელს უშლის პარტიას საბჭოთა აპარატის გაწმენდაში, ვინც მფარველობას უწევს ჩვენს კლასიურ მტრებს და ყოველი ჯურის ბოროტმოქმედთ.

ა. დ—ნი.

ანგარიშწარმოების მტკივნეული საკითხი

(უთავბოლობის დამახასიათებელი ნიმუში)

ანგარიშწარმოება ყველა სახის მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ ხერხემალს წარმოადგენს. მხოლოდ სწორად დაყენებული ანგარიშწარმ. საშუალებით აშკარავდება მეურნეობის საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ეს გარემოება კი უაღრესად შველის წარმოების რაციონალურად მოწყობის საქმეს.

სამწუხაროდ ზოგიერთ მეურნეობათა საანგარიშო ნაწილი მოკლებულია ყოველივე ზემოაღნიშნულ თვისებებს და ყოველივე მათი მოქმედება მოცულია ბურუსით.

ამას ადასტურებს: აფხაზეთის, სომხეთის, აზერბეიჯანის სატყეო ტრესტების, საქ. სამთოტრესტის პერიფერიების (ტყიბული), ახალშენებათა კომიტეტის და მრავალი სხვა დაწესებულებების საანგარიშო ნაწილის დაავადება, რასაც დიდი ზიანი მოაქვს, არამც თუ მარტო იმ მეურნეობისათვის, რომელსაც იგი ემსახურება, არამედ საერთო საქმისათვისაც.

ამ წერილში ჩვენ შევეხებით ერთ-ერთ დიდ მნიშვნელოვან მეურნეობის —საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის ანგარიშ-წარმოების მდგომარეობას.

მოვიყვანოთ მაგალითები;

1) 1926 წ. 1-ლ ივლისისთვის სატყეო ტრესტის დავთრით ს.მ.უ.ს. ტყავ-ტრესტის დავალიანება განისაზღვრებოდა 796 მანეთით, ხოლო ტყავ-ტრესტის დავთრით იმავე რიცხვისათვის სატყეო ტრესტისადმი დავალიანება გამოიხატა 4.929 მანეთში. დადასტურდა დავალიანების ეს უკანასკნელი თანხა.

2) 1926 წ. ოქტომბრისათვის სატყეო ტრესტის დავთრით ლითონ - ტრესტზე ირიცხება ვალი 4.537: ლითონ-ტრესტის დავთრით კი მისი დავალიანება სატყეო ტრესტისადმი უდრის 19.439 მანეთს; სატყეო ტრესტმა წლიურ ბალანსში ლითონ-ტრესტის დავალიანება ურთიერთ შორის ანგარიშების შეუდარებლად აღნიშნა 4.537 მანეთით.

3) 1926 წ. 1-ლ დეკემბრისათვის სატყეო ტრესტის დავთარი უჩვენებს ტყავტრესტის დავალიანებას 12.615 მანეთით, ტყავტრესტი კი არ სცნობს ამ თანხას, პირიქით სატყეო ტრესტი გამოყავს თავის დებიტორად 7.530 მანეთით.

4) დებიტორ-კრედიტორთა მისამართები არც დავთრებში და არც სხვაგან ნაჩვენები არ არის, რის გამო 30-40 დებიტორთა პოვნა სრულიად შეუძლებელი გახდა.

ს.მ.უ.ს. რევიზორის მიერ დამატებით ოქმიდან;

1925—26 და 1926—27 წ. წლიურ ანგარიშის შედგენის დროს საურთიერთო ანგარიშები რაიონების და ცენტრის არ ეფარდება ერთი მეორეს;—პირველ საოპერაციო წელს 18.000 მანეთით, ხოლო მეორე საოპერაციო წელს 3.000 მანეთით—სულ 21.000 მანეთით; ეს თანხა სრულიად უსაბუთოდ, ტრესტის მმართველის დაუდასტურებლად, გატარებულ იქნა სხვადასხვა ხარჯებში, როგორც ურთიერთშორის გადაგზავნილ მასალათა დანაკლისი, რაც სინამდვილეს მოკლებულია.

21.000 მანეთი დანაკლისებს არ შეადგენდა. თუ დავუშვებთ, რომ ეს თანხა დანაკლისებიდან შესდგებოდა, ბუხჰალტერიის ხელმძღვანელს მაინც არ ჰქონდა უფლება მმართველთან შეუთანხმებლად ხარჯებში გაეტარებინა ის.

6) მოვიყვანთ კიდევ ერთ ფაქტს ტრესტის მიმდინარე ცხოვრებიდან.

1928 წ. 31 ოქტომბერს ბუხჰალტერიამ გადასცა კომერციულ განყოფილებას სია ნოემბრის თვეში დასახსნელ თამასუქებისა.

ამ სიაში არ აღმოჩნდა „პრომბანკზე“ გაცემული 138.000 მანეთის თამასუქი. ვადით 15 ნოემბრამდე. თამასუქის ვადაზე გამოუსყიდველობის გამო „პრომბანკმა“ აღნიშნული თამასუქი გაგზავნა ნოტარიუსთან.

ნოტარიუსის ხარჯები 282—90 ტრესტმა გადაიხადა, როგორც შემდეგ გამოირკვა, აღნიშნული თამასუქი ბუხჰალტერიის არამც თუ ვადის წიგნში, არამედ არსად არ ჰქონია გატარებული.

ჩვენის აზრით სამართლიანი იქნებოდა ხარჯი 282—90 კაპ. გადახდეს დამნაშავეს და არა ტრესტს. ზემოაღნიშნული და მისი მგზავსი ფაქტები ბევრია.

1925 წლიდან დღემდე ტრესტის ბალანსები დაყრდნობილია ასეთ შეცდომებზე, ის არ არის სინამდვილის გამომხატველი, რადგანაც არავითარი ურთიერთ შორის ანგარიშების შედარება არ ხდებოდა და არც ეხლა ხდება. ტრესტის ბალანსში ნაჩვენები დებიტორი —ნამდვილად კრედიტორი იყო ან წინაამდეგ.

ვის მიუძღვის აქ მთავარი დანაშაული? რასაკვირველია, საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელს. იმაზეა დამოკიდებული ცენტრში და პერიფერიებში აღრიცხვის საქმის სათანადო დონეზე დაყენება და მისი ხელმძღვანელობა.— მაგრამ, სამწუხაროდ, ხელმძღვანელობის კვალი ჯერ არსად სჩანს.

თუ ჩვენ გავიხსენებთ ლენინის სიტყვებს; „აღრიცხვა არის სოციალიზმი“, შევაფასებთ ანგარიშ-წარმოების მდგომარეობას ბევრ სამეურნეო ორგანიზაციაში, მეტად დამაღონებელ სურათს მივიღებთ.

ანგარიშ-წარმოების აპარატის რეორგანიზაცია ერთ-ერთი მთავარ, მორიგ ამოცანას წარმოადგენს. ამას მჭერ მეტყველურად მოწმობს სატყეო ტრესტში არსებული მდგომარეობა, რომელიც გამონაკლისს არ წარმოადგენს.

მოკეთე.

ანტი-კოოპერატიული მუშაობა

ქ. ახალ-სენაკში არსებობს მეწაღეთა და ევროპიულ ფეხსაცმელთა მკერავი ნადი. აღნიშნულ ნადების განმტკიცებას ხელს უშლის სენაკის რაიეპოში მოსამსახურე ზოგიერთი პირების ანტი-კოოპერატიული მუშაობა. მაგალითად; ეპოს ტყავის მაღაზიის გამგე ძიძიგური ყოფილი ვაჭარი, ყოველგვარ ზომებს იღებს ნადების დასაშლელად. ის თავს უყრის ნადში კულაკურ და არა-საიმედო პირებს, რომლებსაც სრულიად არ აინტერესებს საბჭოთა საქმიანობა „ეპოს“ გამგეობის თავმჯდომარე და გამგეობის წევრი გრიგოლია უდავოდ ეთანხმებიან მაღაზიის გამგეს. ამ რიგად ფიქრობენ სარეწაო კოოპერაციის ფუნქციების დამახინჯებას. რით უნდა ავხსნათ მაგ. გამგ. შემდეგი საქციელი. ტყავის გაყიდვის დროს ის იძულებით ატანს მყიდველს შემდეგ საქონელს; მაგალითად ფიტილს, მურაბის ვაზებს, გაფუჭებულ დაბეჭდილ ღვინოებს, შპალიერს, და სხვა. იბადება კითხვა, სად ხარაზი და სად მურაბის ვაზები ან ფიტილი. ამ გვარ მოქმედებას დიდი ზიანი მოაქვს კოოპერატივისათვის.

რაიეპოს გამგეობის წევრი გრიგოლიას ანტიკოოპერატიული საქმიანობა და მაღაზიის გამგის ასეთი საქციელი ხელს უშლის ღარიბ გლეხობის კოოპერატივში დაკავშირებას. გასაკვირი არ არის, რომ გამგეობის წევრი გრიგოლია ასე ზერელედ ეკიდებოდეს ღარიბ გლეხთა გაერთიანების საქმეს, გრიგოლია ხომ თვით კულაკია!

საჭიროა ასეთი ანტიკოოპერატიული მუშაობა ძირშივე აღიკვეთოს. ძიძიგურსა და გრიგოლიას არ უნდა მისცეთ სარეწაო კოოპ. ფუნქციების დამახინჯების უფლება.

მეთვალყურე.

კრედიტის საქმის დეფექტები სოფლად

სასოფლო- სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი ბევრ შემთხვევაში დაავადებულია ბიუროკრატიზმის სენით.. დაბალია თანამშრომელთა კვალიფიკაცია.—ღარიბი გლეხობა ვერ სარგებლობს სესხით.— საკრედიტო ამხანაგობათა გამგეობანი არ აბარებენ ანგარიშს ამომრჩევლებს.— ზემდგომი ორგანოები სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ ადგილობრივ მუშაობას. — ფორმალური ინსტრუქტაჟი და „ჩინოვნიკური“ რევიზიები უნდა შეიცვალოს ცოცხალი ხელმძღვანელობით.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გადაყვანა ბევრად არის დამოკიდებული კოოპერაციის და კერძოთ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა მუშაობაზე.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა? მდგომარეობა ყველგან ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ამას ადასტურებს ზოგიერთი ფაქტები რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში არსებული საკ. ამხანაგობების მუშაობიდან;

1) წარსული წლის ოქტომბერში საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატმა ადგილებს მოსთხოვა ცნობები ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების დინამიკის საკითხებზე. ამ ცნობებზე დამოკიდებულია ხელისუფლების შემდგომი ნაბიჯები. საკრ ამხანაგობების უმრავლესობამ ამ საკითხებზე პასუხი ვერ გასცა, ზოგმა უპასუხა „ასეთ მოვლენას ჩვენთან ადგილი არ ქონია“-ო. (ლაილაშის საკ. ამხ.). მხოლოდ რამდენიმე ამხანაგობამ შეასრულა დავალება. ეს მოვლენა ნაწილობრივ უნდა აიხსნას საკრ. ამხანაგობების მუშაკთა მოუმზადებლობით, ხოლო ნაწილობრივ მათივე დაუდევრობით—ბიუროკრატიზმით.

2) სახ. სამ. საკრ. ამხ.-ები მთავრობიდან ღებულობენ სხვადასხვა სახის სესხს. ამ სესხებს აქვთ თავიანთი დანიშნულება. ღარიბი გლეხობისათვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს გრძელ-ვადიან სესხს. ზოგიერთი საკრ. ამხ.-ბები გრძელ ვადიან სესხს ასაღებენ მოკლე ვადიანათ და ამით არღვევენ პარტიის [illegible] ბალის და ამბროლაურის საკრ. ამხ.-ბები). ქრებალოს სას. საკრ. ამხ.-ბამ თავისი საოპერაციო წელიწადი დაამთავრა ზარალით, ეს იმ დროს, როდესაც მას 20.000 მანეთამდე ყოველგვარი ანგარიშიანობის გარეშე გაცემული აქვს სხვადასხვა პირებსა და დაწესებულებებზე. ეს თანხა ამხ.-ბისათვის წარმოადგენს მკვდარ კაპიტალს. გამგეობა არც თავის თავს იწუხებს და არც სხვას აწუხებს წაღებული ფულის დაბრუნებაზე.

ამბროლაურის საკ. ამხ.-ბამ წარსულ წელში მიიღო სტიქიურ დაზარალებულთათვის გრძელ-ვადიანი სესხი 2.500 მანეთი. აქედან 500 მანეთი მისცა გლეხს, რომელმაც აიშენა აგურის ქარხანა, აგრეთვე გაიცა ფული სხვებზედაც სესხის დანიშნულების გარეშე. ოქტომბ. რევოლიუციის ათი წ. თავზე გამოცემული მანიფესტით აღნიშნული სესხის მიმღებთ ეპატიათ ვალი, ამბროლაურის საკ. ამხ.-ბამაც თავი არ შე[illegible]ა და ვალი აპატივა იმათ, რომელთაც გატანილი ქონდათ დანიშნულების გარეშე სესხი. ეს, რა თქმა უნდა, კლასიური ხაზის დამახინჯებაა, რისთვისაც პასუხი უნდა აგონ ამხანაგობის ხელმძღვანელებმა.

3) ზოგიერთ საკ. ამხ.-ბებს არ აქვს სამუშაო გეგმა (ქრებალო), ურომლისოდაც შეუძლებელი ხდება ადმინისტრატიული—სამეურნეო ხარჯების დინამიკის და გამგეობის საქმიანობის გაგება. ადგილი აქვს ფულის უწესოთ გაცემას. ასობით და ათასი მანეთობით გაცემულ ფულზე გასამართლებელ საბუთებათ აქვთ ქაღალდის ნაგლეჯები, რომელშიდაც არც დატაა აღნიშნული ხელწერილის შედგენის, რომელიც არც შემოწმებულია ვისიმე მიერ და სხვა. ასეთ პირობებში შეიძლება ბოროტმოქმედებას დაურჩეს ადგილი.

4) ვერც ერთი სას. სამ. საკრ. ამხ.-ბა ვერ იძლევა ცნობებს თუ რამდენით დანიშნულებისამებრ იხარჯება გლეხობის მიერ გატანილი სესხი. რაც დიდ დეფექტად უნდა ჩაითვალოს მათ მუშაობაში.

5) საკრ. ამხანაგობები ვერ ღებულობენ სას.-მეურნეობის ნაწარმოებს, ეს კი მეტის-მეტათ მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან გლეხის ნაწარმოების მიღება შესაფერ ფასებში დააჩქარებს გლეხობის გაერთიანებას საკრ. ამხ.-ბებში და, მაშასადამე, გააძლიერებს კოოპერაციის გავლენას სოფლად.

6) მოუწესრიგებელია გლეხობისადმი სათესლე მასალის თავის დროზე მიწოდება, რის გამო სათესლე მასალა კარგავს თავის მნიშვნელობას და დანიშნულებას, უმთავრესად ამის მიზეზია სას.-სამ. საკრ. სისტემის უმოძრაობა, უგეგმო მუშაობა და დაუდევრობა, რასაც ბოლო უნდა მოეღოს.

7) სას.-სამ. საკრ. ამხ.-ბების გამგეობები არ აბარებენ ანგარიშს ამომრჩევლებს. ეს კი ხელს უწყობს ბიუროკრატიზმს და მრავალ სხვა სიმახინჯეს.

8) უნდა აღინიშნოს, რომ ზემდგომი ორგანოები სუსტად ხელმძღვანელობენ საკრ. ამხანაგობებს. სამწუხაროთ, საკრედიტო აპარატის ზემდგომ ორგანოებში კიდევ მოგვეპოვება ისეთი „მუშაკები“, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის არაფერი ესმით და არც უნდათ გაიგონ. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სას.-სამ. ბანკების, ზოგიერთი ინსტრუქტორი ხშირად მიდის საკრედიტო ამხ.-ბებში, რომ „შეასრულოს“ თავისი მოვალეობა, ჩასთვალოს ყოველივე „დამაკმაყოფილებლათ“ და კაზიონურათ მოახსენოს თავის გამომგზავნ ორგანოს საქმის ვითარება.

წარსულ წელს სას.-სამ. ბანკის ქუთაისის განყოფილების ინსტრუქტორი გელოვანი ეწვია ლაილაშის, სას.-სამ საკრედიტო ამხ.-ბას „რევიზიის მოსახდენათ“ (მგონი თავის ხალხს უფრო ხან გრძლივი ვადით გაუკეთა „რევიზია“ და დღიურებიც მიიღო ამისათვის). ჩაატარა გელოვანმა „რევიზია“ და ყველაფერი დამაკმაყოფილებლათ მოეჩვენა, ხოლო შემდეგ ადგილობრივმა საბჭოთა სხვა ორგანოებმა აღმოაჩინეს, რომ ლაილაშის საკრ. ამხ.-ბას გაფლანგული ქონდა 400 მანეთამდე.

ყველა ზემო-აღნიშნული დეფექტები, ჩემის აზრით, არ არის დამახასიათებელი მარტო რაჭა-ლეჩხუმის საკრ. ამხ.-ბებისათვის. სხვა მაზრაშიაც აქვს მათ ადგილი, ამიტომ საჭიროა დროა მიაქციონ სათანადო ორგანოებმა ყურადღება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა გაჯანსაღებათა საქმეს.

ვ. ბეჟიძე.

ვაჭარ-სპეკულიანტების კრებული

(„მწყემსი“)

როგორც ყველას მოეხსენება — საზოგადოება „მწყემსი“ არის კოოპერატიული ორგანიზაცია. თავის თავად იგულისხმება, რომ აღნიშნულ ორგანიზაციის აპარატში უნდა იყოს ისეთი პირები, რომლებიც მთელი თავისი ენერგიით იმუშავებენ კოოპერაციის გასაძლიერებლად და, კერძოდ, „მწყემსის“ საქმის სათანადო დონეზე დასაყენებლად, მაგრამ საუბედუროთ ეს ასე არ არის. „მწყემსი“-ს სავაჭრო დარგის აპარატში დღემდე მოკალათებულია ისეთი პირები,რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების და განსაკუთრებით კოოპერაციის დაუძინებელი მტრებია.

ვინ არიან ეს პირები? ესენი გახლავთ ყოფილი ვაჭარ-სპეკულიანტები, მენშევიკების ყოფილი ჯალათები და გაუსწორებელი ქურდ-ბაცაცები, რომლებიც დღესაც ატარებენ პროფკავშირის წევრის სახელს.

აიღეთ პირველი მათგანი, ალექსი სულხანიშვილი, თანამდებობით საქონლის შემსყიდველი, რომელიც თვიურად იღებს 250 მანეთს, სულხანიშვილი არის თბილისში განთქმული ყოფილი ვაჭარი, ყასაბი, მთელი თბილისის ყოფილ ვაჭარ-სპეკულიანტების წინამძღოლი. სულხანიშვილი მენშევიკების ხელისუფლებას საპატიო კაცათ ყავდა მიღებული. მას არაერთხელ მიუღია წყალობა მენშევიკებისაგან. დღეს სულხანიშვილი მოწყობილია ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, არის პროფკავშირის წევრი და ვინ იცის, რამდენი ცოდვა მიუძღვის „მწყემს“-ში საქონლის შესყიდვის საქმეში.

აქვე მუშაობს ასან-ბეგ ნალი-ოღლი, ყოფილი ვაჭარი, მენშევიკების ყოფილი საიდუმლო ჯაშუში, გაუსწორებელი ქურდი და აფერისტი.

ვანო ოგანეზოვი, ყოფილი ვაჭარი-სპეკულიანტი, რომელიც დღესაც ვაჭრობს, აქვს საკუთარი სახლი და საყინულე. ოგანეზოვი არა ერთხელ ყოფილა შემჩნეული ქურდობაში. ის ცნობილია, როგორც გაუსწორებელი ქურდი.

ბაგრატ სილიპანოვი, ყოფილი ვაჭარი — ყასაბი, გახრწნილი ელემენტი. ქურდი და ანტისაბჭოთა ელემენტი. ლადო კრაწაშვილი მენშევიკების მთავრობის ყოფილი ჯალათი (სიღნაღის მაზრაში) საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტერი, მენშევიკების ხელისუფლების მოტრფიალე და ზნეობრივად გახრწნილი ადამიანი და ბიუროკრატი. კრაწაშვილს არაერთხელ დაუკეტია მუშები ცივ-საწყობში დილიდან საღამომდე, თვითონ კი სასეირნოდ წასულა.

სარდიონ ქაქაბაძე ყოფილი სპეკულიანტ - ვაჭარი, კოოპერაციის დაუძინებელი მტერი და აშკარა ანტისაბჭოთა ელემენტი. ილია თალაკვაძე კომბინატორი, ვაჭრებთან მჭიდრო კავშირის მქონე, რომელმაც ისარგებლა რა თავის მდგომარეობით 1927 წ. და თავის ვაჭარძმას მოუხერხა მიეღო „მწყემსი“-დან რამოდენიმე ათასი მანეთი, რომელიც დღესაც აუღებელია. ის აშკარა ანტისაბჭოთა ელემენტია.

ილზა ქულიევი. ყოფილი ვაჭარი, გაუსწორებელი კომბინატორი, ვაჭარ-სპეკულიანტების ხელისშემწყობი და ანტი-საბჭოთა ელემენტი.

„მწყემსი“-ს ორგანიზაციაში აღნიშნულ პირების გარდა იყვნენ მათი მოძმე ყოფილი ვაჭარ-სპეკულიანტები; სახელდობრ, ხუციშვილი, ოგანეზოვი, ცინცაძე და სხვები, რომლებიც ნაქურდალ საქონლით დაიჭირეს და გაძევებულ იქნენ სამსახურიდან გამგეობის მიერ, მაგრამ კიდევ დარჩა დღემდე „მწყემსის“ ორგანიზაციაში რამოდენიმე პირი, ხელისუფლების და კოოპერაციის დაუძინებელი მტერი, რომლებიც დაუყოვნებლივ განდევნილ უნდა იქნან „მწყემსის“ დაწესებულებიდან.

ესენი განზრახ ხელს უშლიან კოოპერაციის გაძლიერებას და განვითარებას. ასეთ პირებს ადგილი არ უნდა ქონდეთ, როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერატიულ ორგანიზაციებში. ჩვენ მოვითხოვთ ზემოთ აღნიშნულ პირების დაუყოვნებლივ მოხსნას სამსახურიდან და პროფკავშირის წევრობიდან გაძევებას.

მახვილი.

რეზოლიუციის ხალხი

(სამთო ტრესტი)

სამთო ტრესტში არსებობს კომერციული განყოფილება, არსებობს მომარაგების განყოფილება, არის ბუხჰალტერია და ყოველივე ის, ურომლისოდაც ტრესტი—ტრესტი არ იქნებოდა. **არ ვიცით რამდენად წარმატებით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ცხადია ერთი, რომ ძალიან უყვართ რეზოლიუციების წერა.**

აი ფაქტები: 1928 წლის 12 დეკემბერს სამთო ტრესტი ღებულობს პასუხს თავის მიმართვაზე, რომელიც მას გაუგზავნია სახ. ელექტროტრესტის თბილისის განყოფილებისათვის. თავის პასუხში ელექტრო-ტრესტი იტყობინებოდა, რომ მას შეუძლია მიჰყიდოს სამთო ტრესტს ასეთი და ასეთი მანქანები ამა და ამ ფასათ და ამა და ამ პირობებში. სამთო ტრესტში მიმართვა მოხვდა კანცელარიაში, აქედან სათანადო რეზოლიუციით მომართვა გადავიდა ბუხჰალტერიაში. შემდეგ კი იწყება მომართვის მოგზაურობა ტრესტის სხვადასხვა განყოფილებებში. მოვიყვანოთ თვით რეზოლიუციების ტექსტი, რომელიც საუკეთესო ილიუსტრაციაა ტრესტის „ვოლოკიტჩიკების“ დასახასიათებლად:

რეზოლიუცია 1-ლი. „გადაეცეს კომერციულ განყოფილებას“. ზაიცი.

რეზოლიუცია მე-2 „მიეკეროს საქმეს № 836 13 დეკემბერი.
ტერ-მარტიროსოვ-ტერიანი“.

რეზოლიუცია მე-3. გადაეცეს საწარმოო განყოფილებას. ტერ-მარტიროსოვ-ტერიანი. 19 დეკემბერი“.

რეზოლიუცია მე-4. „მომარაგების განყოფილებას. რომელი წარმოებისათვის მოითხოვეთ ელექტრო-მოტორები? ტერ-მარტიროსოვ-ტერიანი. 19 დეკემბერი“.

რეზოლიუცია მე-5. „კომერციულ განყოფილებას. მომარაგების განყოფილებაში არ აღმოჩნდა მოთხოვნილება. თანახმად ინჟ. ბერიძის განცხადებისა, რომელმაც მოაწერა ხელი ტელეფონოგრამას, მანქანები შეკვეთილი იყო ფლორიდინის ქარხნისათვის.
მაილიანი“.

რეზოლიუცია მე-6. „კომერც. განყ. შეკვეთა საჭიროა ფლორიდინის წარმოებისათვის. შეკვეთის დადასტურების დროს უნდა აღინიშნოს, რომ მანქანები გაიგზავნოს ქუთაისში და არა ტყიბულში, როგორც ეს შეცდომით ნათქვამია ელექტრო-ტრესტის პასუხში. გარდა ამისა № 3 პოზიციის თანახმად 3,9 ცხ. ძალიანი ელექტრო-მოტორი უნდა იქნეს ბრუნვის მაქსიმალური რიცხვის, ე. ი. 1400—1500 ბრუნვა წამში. ინჟ. ა. არუთინოვი“.
24 დეკემბერი.

რეზოლიუცია მე-7 „მომარაგების განყოფილებას. თანახმად საწარმოო განყოფილების რეზოლიუციისა, მიეცით შეკვეთა 25 დეკემბერს, ტერ-მარტიროსოვ-ტერიანი. 24 დეკემბერი“.

რეზოლიუცია მე-8 „კომერც. განყოფილებას. 1) მე მოვილაპარაკე 3,9 ცხ. ძალიან მოტორის შესახებ ელექტრო-ტრესტთან და გამოირკვა, რომ ჩვენთვის საჭირო ბრუნვათა რიცხვის მოტორების მოცემა მათ არ შეუძლიათ დღესვე. ამიტომ ისინი ჯერ უნდა შეეკითხონ თავის წარმოებებს. 2) თუ განსხვავებული მოტორები უნდა ავიღოთ, მაშინ საჭიროა ელექტრო-ტრესტში ეხლავე შევიტანოთ ავანსი მანქანის ღირებულების 25 პროც. რაოდენობით, რაზედაც გთხოვთ განკარგულებას. 3) სად არის ძირითადი მოთხოვნილება (!) და რატომაა იგი ჩამოყალიბებული მომარაგების განყოფილების გარეშე. 4) პასუხის მისაცემათ ელექტრო-ტრესტმა ვადა მოგვცა 26 დეკემბრამდე. მაილიანი 25 დეკემბ.“.

რეზოლიუცია მე-9. „რაც საჭიროა და არის, უნდა შევიძინოთ. ამასთანავე მიღებულ იქნეს ზომები ჩვენთვის საჭირო მანქანების შესაძენათ. არუტიუნოვი. 2 იანვარი 1929 წელი“.

რეზოლიუცია მე10. (ვის მიმართავს რეზოლიუციის ავტორი ვერ გავარჩიეთ) დაგვიანების გამო გთხოვთ გაიმეოროთ ჩვენი შეკვეთა. პერჩიანი, 12 იანვარი.

რეზოლიუცია მე-11. „კომერც. განყ. მე მივიღე ცნობები პირადი მოლაპარაკების დროს, რომ 3 ცხ. ძალიანი მოტორები უკვე აღარაა და არც იქნება 1929 წლის განმავლობაში. დანარჩენ მოტორებზე შეიძლება გარიგება, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ხვალამდე მაილიანი. 14 იანვარი“.

ჩვენ არც დრო და არც ადგილი არა გვაქვს, რომ განვაგრძოთ დანარჩენ რეზოლიუციების მოყვანა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ერთ ნაფლეთ ქაღალდს დააწერეს 19 რეზოლიუცია. მხოლოდ მეთვრამეტე რეზოლიუციის შემდეგ ირკვევა, რომ საჭიროა ძალოვნების მანქანები შესცვალონ სხვანაირი ძალოვნების მანქანებით. 19 რეზოლიუციით დამძიმებული ქაღალდი კი ეკერება საქმეს და ამით თავდება ბედი № 257 მომართვის.

საქმე კი შემდეგში იყო. გუმბრში (ქუთაისის მახლობლად) ტრესტი აგებდა ფლორიდინის გადასამუშავებელ საცდელ ქარხანას. ქარხნის აგება დასრულდა და მის ასამუშავებლათ საჭირო მანქანების შეძენა საქმის გაჭიანურების მიზეზით ვერ მოხერხდა. ყველაზე უფრო აღმაშფოთებელი ამ ისტორიიდან ის არის, რომ ერთი რეზოლიუციის ავტორიდან მეორე რეზოლიუციის ავტორამდე არის 1 მეტრი ან მაქსიმუმი 3 მეტრი. რა ჰქვია ამას?

სამთო მრეწველობის ტრესტის მუშაობაში საქმის გაჭიანურებისა და საქმის დაბრკოლების სხვა ფაქტებიც ვიცით. გასული წლის 20 ივლისს ერთი წარმოებისათვის გამოთხოვილი კარმიდის სანათურების შეძენა ტრესტმა მოახერხა მხოლოდ 3 თვის შემდეგ —6 სექტემბერს. სანათურების შესაძენათ კი, როგორც მცოდნე პირები ამბობენ, საჭირო იყო თავისუფლების მოედანზე „ზაკავტოპრომტორგ“-ის მაღაზიაში მისვლა.

საქმე იმაში არაა, რომ ვინმეს აეკრძალოს რეზოლიუციების წერა. საქმე თვითონ მუშაობის სისტემაში და საქმით და წარმოებით დაინტერესებულ მუშაკებშია.

ნ. კ—ძე.

რატომ ვერ ვამზადებთ საექსპორტო კონსერვებს

(გორი)

საექსპორტო კონსერვების დასამზადებლად საჭიროა კარგად მოწყობილი მექანიზაცია-ქმნილი ქარხანა, სათანადო საწარმოო თანხა და კარგი ხარისხის დამუშავებული მასალა.

წარსული წლების მაგალითით რომ ვიხელმძღვანელოთ, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ გორის ქარხანას არც ერთი ეს არ გააჩნია და ამიტომ ძნელია, რომ ამ ქარხანას დავაკისროთ საექსპორტო კონსერვების დამზადება.

შეუძლებელია ხელით დამუშავებული კოლოფებში და ხელითვე ჩალაგებულ ხილისაგან შევქმნათ სტანდარტული საქონელი, რომელიც საექსპორტოდ გამოდგება. საწარმოო თანხებს მოკლებულ ქარხანას. არ შეუძლია დაამზადოს არამც თუ საექსპორტო კონსერვები, არამედ შინაური ბაზრისათვის საჭირო პროდუქტიც კი.

ნედლი მასალა საკონსერვო ხილის სახით: ატამი, ბალი და სხვა ბევრია გორის მაზრაში, მაგრამ მოუვლელობით ხეხილი დაავადებულია და იძლევა მეტად მდარე ხარისხის საკონსერვო მასალას. ათასი კილო ატმიდან ირჩევა საშუალოდ მხოლოდ 400 კილო კონსერვისათვის გამოსადეგი ატამი. რაც აძვირებს კონსერვების თვითღირებულებას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულ უარყოფითი მხარეებისა, გორის კონსერვების ქარხანას აქვს დიდი საწარმოო პერსპექტივები. მას შეუძლია იმუშაოს ყოველთვის სრული დატვირთვით და მოიტანოს სარგებელი.

გორში ახალი ქარხნის აშენება უნდა დამთავრდეს 1-ლ აგვისტოსათვის, რომელიც მოწყობილი იქნება გერმანულ სისტემის მანქანებით და უზრუნველყოფილი იქნება საჭირო საწარმოო თანხებით. ეს ქარხანა შესძლებს დაამზადოს კარგი ხარისხის კონსერვები, როგორც საექსპორტო, აგრეთვე საშინაო ბაზრისათვის. მაგრამ საეჭვოა, რომ ხსენებული ქარხანა შენობით და მოწყობილობით დამთავრდეს დანიშნულ დროისათვის, რადგან ახალი ქარხნის ასაშენებლად და მოსაწყობად (ჯერ შენობა არ დაწყებულა) ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი, დრო კი ნაკლებია.

ამიტომ მიზანშეწონილი იქნება ეს წელიწადი გამოყენებული იქნეს არსებულ ქარხანაში სამუშაოთ. ამისათვის საჭირო იქნება გადაეცეს დროებით არსებულ ქარხანას, მექანიზაციის გასაძლიერებლად რამოდენიმე მანქანა, რომელიც მოსულია გორში ახალი კონსერვების ქარხნისათვის. კონსტრუქცია არსებულ ქარხნებისა ისეთია, რომ მათი დროებითი დადგმა, არსებულ ქარხანაში გამოიწვევს მცირე ხარჯებს და არც დაზიანდება, სარგებლობას კი მოიტანს ბევრს: ქარხანას მიეცემა საშუალება შეასრულოს 1929 წ. საწარმოო და საექსპორტო გეგმა და მასთან ერთად მიაჩვიოს მომუშავენი ახალ მანქანებზე მუშაობას.

რაც შეეხება ნედლ მასალას, რომელიც სამყოფია გორის მაზრაში, მაგრამ მოუვლელობით ხეხილი იძლევა დაავადმყოფებულ და კონსერვებისათვის უვარგის ხილს, ეხლავე უნდა იყოს მიღებული ზომები, რომ მეურნეებმა შემოიღონ კურკოვანი ხეხილის მასიური წამლობა. წელს მაზრაში ტარდება ვაშლის და მსხლის მასიური წამლობა და ადვილად შესაძლებელია შემოღებული იქნება მთელ ბაღების წამლობა, როგორ თესლოვანი, აგრეთვე კურკოვანი ხეხილისა.

მხოლოდ ზემოხსენებულ საშუალებების მიღებით შესაძლებელია გორის კონსერვების ქარხანას დავაკისროთ მაღალ ხარისხის საექსპორტო კონსერვების დამზადება. თუ ძველი მდგომარეობა დარჩა, მივიღებთ ისეთივე სამწუხარო შედეგებს, როგორც მივიღეთ წარსულ წელს საექსპორტო ხილის კონსერვების დამზადების საქმეში.

ევ. ბელი.

დახმარება ძველ ჯაშუშს

(დიდი ვანის თ., გურია)

„კომუნისტში“ იყო გამოქვეყნებული იმის რამდენიმე ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლებისაგან დახმარებას ღებულობს ყოფილი პროვოკატორები, მღვდლები და კულაკები. მეც მინდა მოვიყვანო ერთი ასეთი მაგალითი. თემუყო გიტოს-ძე რამიშვილი ღებულობს დახმარებას, როგორც ინვალიდი. მართალია ის ინვალიდია, მაგრამ საკითხავია, სად დაკარგა მან ჯანმრთელობა.

თემუყო რამიშვილი სასიკვდილოთ იყო დაჭრილი ხალხის მიერ, როგორც მეფის დროის ჯაშუში.

დღეს დახმარება ეძლევა ამ ცნობილ ჯაშუშს. როგორ შესძლო ცნობილ ჯაშუშმა დახმ. მიღება სოც.უზრუნველყოფის კომისარიატიდან? ეს შეცდომა დროზე უნდა გამოსწორდეს. დამნაშავე სასტიკად უნდა დაისაჯოს.

მ. მ—ძე.

როგორ დადუმდა „ხოლტი“

(სამტრედია)

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა საქმიანობაში შემჩნეული მახინჯი მხარეები, ბევრგან ჩვენი საკრედიტო ამხანაგობანი დაავადებულია. ღარიბ გლეხობისათვის სესხათ მისაცემი გადადებული თანხის სხვა „საქმეზე“ დახარჯვა, სესხისათვის წესდებით გათვალისწინებულ პროცენტზე უფრო მეტი გადახდევინება, გაფლანგვა, სესხის მიცემა არა ხელმოკლე, გაჭირვებულ ღარიბ გლეხობისათვის, არამედ ვაჭრებსა და კულაკებისათვის, უყაირათობა, უმომჭირნეობა, დაუდევრობა — აი, როგორი სენით არის შეპყრობილი ზოგან საკრედიტო ამხანაგობები.

მოვიყვანოთ მაგალითი: სამტრედიის რაიონში არის სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა „სამტრედია“. მთელს რაიონში თითქმის ეს ერთი საკრედიტო ამხანაგობაა. მის სამოქმედო რაიონში შედის თვით სამტრედია, კულაშის, ღანირ-ჭაგანი, გომი, გამოჩინებული და კიდევ სხვა თემები.

ამ წერილში ჩვენ შევეხებით საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის მუშაობაში შემჩნეულ ერთ-ერთ ნაკლს, რომელიც წარმოადგენს აშკარა უყაირათობის და დაუდევრობის ნიმუშს.

გასულ წელს საკრ. ამხანაგობამ შეიძინა „ხოლტის“ სისტემის ტრაქტორი.

გამგეობამ დაიწყო ტრაქტორის ძებნა და, როგორც იქნა მიაკვლია. ტრაქტორისტად აიყვანა კულაშის თემის მცხოვრები გიორგი შენგელია. თვეში დაუნიშნა 120 მანეთი, იმ პირობით. რომ მას უნდა ემუშავნა გაზაფხულის ხვნა - თესვის პერიოდში. შეიკრა პირობა „ხოლტს“ გაუჩნდა „საქმის მცოდნე“, „გამოცდილი“ პატრონი.

გასული წლის დეკემბერში გამგეობამ ტრაქტორი სამუშაოდ გაგზავნა ღანირ-ჭაგნის თემში. თან შენგელიას დაავალა, რომ ვინც გადიხდიდა წინასწარ 15 მან. და 88 კაპ. ერთ დესეტინაზე. ტრაქტორი „ხოლტიც“ მის მამულში აეგუგუნებია. რადგან არავითარი შეღავათი ღარიბ გლეხობისათვის არ არსებობდა, ისინიც გულდაწყვეტით შეყურებდნენ ამ სურათს, თუ როგორ ისარგებლეს შეძლებულებმა და კულაკებმა მხოლოდ გულს იჯარვებდნენ იმით, რომ საბჭოს საანგარიშო პუნქტებზე და ღარიბთა ჯგუფების სხდომებზედაც მიუთითებდნენ საკ. ამხანაგობას ამ ნაკლზე და მოითხოვდნენ მათთვის რაიმე შეღავათის მინიჭებას. აქედან არაფერი გამოვიდა.

ტრაქტორს დაუდგა ვადა სხვა თემში გადასულიყო. მაგრამ, დახეთ უბედურებას, ერთ მშვენიერ დღეს ტრაქტორი ადგილიდან არ იძვრის, დამუნჯდა, გაქვავდა, გაჯიუტდა, „ხოლტი“, აათვალ-ჩაათვალიერა ჩვენმა „ტრაქტორისტმა“ დადუმებული მანქანა და გამოირკვა, რომ მთელი ზამთრის განმავლობაში ტრაქტორის წვიმაში დგომის გამო, მაგარ ყინვებს მანქანის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი მნიშვნელოვნად დაეზიანებია. მოვიდა ფირცხლად საკუთარი ეტლით გამგეობის წევრი ს. ყუფარაძე. „დაათვალიერა“ ტრაქტორი, დატუქსა ტრაქტორისტი და წაბრძანდა. საქმეს კი ამით მაინც არაფერი ეშველა. საჭირო შეიქნა ექსპერტის მოწვევა და იმის საბოლოოთ გამორკვევა, თუ რა მიზეზით გაქვავდა ტრაქტორი. საექსპერტო კომისიაც ჩამოვიდა თვით საკრედიტო ამხ-ის გამგეობის თავმჯდომარის თანხლებით. დაათვალიერეს მანქანის შემადგენელი ნაწილები და აღმოჩნდა, რომ ზემოაღნიშნულ მიზეზებს გარდა ტრაქტორი მოუვლელი ყოფილა, საფუძვლიანად ერთხელაც არ გაწმენდილა. „ხოლტი“ დაიშალა ნაწილ-ნაწილად, ზოგი ღანირ-ჭაგნის თემის სავაჭრო ყაფნის ქვეშ აწყვია, ზოგი თემ-აღმასკომის სალაროს თავზეა შედებული, ხოლო დაზიანებული ნაწილი კი თბილისში გაიგზავნა. მას აქეთ თითქმის ორი თვეა, გაზაფხულის ხვნა - თესვა კარზეა მომდგარი, პარტია და საბჭოთა ხელისუფლება მთავარ ყურადღებას აქცევს მოსავლიანობის გადიდებას, სასოფლო-სამეურნეო მანქანების და უფრო მიზანშეწონილად მოხმარებას.

სწორედ ამ დროს, ჩვენი ტრაქტორისტი თავისუფლად, უდარდელათ დასეირნობს ამხანაგების ხარჯზე ჯამაგირის მთლიანად შენახვით, ტრაქტორი „ხოლტი“ კი დადუმებულია.

საქმის ამგვარი „თაოსნობით“, ჩვენ წინ ვერ წავსწევთ სოფლის მანქანიზაციის საქმეს, ჩვენ ვერ აღმოუჩენთ სათანადო დახმარებას ღარიბ გლეხკაცობას და, რაღა თქმა უნდა, ვერ გავამართლებთ იმ დავალებებს, რომელსაც პარტია და ხელისუფლება გვაკისრებს თესვის კამპანიასთან დაკავშირებით.

ვლ. გალდავა.

რა საჭირო იყო ეს თათბირი

ჩვენი პრესა და ზემდგომი ორგანოები ხშირად მიგვითითებენ უთავბოლო თათბირების მოწვევის დაუშვებლობაზე.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ყველა ამან სათანადო შედეგი გამოიღო, მაგრამ თურმე ყოფილა კიდევ დარჩენილი ზოგიერთი დაწესებულების გამგე, რომელიც ვერაფერს ხედავს და არავის ცნობს.

აი, მაგალითად, ოზურგეთში ახლად ჩამოსული საგადასახადო განყოფილების გამგე ნიკიტა კობალაძე.

კობალაძემ მოიწვია ოზურგეთის მაზრის ყველა დაწესებულებებიდან თითო წარმომადგენელი 1928-29 წლის საშემოსავლო გადასახადის თანამშრომლებზე გაწერისათვის საჭირო ინსტრუქციის გასაცნობათ.

როგორც ვიცით, საშემოსავლო გადასახადით იბეგრება ის თანამშრომელი, რომელიც თვეში 75 მანეთს ზევით ხელფასს ღებულობს და ამავე დროს არ არის ადგილობრივ სასოფლო სამეურნეო გადასახადით დაბეგრილი.

სხვათა შორის უნდა აღვნიშნოთ, რომ თემებში ასეთი ჯამაგირის მქონე პირები ცოტაა.

ეს კობალაძემ კარგად იცოდა, მაგრამ მას მაინც „სჭირდებოდა“ თათბირი, რომელზედაც ყველა თემის წარმომადგენელი გამოცხადდა. თავი შეიყარა დაახლოვებით 100 კაცმა. ზოგ დაწესებულებამ წარმომადგენლად დარაჯი გამოგზავნა.

გაიხსნა თათბირი. საგადასახადო განყოფილების წარმომადგენელი აკეთებს ვრცელ მოხსენებას, შემდეგ იხსნება კამათი. ამხანაგები აღნიშნავენ, რომ საკითხი გამორკვეულია, ყველაფერი ეს ვიცით და ერთხელ კიდევ გავიგეთ, შევეცდებით მის ცხოვრებაში გატარებას, ეხლა კი საგზაო და დღიური მოგვეცით და ჩვენ-ჩვენს დაწესებულებებში დავბრუნდებით და მუშაობას შეუდგებით. პასუხად ცივი უარი მიიღეს.

ამხანაგები ასეთმა პასუხმა მეტად გააოცა. ბევრ მათგანს სამგზავრო ფული არ ქონდა და ფეხით გაუდგნენ სახლისაკენ გზას. საჭმელ-სასმელს ხომ აღარავინ სჩიოდა.

ზოგიერთი დაწესებულების წარმომადგენლები კი ამბობდნენ, ჩვენ გზის ფულს და ყოველივე ხარჯებს ჩვენ-ჩვენი დაწესებულებებისაგან ავიღებთო.

სად არის საღი მოსაზრება? დასაბეგრი პიროვნებიდან წელიწადში უნდა აიღონ 6—7 მანეთი და სამაგიეროთ ამავე საქმეზე ჩამოსულს უნდა მისცე 10—15 მანეთი.

თემებში ამ დროს საბჭოთა არჩევნები მიმდინარეობდა. ყველა ორგანიზაციების მთავარი ყურადღება ამ კამპანიისაკენ იყო მიმართული, კობალაძე ასეთ დროს, ასეთ მახინჯ ფორმებში იწვევს თათბირს და ქმნის მთელ რიგ გაუგებრობას.

ამაზე, ალბად ფინსახკომი გაგვცემს პასუხს.

ლახვარი.

გამოძახილი წერილებზე

ბოროტმოქმედი, გაძევებულია სამსახურიდან

გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებულ წერილის სათაურით: „ასეთი თანამშრომელი არ გამოგვადგება“ შესახებ: ბათომის ფ.-ტელეგრაფის საოლქო კანტორა გაუწყებთ, რომ კვლევა-ძიებით გამოირკვა შემდეგი: წერილში აღნიშნულ ბოროტმოქმედებათა გარდა თანამშრომელ კელენჯერიძეს ჩაუდენია კიდევ სხვა ბოროტმოქმედება, როგორიც არის ყალბი ფულის ბარათის გაგზავნა და სხვ. დამნაშავე მოხსნილია სამსახურიდან და მიცემულია პასუხისგებაში, როგორც ბოროტმოქმედი.

ბათომის ფოსტა - ტელეგრაფის კანტორა

მასწავლებელი ა. ნაცვლიშვილი აღდგენილ უნდა იქნას

განათლების მუშ. კავშირის ცენტრალური გამგეობა გაცნობებთ, რომ კორესპონდენცია მასწავლებელ არჩილ ნაცვლიშვილის (სოფ. ვარევნი, ახალქალაქის მ.) სამსახურიდან უკანონოდ მოხსნის შესახებ თავიდან ბოლომდე სიმართლეს შეიცავს.

ამასთანავე დავსძენთ, რომ განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ. სატარიფო საეკონომიო განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა ამ უკანასკნელმა მიიღოს ზომები საქმის დაჩქარებით გასარჩევად.

განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა.

უმართებულო ბრალდება

გაზ. „კომუნისტი“-ს № 16-ში მოთავსებული იყო კორესპონდენცია სათაურით: „სახლს პატრონი არა ყავს“. ავტორი ეხება საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობა № 9 გამგეობის მოქმედებას და აღნიშნავს, თითქოს გამგეობაში ადგილი ჰქონდეს მთელ რიგ ბოროტმოქმედებას.

სიმართლის აღსადგენად საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ შემდეგი:

გამგეობის კანტორაში არავითარი ნოხები და ფუფუნების საგნები არ არის. მუშაობის რეგლამენტი დაწესებულია საქ. საბინაო კავშირის მიერ და გამგეობა № 9 მას ატარებს უცვლელად.

ბინების შეკეთება ამ სეზონში არ ჩატარებულა. შეიღება მხოლოდ სახლების ხის ნაწილები, და ეს მუშაობა მთლიანად დაკისრებული ჰქონდა საქ. საბინაო კავშირს და არა ვინმე ლეონიძეს, რომელიც მხოლოდ საკანალიზაციო მილებს აკეთებდა.

400 მან. ლეონიძეს არას დროს არ მიუღია, მინები ჩასვა არა კერძო პირმა, არამედ საქ. საბინაო კავშირმა და ეს სამუშაო დაჯდა არა 350 მანეთი, როგორც კორესპონდენციის ავტორი აღნიშნავს, არამედ 125 მანეთი

გამგეობას არავისთვის მიუყიდნია ბინა, პირიქით, თავისუფალი ოთახები ეძლევა პირველ რიგში მუშებს.

შტატები გაბერილი არ არის, მთლიანად დაცულია საქ. საბინაო კავშირის ბიუჯეტის ნორმები; გამგეობას ყავს ერთი კომენდანტი და ერთი მოანგარიშე.

გამგეობის ტეხნიკურ აპარატზე სულ იხარჯება არა 510 მანეთი, არამედ — 260 მანეთი.

ავტორის მიერ წამოყენებული დანარჩენი ბრალდებებიც ამდენადვე უსაფუძვლოა. ამიტომ ზედმეტად მიგვაჩნია ყველა ამ ბრალდებებზე პასუხის გაცემა.

გამგეობა.

საბჭოთა სამაზრო ყრილობები დაიწყო

სამაზრო აღმასკომების არჩევნები

მთელს საქართველოში დასრულდა სასოფლო, სათემო და საქალაქო საბჭოების არჩევნები.

საბჭოების შემადგენლობა საგრძნობლად გაჯანსაღებულია.

საჭიროა განახლებული საბჭოების მუშაობაზე სწორი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა, რომ მშრომელი მოსახლეობის ის აქტივობა, რომელიც მან წელს არჩევნებში გამოამჟღავნა, სავსებით იქნას გამოყენებული პროლეტარიატის დიქტატურის შემდგომი განმტკიცების და სოციალური მშენებლობის წარმატებისათვის.

ძირითად საბჭოების მუშაობის ხელმძღვანელობა პირველ ყოვლისა ეკისრება სამაზრო აღმასკომებს. აქედან—განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამაზრო აღმასკომის შემადგენლობის შერჩევას. სამაზრო პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ სამაზრო აღმასკომების მომავალ არჩევნებს, რომლებიც ჩატარდება მთელს რესპუბლიკაში მარტის 10-დან ამ თვის დამლევამდე.

დიდია სამაზრო აღმასკომის უფლებები და რთული მისი მოვალეობანი.

სამაზრო აღმასკომს უმთავრესად ეკისრება: საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დადგენილებათა განხორციელება, ყოველგვარი ღონისძიებათა მიღება მაზრის ეკონომიური და კულტურული წარმატებისათვის, ადგილობრივი ხასიათის საკითხების უშუალოდ გადაწყვეტა, ქვემდებარე ორგანოთა მოქმედების ხელმძღვანელობა-მეთვალყურეობა და მრავალი სხვა.

ჩვენი ნივთიერი ხელმოკლეობის პირობებში, როცა მაზრა ჩაყენებულია ხარჯთ-აღრიცხვის ვიწრო ჩარჩოებში, საჭიროა გამოცდილი და საქმის კარგად მცოდნე ხელი, რომ უმტკივნეულოდ წარიმართოს სოფლად სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული მუშაობა.

სამაზრო აღმასკომების არჩევნების დროს უნდა მიექცეს ყურადღება შემდეგ მომენტებს.

უნდა შეიქმნეს აუცილებლად ავტორიტეტული სამაზრო აღმასკომი. ამისათვის საჭიროა სამაზრო აღმასკომების შემადგენლობის რიცხობრივად გადიდება. ეს საშუალებას მოგვცემს შევიყვანოთ სამაზრო აღმასკომის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი თემების აღმასკომების თავმჯდომარეები, უპარტიო გლეხები და სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი. ამით მათ შესაძლებლობა მიეცემათ უშუალო მონაწილეობა მიიღონ აღმასკომის მუშაობაში, რაც განამტკიცებს მაზრაღმასკომის ხელმძღვანელობას და კავშირს საბჭოთა ძირითად ორგანოებთან, აგრეთვე სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ეს იქნება ამავე დროს ერთ-ერთი ფორმა მშრომელთა უშუალოდ ჩაბმისა მმართველ-გამგეობის საქმეში. წარსულ არჩევნებში ამ მხრივ იყო დეფექტები, სამაზრო აღმასკომის შემადგენლობის უმრავლესობა ზოგიერთ მაზრებში შედგებოდა თითქმის მხოლოდ მაზრის ცენტრში მომუშავე ამხანაგებისაგან.

სათემო საბჭოების არჩევნებში წელს ამ მხრივ სწორადაა გატარებული პარტიის ხაზი—არჩევნების დემოკრატიული წესის მტკიცედ დაცვა და უპარტიოთა ფართე მასის ჩაბმა საბჭოებში.

ეს ხაზი სამაზრო აღმასკომების არჩევნებშიაც უნდა იქნას გატარებული. მართალია, ჩვენ არც ისე მდიდარი ვართ ადგილებზე მომზადებული და გამოცდილების მქონე საბჭოთა მუშაკებით, მაგრამ ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ გავლილი რვა წლის განმავლობაში ბევრნი უკვე აღიზარდნენ და გაიწვრთნენ მშრომელ გლეხთა წრეებიდან გამოსული საბჭოთა მუშაკები. საჭიროა ამ გარემოებას სათანადო ანგარიში გაეწიოს სამაზრო ხელმძღვანელ საბჭოთა ორგანოების კანდიდატთა შერჩევის დროს და ამ ორგანოების მუშაობაში ჩაბმულ იქნენ ისეთი პირები, რომელთაც სავსებით დაიმსახურეს თავისი წარსული მუშაობით, რევოლიუციის ინტერესისადმი ერთგულებით მშრომელი გლეხობის ნდობა.

შემდეგი მომენტი, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება სამაზრო აღმასკომების არჩევნების დროს, ესაა—მათი სოციალური შემადგენლობა, სამაზრო აღმასკომებში უნდა გაძლიერდეს მუშების, მოჯამაგირეების და ღარიბი გლეხობის პოზიციები, აგრეთვე საკმაო რაოდენობით წარმოდგენილი იქნენ საბჭოთა ხელისუფლების ერთგული და საზოგადოებრივად აქტიური საშუალო გლეხები. წარსული არჩევნების დროს ზოგიერთ მაზრებში დაშვებული შეცდომა—მოსამსახურეების საჭიროზე მეტი პროცენტის შეყვანა სამაზრო აღმასკომებში—აცილებულ უნდა იქნეს წელს. დღევანდელ სამაზრო აღმასკომების შემადგენლობაში მოსამსახურეები, მასწავლებლები, ექიმები და აგრონომები შეადგენდენ 57 პროც., ხოლო გლეხები 24,8 პროც., მოჯამაგირეები და სასოფლო-სამეურნეო მუშები—1,9 პროც., მუშები კი—14,4 პროც. შეუძლებელია ცენტრიდან ამ სოციალურ ჯგუფების პროცენტის განსაზღვრა. ეს ევალება ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელ ორგანოებს ადგილობრივ პირობების მიხედვით. მხოლოდ საერთო დირექტივა და ხაზი გასაგები უნდა იყოს—მაზრაღმასკომების შემადგენლობაში მუშების, მოჯამაგირეების და გლეხობის ხვედრითი წონის გადიდება.

ამასთან უნდა გავაძლიეროთ მუშა, მოჯამაგირე და გლეხ-ქალთა მონაწილეობა სამაზრო აღმასკომებში. წარსულ არჩევნების დროს სამაზრო აღმასკომების შემადგენლობაში ქალთა მონაწილეობა უდრიდა 6,3 პროც. ეს აუცილებლად მცირე პროცენტად უნდა ჩაითვალოს; წელს ქალთა პროცენტი უდავოდ უნდა იქნეს გადიდებული.

სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს სამაზრო აღმასკომების სწორად ჩამოყალიბებას ნაციონალური ნიშნის მიხედვით. აქ მტკიცედ უნდა იქნეს დაცული ის გეზი, რომ მოსახლეობაში არსებულმა ნაციონალურმა შეფარდებამ სრული გამოხატულება ჰპოვოს ახალ სამაზრო აღმასკომების შემადგენლობაში.

დასასრულ უნდა აღინიშნოს სამაზრო აღმასკომების პრეზიდიუმის შერჩევის განსაკუთრებული მნიშვნელობა. მაზრაღმასკომის პრეზიდიუმი არის ყოველდღიური მომუშავე და ხელმძღვანელი ორგანო.

თუ გვსურს, რომ ლოზუნგი—საბჭოების გამოცოცხლება და საბჭოთა აპარატის მუშაობის გაუმჯობესება პრაქტიკულად განხორციელდეს და მაზრა ეკონომიურად და კულტურულად წინ წავიდეს, სხვა სათანადო ღონისძიებათა შორის, საჭიროა სამაზრო აღმასკომების პრეზიდიუმის წევრთა და განყოფილებათა გამგეების მეტად დაკვირვებით და ფრთხილად შერჩევა ისეთი ამხანაგებისაგან, რომლებსაც შეეძლებათ მათზე დაკისრებულ მძიმე და ფრიად საპასუხისმგებლო სამუშაოს პირნათლად შესრულება. საჭიროა მაზრაღმასკომის პრეზიდიუმის წევრი განყოფილების გამგე იყოს გამოცდილი და მცოდნე მუშაკი იმ დარგში, რომელსაც მას ჩააბარებენ.

დ. ქუჩულორია.

ოზურგეთის მაზრის საბჭოთა ყრილობა

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ოზურგეთი, 11 მარტი. 10 მარტს დიდი ზეიმით გაიხსნა ოზურგეთის მაზრის საბჭოთა მეექვსე ყრილობა.

ყრილობა გახსნა ამხ. გურგენიძემ. საქმიან პრეზიდიუმში არჩეულია 35 კაცი. დამტკიცებულია შემდეგი დღის წესრიგი: საქართველოს მთავრობის მოხსენება— ამხ. ს. ჯუღელი, მაზრაღმასკომის ანგარიში — კ. გურგენიძე; „საქართველოს ჩაის" გამგეობის მოხსენება, მოხსენებანი თესვის კამპანიაზე და არჩევნები.

შემოდის წინადადება, რომ საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხანაგები: **სტალინი** (ისმის მქუხარე ტაში და ხანგრძლივი ოვაციები), **რიკოვი, კალინინი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, ცეტკინი, კრუპსკაია, ცხაკაია, ორახელაშვილი, მახარაძე, კახიანი, ვანო სტურუა, ლომბერიძე, ჯუღელი** და **ვარო ჯაფარიძე**. წინადადებას მქუხარე ტაში ფარავს და მიღებულია ერთხმად.

მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა საკავშირო, ამიერ - კავკასიის და საქართველოს ცაკს, ამიერ - კავკასიისა და საქ. სახკომსაბჭოს და ამხ. **ს. ორჯონიკიძეს**.

ყრილობას მიესალმენ ამხანაგები: **ვანო სტურუა, გ. მგალობლიშვილი** და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამავე სხდომაზე იწყება ყრილობის საქმიანი მუშაობა და მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. **ჯუღელს**, რომლის გამოსვლას ყრილობა ტაშით ეგებება.

უჯმაჯურიძე.

მუშფაკების ათი წლის თავი

10 მარტს, საღამოს 6 საათზე, საქ. პროფსაბჭოს დარბაზში შესდგა მუშფაკების არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავი სხდომა. საიუბილეო კომისიის სახელით სხდომა გახსნა ამხ. **მიხა ცხაკაიამ**. საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ცხაკაიამ.

ამხ. ცხაკაიას სიტყვა

ამხანაგებო, დღეს ჩვენ ვზეიმობთ მუშფაკების არსებობის ათი წლის თავს. მუშფაკების არსებობა სრულიად ახალი მოვლენაა, რომელსაც ადგილი აქვს მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში. მართალია, კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც არის მუშათა საღამოს უნივერსიტეტები, მაგრამ ჩვენს მუშფაკებსა და კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ მუშათა უნივერსიტეტებს შორის დიდი განსხვავებაა ორივე ეს სასწავლებლები გარკვეულ კლასობრივ მიზნებს ემსახურებიან. თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა უნივერსიტეტი გამოყენებულია კაპიტალისტურ წყობილების განმტკიცებისათვის ხელის შესაწყობად, ჩვენი მუშფაკები ჩვენ გვაძლევენ მომუშავეთა ისეთ კადრებს, რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას და ამით ემსახურებიან სოციალისტური მშენებლობის საქმეს. ამ მხრივ მუშფაკებს უკვე საკმაო მიღწევები აქვთ. მუშფაკელებმა წარსულში შესძლეს გაემართლებიათ მათზე დამყარებული იმედები, უსურვოთ მათ, მომავალშიაც წარმატებით იმუშაონ ჩვენს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის ფრონტზე.

ამხ. მარიამ ორახელაშვილის სიტყვა

მუშფაკელების დღე—ეს კულტურულ ფრონტზე უდიდესი გამარჯვების დღეა. მუშფაკს მომავალშიაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება, მიუხედავად შრომის სკოლების არსებობისა. მნიშვნელობა ექნება იმიტომ, რომ ჩვენი ამოცანაა: შევქმნათ მეცნიერული ძალები დაზგაზე და გუთანზე მომუშავეთაგან რაც აუცილებელია სოციალისტური მშენებლობის წარმატებით მსვლელობისა და ახალი ყოფა-ცხოვრების შექმნისათვის.

ჩვენ ამ მხრივ მოგვეპოვება თვალსაჩინო მიღწევები, მაგრამ გვაქვს ნაკლიც, რომლის დამალვა შეცდომა იქნებოდა. მუშფაკი ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოთ დაკავშირებული ქალაქის წარმოებასთან და სოფლის მეურნეობასთან. მუშფაკელების სოც. შემადგენლობაც საჭიროებს რამოდენიმედ მოწესრიგებას. არ არის განმტკიცებული აგრეთვე მეცადინეობის ლაბორატორიული სისტემა. საჭიროა, რომ ყველა საზოგადოებრივმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან მუშფაკებიდან და უნივერსიტეტიდან სპეციალისტების ახალი კადრების მიღებაში, ყოველ მხრივ ხელი შეუწყონ მუშფაკების მუშაობას.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. **იონოვი**. „იმისათვის, რომ გამარჯვებულ მუშათა კლასი არ დამარცხდეს, მას ესაჭიროება თავისი საკუთარი კულტურული ძალები. მუშფაკებმა სწორედ ამ ძალების მომზადება იკისრეს და ღირსეულად ასრულებენ მას" აღნიშნა ამხ. იონოვმა.

გარდა ამისა მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: პროფსაბჭოს წარმომადგენელი ამხ. **ანთიძე**, ს. მ. უ. ს.-იდან—ინჟ. **შიშინაძე**, აჭარისტანის მუშფაკის წარმომადგენელი, სახ. უნივერსიტეტის სტუდენტების სახელით—ამხ. **სალუქვაძე**, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტიდან—ამხ. **ბრეგვაძე**, მუშფაკების პედაგოგიური ფაკულტეტების კოლექტივიდან—**ველერი**, მუშფაკელების სახელით—ამხ. **ვაშაკიძე** და სხვ.

დასასრულ მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა: **საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს და ამხ. სტალინს, პოკროვსკის, კრუპსკაიას და ლუნაჩარსკის.**

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მე-15 კრება

9 მარტს, საღამოს, შესდგა თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მე-15 კრების მესამე სხდომა.

განიხილეს დიფერენციალური პაის და პურის წიგნაკების შემოღების საკითხები.

დიფერენციალური პაი

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა მუშკოოპის წევრი ამხ. **ნ. ფირიაშვილი**. დიფერენციალური პაის შემოღების საკითხი,—ამბობს მომხსენებელი—მომწიფებულია სავსებით. საბჭოთა კავშირის ზოგიერთ დიდ ქალაქებში კოოპერატივები უკვე გადავიდნენ დიფერენციალურ პაიზე.

„ცენტროსოიუზი"-ს მიერ შემუშავებულ დიფერენციალური პაის პროექტი დამტკიცებულია საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ, რომელმაც გამოსცა შესაფერი დადგენილება.

პაის მინიმუმი განისაზღვრება 15 მანეთით და მაქსიმუმი—50 მანეთით.

ვინც ჯამაგირს იღებს 20-დან—50 მანეთამდე, პაის იხდის—15 მანეთს; 50-დან—100 მანეთამდე—20 მანეთს, 100-დან—150 მანეთამდე—30 მანეთს, 150-დან—225 მანეთამდე—40 მანეთს და ის ვინც იღებს თვეში 225 მანეთზე მეტს იხდის—50 მანეთს.

შინა-მრეწველ-ხელოსნები და თავისუფალი პროფესიის პირები პაის იხდიან მათი წლიური საშუალო შემოსავლის მიხედვით.

მუშკოოპის მიერ დაწესებულია აგრეთვე ხუთ მანეთიანი პაიც. ასეთ პაის იხდიან მოჯამაგირეები და მუშა-მოსამსახურეები, რომელთა ჯამაგირი თვეში არ აღემატება 20 მანეთს და ინვალიდები, პენსიონერები და სტიპენდიანტები, რომლებიც დახმარებას ღებულობენ არა უმეტეს 25 მანეთისა.

წითელ-არმიელები და უმუშევრები პაისაგან თავისუფალნი არიან. მათ შეაქვთ მხოლოდ საწევრო გადასახადი და ენიჭებათ კოოპერატივის სრულუფლებიანი წევრის უფლება. უმუშევრები ვალდებულნი არიან მხოლოდ ყოველ სამ თვეში წარუდგინონ მუშკოოპს შრომის ბირჟის ცნობა უმუშევრობის შესახებ.

დიასახლისები, რომლებიც მოისურვებენ მუშკოოპის წევრობას იხდიან ოჯახის უფროსის პაის ერთ მეოთხედს.

ახალ წევრებს პაის გადახდის დროს ეძლევათ შეღავათი. ისინი შესვლისას იხდიან პაის ერთ-მეათედს, ხოლო დანარჩენს—ნაწილ-ნაწილად ორი წლის განმავლობაში.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ რწმუნებულთა კრებამ დიფერენციალური პაის გეგმა დაამტკიცა და საჭიროდ სცნო მისი 1 აპრილიდან ცხოვრებაში გატარება.

პურის წიგნაკების შემოღება

მომხსენებელი, მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **ა. ერისთავი** შეეხო იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვიეს ერთგვარი გართულება პურის ბაზარზე და პურის წიგნაკების შემოღების მნიშვნელობას და შემდეგ განმარტა პურის წიგნაკებით სარგებლობის ტეხნიკა:

წიგნაკები იქნება სამი სახის: წიგნაკი „ა" და „ბ"—მშრომელ ელემენტებისათვის („ა" ფიზიკურად მომუშავეთათვის და წით. არმიის მოსამსახურეებისათვის, „ბ"—მათი ოჯახის წევრებისათვის, მოსამსახურეებისათვის და დიასახლისთა ოჯახის წევრებისათვის). მესამე სახის წიგნაკებია—არა მშრომელი ელემენტებისათვის. უკანასკნელთა დასაკმაყოფილებლად პურით, გამოყოფილი იქნება ცალკე დუქნები.

წიგნაკები მიეცემათ ოჯახის უფროსებს, თუ მოისურვებენ შეუძლიათ მისი მიღება ოჯახის ცალკე წევრებსაც რომელთაც აქვთ საკუთარი შემოსავალი.

წიგნაკები დარიგებული იქნება საქარხნო, სადაწესებულებო და ადგილობრივი კომიტეტების საშუალებით.

რესტორანებს პური მიეცემათ ასეთივე წიგნაკებით. კერძო რესტორანებს პური მიეცემა გადიდებულ ფასებში.

პურის ნორმები საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არის.

ვინაიდან,—ამბობს დასასრულ მომხსენებელი,—მოსალოდნელია ბოროტმოქმედება წიგნაკებით, საჭიროა პურით სავაჭროებში კოოპერატიული აქტივის მორიგეობის შემოღება და საერთოდ საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერება.

კრებამ პურის წიგნაკებზე გადასვლა მოიწონა. საჭიროდ სცნო ამ ღონისძიების მალე გატარება და წინადადება მისცა კოოპერატიულ აქტივს გააძლიეროს კონტროლი პურით სავაჭრო დუქნებზე.

მოსმენილ მოხსენებების გამო რეზოლუციების მიღების შემდეგ კრება დაიხურა.

ხელოვნება

თბილისის მუშათა თეატრი

„ქორწინება ცათა შინა"—კომედია გაზენკლევერის

(მსახ. ლიუბოშის 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად).

ამ პიესის ირგვლივ დიდი აურ-ზაური ასტეხა გერმანიის მართლმორწმუნე საზოგადოებამ. ვეიმარის სასულიერო წოდებამ მოითხოვა პიესის აკრძალვა. მაინის ფრანკფურტში თეატრის წინ გაიმართა დიდი საპროტესტო დემონსტრაცია. ავტორს ბრალს სდებდნენ ურწმუნოებაში.

რელიგიური შხამით მოწამლული საზოგადოების აფორიაქება გასაგები ხდება, როცა ამ პიესას უსმენთ. კულტუროსან დრამატურგს, კარგად დამუშავებული ფაბულით, იერიში მიაქვს ხალხის მიერ შექმნილ ქრისტიანული ღმერთის წინააღმდეგ.

მოქმედება სწარმოებს ზეცაში და მიწაზე. მამა-ღმერთი, პეტრე მოციქული და მარიამ მაგდალინელი განაგებენ მსოფლიო საქმეებს იმავე წესით, როგორც ეს მიწაზე ხდება. მარიამ მაგდალინელის ზეგავლენით ღმერთი გააცოცხლებს და მიწას დაუბრუნებს სამ თავის მკვლელს. (ცოლი, ქმარი, საყვარელი). მათი გაცოცხლების მიზანია: გახდენ ბედნიერნი ცხოვრების ახალი პირობების შექმნით. ვერც მათი გამდიდრებით და ვერც გალატაკებით ღმერთმა ეს ვერ შესძლო. გაცოცხლებულები ისევ თავს იკლავენ.

თუ ამ პიესის რევოლიუციონური მნიშვნელობა კაპიტალისტურ პირობებში უდავოა და დიდი, ჩვენს პირობებში იგივე არ ითქმის.

პიესაში კარგად დაყენებული ანტი-რელიგიური თემა აზრს ჰკარგავს, როდესაც მას შევხედავთ პიესაში გატარებულ მთლიან მსოფლმხედველობის თვალსაზრისით. არ არსებობს ღმერთი, მაგრამ არსებობს ბედი, ამბობს ეს მსოფლმხედველობა ცენტრში სდგას ბედის იდეა. ბედის ტრიალს ემორჩილება როგორც ღმერთი, ისე მთელი სამყარო. ყველაფერი წინდაწინვეა გადაწყვეტილი, ამიტომ უაზროა ადამიანების ბრძოლა. ექსპრესიონისტების (გაზენკლევერი ექსპრესიონისტია) ასეთი რევოლიუციონერობა უფრო მისტიური ნიჰილიზმია, ვიდრე მატერიალისტური შეცნობა სამყაროსი. ამიტომაც გაიდევნა საბჭოთა სცენიდან მათი პირველი პერიოდის შემოქმედება („გაზი", „ადამიანი მასა"). ეს ძველი ბერძნ. მსოფლმხედველობა თეორიულად განახლებული ნიცშეს „amor fati"-თა და შპენგლერის „სიღრმეთა განცდით" ეხლა, როგორც სჩანს, მხატვრულ სახეებათ მუშავდება ექსპრესიონისტების მიერ. ეს ახალი კომედიაც ამ მსოფლმხედველობის ერთ-ერთ მხატვრულ ნიმუშს წარმოადგენს.

ამ მსოფლმხედველობის მიხედვით, სიყვარული იქვე და განდიდების სურვილი მუდამ დარჩება მასების მთავარ მამოძრავებელ ძალად. ღმერთი, წმინდანთა მთელი შტატით, შედეგია ადამიანების დაუკმაყოფილებელი სურვილებისა და მეტი არაფერი. ამ სურვილებს განაგებს და იმორჩილებს არა ღმერთი, ან ადამიანი, არამედ ბედი.

ამ აზრებს გაზენკლევერი გამოსთქვამს ზედმიწევნით კარგად დამუშავებული დიალოგებით და მოხერხებული დრამატიული კომბინაციებით. ნიღაბს ხდის მორწმუნეთა ქრისტიანულ მორალს და კაპიტალისტურ წყობილებას.

ამ მხრივ პიესა ფრიად საინტერესოა საბჭოთა მაყურებლისათვისაც.

მუშათა თეატრმა, მხატვრული გაფორმებით და აქტიორთა შემადგენლობის კარგი შერჩევით, მთლიანად შესძლო პიესის ანტი-რელიგიური თემატიკის გამახვილება.

მამა ღმერთის ალეგორიული სახე, დეგენერატ მონარქის მასკით, ოსტატურად გაშალა **ლიუბოშმა**. ბურჟუაზიული სალონების „ვარსკვლავთა" მეძავი ბუნება კარგად განასახიერა **ლეჟნინსკაიამ** მარიამ მაგდალინელის სახით. უნაკლო იყო **ბორინი** პეტრე მოციქულის როლში.

სახელოვანი დაწესებულებების და მსახიობთა კოლექტივის წარმომადგენელთა მისალმების დროს, გულმხურვალე ოვაციები გაუმართა ლიუბოშს დამსწრე საზოგადოებამ.

ბ. ბ.

პროლეტარული მწერლები სახ. უნივერსიტეტში

დღეს, 12 მარტს, საღამოს 7 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია მართავს საღამოს. თავიანთ ნაწარმოებს წაიკითხავენ: ქ. ლორთქიფანიძე, პ. სამსონიძე, ი. ვაკელი, ა. მაშაშვილი, ს. ეული, ნარიკაშვილი, ქ. ბობოხიძე და გრებენშჩიკოვი

სასამართლო

პროკურორი საბრალმდებლო სკამზე

გუშინ დილის სხდომაზე დამთავრდა მოწმეთა დაკითხვა და დაიწყო მხარეების კამათი.

სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. **ძაძამიძე** ანალიზს უკეთებს სასამართლო გამოძიების დროს დაგროვილ მასალებს. პროკურორის სიტყვით, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ბრალდებულ კიკაბიძის მიმართ წარდგენილი ორივე ბრალდება: 1) რომ კიკაბიძემ პროკურორად ყოფნის დროს ბოროტად გამოიყენა ძალა-უფლება (ე. ი. ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 114 მუხლში) და 2) ჩაიდინა თაღლითობა (ე. ი. დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია ს. ს. კოდექსის 183 მუხლში).

ძალა-უფლების ბოროტად გამოყენება გამოიხატა იმაში, რომ კიკაბიძემ 1 უბნის სახალხო სასამართლოს პროკურორად ყოფნის დროს აიღო ყაზბიდან 460 მანეთი და იმის მაგიერ, რომ ეს ფული პატრონისათვის ჩაებარებია, მან მიითვისა, დახარჯა თავის საჭიროებისათვის. ეს გარემოება სავსებით დამტკიცებულია მოწმეთა ჩვენებით და საქმეში არსებულ საბუთებით.

მეორე დანაშაული—თაღლითობა გამოიხატა შემდეგში: კიკაბიძემ, რომელმაც პროკურორობის დროს დაამტკიცა მოქ. კაზანცევის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე და ჰპოვა ამ საქმეში დანაშაულის მამხილებელი ფაქტები,—პროკურორობიდან მოხსნის და დამცველთა კოლეგიის წევრად ჩარიცხვის შემდეგ კი მოქალაქე კაზანცევს აღუთქვა დამცველად გამოსვლა ამავე საქმეზე, გამოართვა გასამრჯელო 200 მანეთი, საქმეზე კი არ გამოსულა და არც ერთი კაპეიკის საქმე არ გაუკეთებია მოქ. კაზანცევისათვის. გარდა ამისა, ბრალდებულმა კიკაბიძემ თაღლითობა ჩაიდინა მოქ. შეიცერის მიმართ, რომელსაც დროებით ჩაუსახლდა ბინაში იმ პირობით, რომ ყოველთვიურად ავეჯისა და ოთახისათვის გადაუხდიდა 45 მანეთს. დაარღვია პირობა, იცხოვრა მოქ. შეიცერთან რამდენიმე თვის განმავლობაში და როცა სასამართლომ დაადგინა კიკაბიძისათვის 270 მანეთის გადახდევინება შეიცერის სასარგებლოდ და მისი (კიკაბიძის) გამოსახლება, არა თუ არ გადაიხადა ის ფული, პირიქით, მოქ. შეიცერს დასტყუა 200 მანეთი ოთახის დაცლისათვის.

ყოველივე ეს პროკურორ ძაძამიძეს დამტკიცებულად მიაჩნია მოწმეთა ჩვენებებით და საქმეში არსებულ მასალებით.

დასასრულ, პროკურორი ლაპარაკობს პროცესის საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე და დასძენს: „ბრალდებულმა კიკაბიძემ თავისი საქციელით საბჭოთა სასამართლოს, პროკურატურისა და ადვოკატურის ისტორიის წიგნის ერთ გვერდზე დააჩინა სისხლის სამართლის ბოროტმოქმედების ლაქა. მოსამართლენო, თქვენი მოვალეობაა ამავე ფურცლის მეორე გვერდზე მუშათა კლასის მართლმსაჯულების ხელით აღნიშნოთ, რომ ის სისხლის სამართლის დამნაშავეა".

პროკურორის შემდეგ ილაპარაკეს დამცველებმა: **აჟირაგოვმა** და **შურღაიამ**. ისინი შეეცადნენ იმის დამტკიცებას, თითქოს ბრალდებულ კიკაბიძეს არ მიუძღვის სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაული და იმას, რაც მას ჩადენილი აქვს, შეიძლება ეწოდოს მხოლოდ უტაქტობა, დაუფიქრებლობა და კიდევ ზნეობრივად დასაგმობი საქციელი.

მხარეთა კამათის დამთავრების შემდეგ სხდომა შეწყდა.

შემდეგი სხდომა შესდგება ოთხშაბათს, 13 მარტს, დილის 9 საათზე, რომელზედაც უკანასკნელი სიტყვა მიეცემა ბრალდებულს და გამოტანილი იქნება განაჩენი.

ბერ.

ქრონიკა

თურქეთის ახალი კონსულის ჩამოსვლა

გუშინ დილით თბილისში ჩამოვიდა თურქეთის ახალი გენერალური კონსული თბილისში ბ. ჰუსეინ ნაზმი ბეი.

ბაქოს ბაზრობის გახსნაზე დასასწრებლად

15 მარტს იხსნება ბაქოს ბაზრობა. თბილისიდან ბაზრობის გახსნაზე დასასწრებლად მიემგზავრება ამიერ - კავკასიის აღმოსავლეთ-სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ამხ. შირვანსკი.

ამხ. ხარაბაძის გამგზავრება

19 მარტს მოსკოვში იხსნება სრულიად საკავშირო თათბირი, ფიზკულტურის საკითხებზე, რომლის დღის წესრიგში სხვა საკითხებთან ერთად დასმულია ა.-კ. პროფსაბჭოს მოხსენება ფიზკულტურის დარგში წარმოებულ მუშაობის შესახებ.

მომხსენებლად ამიერ - კავკასიის პროფსაბჭოდან მიემგზავრება ამხ. **ხარაბაძე**.

ამხ. კვირინგის დეპეშა

საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა გაზაფხულის თესვის კამპანიის რწმუნებულის მოადგილისაგან (საბჭოთა კავშირში) ამხ. კვირინგისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც წინადადებას იძლევა ათი დღის განმავლობაში გამოყენებული იქნეს ყველა თანხები, რომლებიც გადადებულია ხორბლის საწმენდ პუნქტების მოსაწყობად.

იქონიონ შემნახველ სალაროს წიგნაკებს

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა—უკლებლივ ჩაეწერონ შემნახველ სალაროს წევრებათ და ყოველთვიურათ გადასდონ შესანახად ხელფასის ნაწილი.

ფართლის განაწილება

საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა მიმდინარე წლის მეორე და მესამე კვარტალის ანგარიშში ამიერ - კავკასიისათვის თავის სარეზერვო ფონდიდან გამოჰყო 68 ვაგონი ბამბის ქსოვილები. აღნიშნული ფართალი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის განაწილებულია შემდეგნაირად:

საქართველოს მიეცა 24,5 ვაგონი, აზერბეიჯანს 29 ვაგონი, სომხეთს 9,5 ვაგონი და „ზაკსოიუზ"-ს სარეზერვო ფონდში 5 ვაგონი.

საქართველოსათვის გამოყოფილი ფართალი განაწილებულია შემდეგნაირად: მუშკოოპს მიეცა 1 ვაგონი, ცეკავშირს, „ზაკტპო"-ს და „ზაკვოენპო"-ს 11 ვაგონი, აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ - ოსეთის სამომხმარებლო კოოპერაციას 2,75 ვაგონი, მატყლის დასამზადებლად გადადებულია 4 ვაგონი, მებამბეთა მოსამარაგებლად 0,75 ვაგონი და აფხაზეთის მეთამბაქოეთა მოსამარაგებლად 5 ვაგონი.

ქალაქის კომენდანტისაგან

თბილისისა და მისი მიდამოების კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ 13 მარტს, მლაშე ტბის რაიონში გაიმართება თოფებისა და ტყვიისმფრქვეველების სროლა. 15 მარტს იქვე მოხდება ზარბაზნების სროლა.

თბილისის აღმასკომში.

◆ **ტრამვაის ვაგონების სისწრაფე.** თბილისის აღმასკომმა წინადადება მისცა ტრამვაის დირექციას, მიიღოს ზომები, რომ გადიდებული იქნას ტრამვაის ვაგონების სისწრაფე და ნაცვლად 9 კილომეტრისა საათში თვითეულმა ვაგონმა გაიაროს 11 კილომეტრი.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **სამალარიო კურსების გახსნა.** ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტთან გაიხსნა სამთვიანი სამალარიო კურსები. კურსებზე სამეცადინოთ გამოწვეული არიან მაზრებში მომუშავე ექიმები.

◆ **საექიმო რაზმის გაგზავნა.** ახალქალაქის მაზრაში გაიგზავნა საექიმო რაზმი ქუნთრუშას ეპიდემიასთან საბრძოლველად.

◆ **ახალი ლაბორატორიის მოწყობა.** ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტთან ეწყობა დიდი ლაბორატორია. ლაბორატორიისათვის საჭირო აპარატურა უკვე მიღებულია უცხოეთიდან.

სხვადასხვა

◆ **გრიპის ეპიდემია კლებულობს.** თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების ცნობით, კლება ემჩნევა გრიპის ეპიდემიას.

◆ **თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებას** გადაწყვეტილი აქვს გინეკოლოგიურ ინსტიტუტში მოაწყოს 30 ახალი საწოლი.

◆ **თავდაცვა-ავიაქიმის რაიონული კონფერენცია.** დღეს დილის 9 საათზე ამხ. ორახელაშვილის სახელობის კლუბში გაიხსნება ლენინის რაიონის თავდაცვა-ავიაქიმის კონფერენცია.

◆ **გეოგრაფიის მასწავლებელთა საყურადღებოთ.** ოთხშაბათს, 13 მარტს, ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის შენობაში, გეოგრაფიის კაბინეტში (ოთ. 22), შესდგება გეოგრაფიისა და სტატისტიკის კათედრის ღია სხდომა, რომელზედაც მოხსენებით გამოვა ამხ. ათაბეკოვი შემდეგ თემაზე: „ლიტერატურის [illegible] მიმოხილვა და ეკონომიური გეოგრაფია". სხდომაზე მოწვეული არიან უმაღლეს და საშუალო სასწავლებლების გეოგრაფიისა და ეკონომიური გეოგრაფიის მასწავლებლები.

◆ **ინჟ. ჯორჯაძის მოხსენება.** 18 მარტს, საღ. 8 საათზე თბილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის შენობაში შესდგება ინჟ. ჯორჯაძის მოხსენება „საგზაო მშენებლობა ამერიკაში".

„ქართული მწერლობა"

გამოვიდა ჟურნალი „ქართული მწერლობა" № 1—2, შემდეგი შინაარსით:

ივ. ყიფიანი—ვლადიმერ ლენინ, კ. გამსახურდია—ოდა ზაჰესს, სანდრო ეული—ლენინის სახე, კ. ნადირაძე—ნადირობის დროს მომხდარი ამბავი, ალ. აბაშელი—პაპა ჩემი, ლ. მაჭავარიანი—მზე თებერვალში, კ. გამსახურდია—ქოსა გახუ, ჰაინრიხ ჰილბო—კარლ ლიბკნეხტი, გ. ცეცხლაძე—ოთხი მაუზერი, სანდრო მგალაძე—კომკავშირელ მეზღვაურს, ა. ქუთათელი—ლენინის მოსკოვში, [illegible]—საქართველოს გეოგრაფია, ი. ჭაბაშვილი—ბენუარი № 3, ნ. ზომლეთელი—გურამ გიგაძის ხსოვნას, დ. თომაშვილი—სიმღერა, არჩილ ონელი—თებერვალი, [illegible]—ზამთრის დღეები, ა. ბილაშვილი—ერთი პოლიტიკური პარტიის ისტორია, წერილები, ბიბლიოგრაფია და ლიტერატურული ცნობები.

ჩაის მეურნეობის კოლექტივიზაცია

ჩაის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხების მოგვარების მიზნით საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრში შესდგა „საქართველოს ჩაი"-ს და კოლმეურნეობათა ცენტრის წარმომადგენლების თათბირი.

„საქართველოს ჩაი"-ს წარმომადგენელთა განმარტებიდან გამოირკვა, რომ ჩაის პლანტაციებისათვის მიწის ტრაქტორებით დამუშავება უვარგისია, ვინაიდან ამჟამად არ მოიპოვება ისეთი გუთნები, როგორიც საჭიროა ჩაის პლანტაციებისათვის მიწის დასამუშავებლად. ამიტომ თათბირმა საჭიროდ სცნო კოლექტივებს მიეცეთ წინადადება — მიიღონ ყოველგვარი ზომები ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმის უკლებლივ შესასრულებლად.

თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ „საქართველოს ჩაი"-მ გამოჰყოს 5 აგრონომი სპეციალურად ჩაის კოლექტივებში სამუშაოდ. აღნიშნული აგრონომები მიმაგრებული იქნებიან აჭარისტანის, აფხაზეთის, ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრის ჩაის კოლექტივებზე. გარდა ამისა კოლექტივების ყოველ 100 ჰექტარ ჩაის პლანტაციისათვის გამოყოფილი იქნება თითო ტეხნიკოსი, რომლებიც უპირველესად ყოვლისა უხელმძღვანელებენ ჩაის კოლექტივებს და შემდეგ ინდივიდუალურ მეურნეობებს.

თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ ჩაის მეურნეობის რაიონები დანაწილებული იქნეს უფრო რაციონალურად (კოლექტივების ჯგუფურ გაერთიანებათა სამოქმედო რაიონების მიხედვით) და თვითეულ რაიონზე მიმაგრებული იქნეს თითო ტეხნიკოსი.

კინო

საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოებაში

კვირას, 10 მარტს, კინო-თეატრ „აპოლოში" შესდგა საინიციატივო ჯგუფის მიერ მოწვეული საბჭოთა კინო-მეგობართა საზოგადოების დამფუძნებელი კრება. კრების თავმჯდომარე ამხ. ვარლამოვმა დამსწრეთ გააცნო საზოგადოების დაარსების მიზანი.

შემდეგ კრებამ მიიღო მოწოდება, სადაც განმარტებულია კინოს, როგორც მასიური ხელოვნების მნიშვნელობა, და გამოთქმულია სურვილი, რომ ყველა წარმოებებთან მოეწყოს საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოების უჯრედები იმ მიზნით, რომ განხორციელდეს ფართო მუშათა მასების აქტიური მონაწილეობა კინო-მშენებლობაში.

მოწოდების მიღების შემდეგ კრებამ აირჩია საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც უნდა იკისროს უჯრედების მოწყობა წარმოება-დაწესებულებებში. კომიტეტში შედის 15 წარმოება-დაწესებულების წარმომადგენელი.

შემდეგ დამსწრეებს უჩვენეს „სოვკინოს" მიერ სამი თვის წინად გამოშვებული სურათი „[illegible]". ფილმში მოცემულია უპატრონო ბავშვთა ცხოვრება და პიონერთა ორგანიზაციების ბრძოლა—ბავშვთა უპატრონობასთან. სეანსის დასასრულს გაიმართა აზრთა-გაცვლა-გამოცვლა ფილმის გარშემო. კრებამ ფილმი ერთხმად მოიწონა და გამოსთქვა სურვილი, რომ მოხდეს მისი დემონსტრაცია პიონერთა ორგანიზაციაში და შრომის სკოლებში.

წერილი ნიუ-იორკიდან

ჰამბურგიდან-ნიუ-ოორკამდე*)

(მგზავრის შთაბეჭდილებანი)

მინდა ამერიკაში მისვლის ამბავი გამოვკითხო ჩვენი ბანის მოსამსახურეს.

ჰო, მართლა, ბანსაც თავისი მოსამსახურე ჰყავს. ის აქირავებს ბანზე დასაჯდომ სკამებს. საქმე იოლი აქვს, უსაქმოდ დაიარება ბანზე მთელი დღე.

— მაშ, ასე, ხვალ ვიქნებით რაღა, ნიუ-იორკში?

— დიახ, ხვალ, საათის,—2-ზე.

— როდის შემდეგ დავინახავთ ნაპირს?

— მე მგონია, 12 საათის შემდეგ უკვე გამოჩნდება ნაპირი.

— პირველად, ალბათ, იმას დავინახავთ, რა ჰქვია, ერთი—დამავიწყდა:—ჰო, იმას თავისუფლების ძეგლს..?

— რის ძეგლს, „თავისუფლებისას"?!

— ჰო, განა აგრე არ ეძახიან?

— რასაკვირველია, ეძახიან. მართალია, მაგი სახელი ჰქვია..

— არ მოგწონთ აქაური თავისუფლება?

— არაფრად. ან სადაა აქ თავისუფლება?

— გერმანიის თავისუფლება სჯობია?

— არც ერთი არ ვარგა. ერთიც და მეორეც ქირს წაიღოს.

[illegible] რამაა ადამიანისათვის მისი კლასობრივი ვინაობა. აი ეს მგზავრების ხელში შეზრდილი—იქნებ ვინმე მდიდარმა რამე მაჩუქოს—აი ისიც ხანდახან [illegible] და საჭირო დაურიდებელი და გაბედული სიტყვას ითქვამს.

კვლავ დაიწყო ლოდინი.

რომ იცოდეთ, რა მოზარება ლოდინისაკენ პირის მიბრუნება. მგონი [illegible] აღარ და [illegible]. ამ უბედურების მაინც ვერსად გავექცე ერთად ერთი ხსნა საშუალო ლოგინია, მოდი შენ და ნუ დაწვები, თუ ძალიან გინდა.

მგონი უკლო. ნეტავი მთლად დაწყნარდება?!

მეშორე ამ განსაცდელს!!!

ვიყიდი გემზე—აქ ხომ ყველაფერს ჰყიდიან —რამოდენიმე წიგნი ამერიკის შესახებ. მე ჯერ-ჯერობით პრაქტიკული და „წვრილმანი" რამეები უფრო მაინტერესებს.

— სიძვირეა, თუ არა, საზოგადოთ?

— მაინტერესებს ყველაფერზე უფრო ბინის საკითხი. სხვა რამეების ფასების არ მიკვირს. სად არის მაგის თავი და ფული?

ჩემი კარაბადინიდან რაც ამოვიკითხე, სანუგეშოს ვერაფერს მაჩვენებს—სიძვირე დიდი უნდა იყოს ამ კურთხეულ ქვეყანაში.

ამასაც ვნახავ. ყველა წიგნს როდი დაეჯერება მით უმეტეს, როდესაც გემზე ყიდულობ.

დღის ფრანგულ ჟურნალებს ვათვალიერებდი. ამ რამოდენიმე დღის წინათ რომ ვიყიდე. მაგრამ შიგ ჩახედვა არ დამცალდა.

აი ჩემს წინ სძევს ერთი მათგანი. კონტრასტი გამოყენებულია, ლამაზიანი სათაურები აქვს შემაზმული. სახელიც კოპწია აქვს—„ლიმილი" ჰქვია. ყდაზე, მართალია, კოპწია ჰეროვანი რამ არსება არის გამოხატული და მაცდურათ იღიმება.

ეს გარედან. ჩავიხედო—რა სწერია შიგ.

ფრანგებს არ უყვართ [illegible] და მძიმეთ შესათვისებელი მასალის შემზადება, არის რამოდენიმე კარიკატურა, ანეკდოტი დაშიშვლებულ ქალებისა. არის რამოდენიმე ნამეტნავათ გადამლაშებული ოხუნჯობა, დანარჩენი ადგილი კი განცხადებებს უკავია.

განცხადებათა გამოთვლაში არასოდეს არ ყოფილა ჩემთვის საინტერესო. მაგრამ ამ უსაქმოდ ყოფნის დროს [illegible].

ჩემი [illegible] არ მოგვიძებნა. მაგრამ მე ყველაფერით „შემჯობი" დროშიაც კი ვკითხულობ ის ამბები, რაც მე აქ ამოვიკითხე.

ბურჟუაზიის არ უყვარს მორცხვობა, ფულის პატრონი—აქ ყველაფრის პატრონია. ეს, ასე ვთქვათ, ყველგან, თვითეული ბურჟუაზიული ქვეყნის წესი და კანონია. მაგრამ მეტნაკლებობა, დაწინაურება და ჩამორჩენა აქაც ეტყობა.

საფრანგეთის ბურჟუაზია, უსათუოთ, სხვებზე უფრო „დაწინაურებულია" ამ საქმეში. აბა, რას ჰგავს ეს?

განცხადებები სხვა და სხვანაირია. ზოგი ქალებისაა, ზოგი მამაკაცების.

— „კარგი ტანი მაქვს. შემიძლია კარგი სიამოვნება ვაგრძნობინო ჩემს მეგობარს ოღონდ ფულის დახარჯვის ნუ დაიზარებთ",—თითქმის ყველგან და თვითეულ განცხადებაში ესაა სხვადასხვა კილოზე და სხვადასხვა სიტყვებით განმეორებული.

— „რა საჭიროა სიტყვის მოცემა და შეპირება. ვერავის შევპირდები ხანგრძლივ კავშირსა და ერთგულობას. სამაგიეროთ იმ მოკლე კავშირის დროს, რომელიც მე მზათა ვარ დავიჭირო მასთან, ვინც თავის დახარჯავს ამის გულისათვის, თქვენ იგრძნობთ მას, რაც არასოდის არ გიგრძნიათ, გამოცდით მას, რაც არასოდის არ გამოგიცდიათ. მე პატარა კოპწია მანდილოსანი ვარ. არავინ იფიქრებს, რომ მე სილამაზე მაკლდეს. ჩემს სილამაზეს ესპანური იერი დაჰკრავს. ჩემი მისამართი" და სხვ.

ეს ერთი, აგერ კიდევ მეორე.

„— მე ახალგაზრდა ვარ, ლამაზი, მესაჭიროება დახმარება. ყოველთვიურათ მჭირდება 200 ფრანკი. უპირატესობას მივცემ მოხუცს, მაგრამ მდიდარს".

ამ ახალგაზრდა ქალბატონს, ალბათ, ანგარიშშიც შეშლია, 200 ფრანკი არც ისე დიდი ფულია, რომ ეს მარტო მდიდარმა გაიმეტოს. შესაძლებელია, რომ ამწყობის შეცდომაც იყოს.

აი კიდევ ერთი: შესანიშნავი აქ ისაა, რომ განცხადების მიმცემი ხაზს უსვამს, მე ფრანგი არა ვარო. ვინ იცის, იქნებ ფრანგული საქციელით გულმოსულებულმა არამზადებმა არა ფრანგის წინადადება უფრო ადვილათ მიიღონ

—„ოსმალო ქალიშვილი გახლავართ, 20 წლისა; საუცხოო სილამაზის პატრონი ვარ, კეთილშობილი და განათლებული ოჯახის შვილი, ვეძებ მეგობარს, 40 წლისას, ან და უხნესს, მეგობრობას გავუწევ მხოლოდ ძალიან მდიდარსა და დარბაისელს, რომელიც ყოველთვიურათ დახმარებას აღმომიჩენს. დახმარების თანხა დიდი იქნება, ამიტომ, ვისაც ამის შეძლება არა აქვს, ტყვილა უბრალოთ მარტო ცნობისმოყვარეობისათვის, ვთხოვ, თავს ნუ შეიწუხებს".

ამას იქით გზა აღარ არის. ყველაფერი ცხადია, აშკარა და ღიაფარადაა.

არ მოგეჩვენოთ, ეს ჯერ სადა და უბრალო საქმეა. ყველა ისინი უბრალო „შინაური" წესით მუშაობენ. განა ეს საქმე, ასეთ წვრილმანი რამით იდულებათ, რომ მას ნამდვილი სამრეწველო ხასიათი არ მიეცეს?

აი ინებეთ კიდევ!

— „ჩვენი მუშტრები კარგათ იცნობენ ჩვენს დაწესებულებას. ამიტომ დავამტკიცებთ, რომ ამჟამათ ჩვენ ბევრს საყურადღებო რამის ვაჩვენებთ. ვისაც არ დაეზარება ჩვენთან შემოსვლა" იქვეა მისამართიც.

—„ ჩვენ კარები ყოველთვის ღია გვაქვს. ჩვენი დაწესებულება არ იკეტება არასოდეს: არც დღე, არც ღამე. რა დროსაც არ უნდა შემობრძანდეთ ჩვენთან, ყოველთვის მხიარულათ გაატარებთ დროს".

დავიჯეროთ ჩვენც რომ აქ „ამათთან" ყოველთვის მხიარულება სუფევს!

ნუ გეკითხავთ, როდემდის გასტანს ეს „მხიარულება"?—სულ ერთია ამის პასუხს ისენი ჩვენ არ მოგვცემენ.

⁂

გემზე არის ფოტოგრაფი. გადაიღო სურათი. სამნი ვიყავით ერთად. ყველა ვინც ჰამბურგიდან შემთხვევით ერთს კაიუტში მოვხვდით. ერთია, მგონი ნორვეგიელი—მგონი—შვედი. კოლოტივით არის გაბერილი, მაგრამ მას ვერც ზღვა და ვერც ღელვა ვერაფერს აკლებს. ამერიკაში ცხოვრობს. მაგრამ გზაზეა დაკრული მუდამ [illegible] ცხოვრობს. მეორე უნგრელია. რომელსაც ბოლშევიკები არ მოსწონს. ან სხვას კი ვის მოსწონს ისინი ამ მგზავრებში?

უკვე 4 საათია. ხვალ ამ დროს ნიუ-იორკში ვიქნებით.

ვნახოთ, ერთი, რას ჰგავს ეს საკვირველების ქვეყანა?

ამ ქალაქს არ ჰყავს ტოლი და ბადალი მთელ მსოფლიოში, რაც აქ ოქროა თავმოყრილი, იმითი მგონი მთელ ევროპის ავლა-დიდებას ეყოფა.

მაინტერესებს ეს ცაში აყუდებული კოშკების ნახვაც.

დღეს საღამოს გემზე კინო გვექნება. წავალ, ალბათ, თუ ხელახლა ტანისამოსის გახდა და ჩაცმა არ დამეზარდა.

⁂

23 საათი, ამას ჩვენში უბრალოთ რომ ვთქვათ, საღამოს 11 საათს ეტყვიან.

ვიყავი და ვნახე კინო, მაგრამ ჯერ ერთი რომ მაქვს სათქმელი. თურმე გემზე ასეთი წესი და ჩვეულება არის შემოღებული: სანამ გემი ნავსადგურს მიადგებოდეს, ერთი დღით ადრე, მგზავრები გამოსათხოვარ პურს სჭამენ და ამის შემდეგ გემზე ისპობა ყოველივე დაკანონებული წესები ჩაცმა-დახურვის შესახებ.

ისემც კარგი დაგემართოს, ამას რაღა სჯობია!?

ალბათ, ოდესმე ამ წესს, რაიმე უფრო მეტი [illegible] გამოსახული მიზანი და სარჩული ჰქონდა. ეხლა კი ეს უშინაარსო ჩვეულებაა და მეტი არაფერი.

ეხლა იმის შესახებ, თუ რა გვაჩვენეს კინოში.

იყო რაღაც [illegible], უშინაარსო, უაზრო რამ, მაგრამ მგზავრებს ის ძალიან მოსწონდათ და დიდი ამბით ხრიალობდენ. გარდა ამისა, გვაჩვენეს თვით ამ გემის აშენების სურათი.

⁂

ჩვენი აქ გადაღებული სურათი უკვე გამოვიდა. ფოტოგრაფი დაგვპირდა ერთხელ კიდევ მოვასწრებ გადაღებას და ხელმეორეთ უსათუოთ კარგი გამოვაო.

დღეს სადილობის დროს—მე ჩვენებურათ ვლაპარაკობ, თორემ აქ სადილობა-ვახშმობა სხვა არის მოჩვეული—მომართვეს პატარა უბის წიგნაკი.

ძღვენს მიჩვეული არა ვარ, არც გაცემა მიყვარს, არც მიღება, მაგრამ უარს თქმა ვეღარ მოვახერხე და წიგნაკი ჯიბეში ჩავიდევი. ძღვენისათვის კი მადლობა გადავუხადე.

⁂

ამინდი წყნარია. საუცხოვოა ასეთ ამინდში ზღვა. სარკესავით დგას ეს უძირო და უნაპირო სივრცე. ამაღამეული ღამე—უკანასკნელია ზღვაზე, ხვალ ვიქნებით ამერიკაში.

ჯერ, ვინ იცის, როგორ დაგვხვდება, რა ბედით შემოგვეგებება ეს უცხო და უცნაური ქვეყანა?

ბევრის ლოდინში, თუმცა წოლა და ლოგინში ყოფნა ჟამიდით მძულს...

ნიუ-იორკი, 17 დეკემბერი

დილის დილით ადრე ავდექი და შევუდექი ნივთების ჩალაგებას. უკანასკნელ დროს გერმანიაში ვცხოვრობდი და წარა-მარა ვიცვლიდი ბინას. ჩემი მოსაწონი ბინა ვერსად ვიშოვე და ამიტომ სულ ახალ-ახალი ბინის ძებნაში ვიყავი. ეს აი რატომ გავიხსენე! არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთი ბინიდან მეორეზე გადასვლის დროს რომელიმე საგანი არ დამრჩენოდა. აქ ეს არ იყო ძნელად მოსაგვარებელი საქმე. მაკითხავი და გამომრთმევი აქ კი გემს, რაღას მაკითხავს?

მთელ ოთახში მოზნეულია ჩემი ნივთები, როცა ღელვა მომასწრებდა ხოლმე თუ რამე მქონდა ხელში, იქავე დავაგდებდი და ლოგინისაკენ ვეშურებოდი.

გვარიან ხანს მოვუნდი ამ საქმეს. ბოლოს, როგორც იქნა, ამასაც მოვრჩი. ეხლა დამრჩა ის, რაც ჩემთვის მეტის-მეტად საძნელოა. ყველას უნდა ჩამოუარო გემის მოსამსახურეებს და, ვისაც ჩემთვის გამარჯვება მაინც უთქვამს, ყველას უნდა ვაჩუქო რამე, ეს საჩუქარი ისეა დაკანონებული, მის წინააღმდეგ წასვლა წარმოუდგენელია.

იმ მოსამსახურეს, რომელიც ჩემს ოთახს უვლიდა ხუთი დოლარი შევაძლიე. უკადრისა. ეცოტავა.

— მე, თქვენ რომ იცოდეთ ხომ გემსახურებოდით... დაიწყო მან ენაზე კბილის დაბიჯებით.

არ მინდოდა, რომ ის გულდაწყვეტილი დამეტოვებინა. რაც არ უნდა იყოს, ეს იყო ერთად ერთი სულიერი, რომელიც დღეში ორჯერ მაინც შემოაღებდა ხოლმე კარებს ჩემი ოთახისას და ორიოდე სიტყვას მეტყოდა. ჩემთვის მაშინ ისიც დიდი შეღავათი იყო.

— მე, ჩემო ძმაო, გემით არასოდის არ მიმგზავრია. აქაური წესების მე არაფერი მესმის. მითხარი, რისი მოვალეც ვარ და სიტყვის უთქმელად გადავიხდი.

— მაგის თქმა მე არ შემიძლია. ეს თქვენი სურვილის საქმეა. თქვენ ვალდებული არა ხართ, შეგიძლიათ სრულებით არაფერიც არ მომცეთ...

მივუმატე კიდევ ერთი დოლარი.

— სამყოფია, თუ არა? სახე გახსნილი მიყურა, ის ხარბი თვალით ჩამჩერებოდა შიგ...

— ასე ვთქვათ, არც იმდენი მაგრამ... გაუჭირდა სიტყვის ამოღება. კიდევ დავუმატე 10 გერმანული მარკა.

— გეყოფათ?

— რასაკვირველია, სამყოფია. დიდათ გმადლობთ. სახე გაუბრწყინდა და ენაც ამოიდგა.

სხვებთან ამდენი ბოდიში არ დამჭირვებია, რაც მივეცი, ის იმყოფინეს. საერთოდ ამ ვიზიტებში დავხარჯე 20 დოლარი. კარგა ერთი კვირის საგზალია ჩემისთანა ხელმოკლე ადამიანისათვის. მაგრამ რაჰქნა აქ მოვედი და ამ ხალხში გავერიე, ეხლა გვიანღაა „თითებზე კბენანი".

რა საძაგელი წესია ეს [illegible]. ადამიანის ღირსება მთლად წაშლილია. მომუშავე ადამიანი მათხოვრათ იქცევა—ის კიდევ არაფერი, უბედურება ისაა რომ ის „ადამიანიც" ვეღარ გრძნობს თავის დამცირებისა და გათახსირების ამბავს—აი ესაა ყველაფერზე უფრო საშინელი.

⁂

დილა ადრიან შეუდგნენ გემზე სამზადისსა და მუშაობას.

ერთი რამ გამიკვირდა. მთელი ამ რთული მუშაობის დროს, მე არ გამიგონია და არ დამინახავს არავინ, რომ განკარგულებები გაეცას. ჩვეულებრივად ხომ ასე არ ხდება. ასეთ შემთხვევაში შეიქნება ხოლმე ერთი ფუსფუსი, შხლა შემოხლა, ყვირილი, უთავბოლო რბენა და ნერვების მომშლელი ალიაქოთი.

აქ ყველა და თვითეული თავის საქმეს აკეთებს, ყველა თავის ადგილზეა. არავის ხელს არ უშლის და არავინ მას არ ეჩრება საქმეში.

შეუდგნენ [illegible] ბარგის ამოლაგებას. ის ბარგი, თურმე, სულ ძირა სართულში ყოფილა და ეხლა ზედა სართულში გადმოლაგეს.

ამინდი წყნარია. ჰაერი არ იძვრის. მაგრამ საშინელი ნისლი წევს.

არ გაუვლია დიდ ხანს და ატირდა ცა, გადმოყარა კორცხლები. შემდეგ შეჩერდა და დაინებით გადმოუშვა წვრილი. წვრილი წინწკლები, რომლებიც ორთქლს უფრო ჰგავს.

ჩვენ ეხლა ზღვის ნაპირას ვართ. ამიტომ წარა-მარა გვხვდება სხვადასხვა გემები. ვინ იცის რომელი საით მიდის? ჩემმა ნაცნობმა ნორვეგიელმა ერთი რაღაც გემი დაინახა. სახე აუთამაშდა, პირზე ნერწყვი მოადგა...

— ჩვენი გემია, ჩვენი ბაირაღია ზედ...

— თქვენი საკუთარი?

— არა, ჩვენი—ნორვეგიის.

მომიყვა და გადამიტანა თავის ნორვეგიის ქება-დიდებით.

— თქვენ ის მითხარით, როდის დავინახავთ ნაპირს? მინდა შევაჩერო ეს მჭერმეტყველობის ჩანჩქერი.

— ნაპირს ჯერ რა უნდა? ნაპირს ჩვენ ორი-სამი საათის შემდეგ დავინახავთ. ესეც კარგი იმედია; იყო დრო, როდესაც ნაპირამდე სამი და ოთხი დღის სავალი გვქონდა.

მე იმ ქალის ჯავრი მკლავს, რომელიც პატარა კუნძულზე არის წამოყუდებული და ხელში ანთებული ჩირაღდანი უკავია.

ეს ძეგლი ფრანგების დადგმულია და შემდეგ ამერიკისათვის ძღვნათ მირთმეული. სახელიც ლამაზი აქვს, ეს ქალი ანთებულ ჩირაღდანით —„თავისუფლების" განსახიერებაა.

იყო დრო, ბურჟუაზია თავისუფლებას ეტრფოდა, თავისუფლება ეკერა ენაზე. ამ საქმეში ფრანგებმა ყველაზე მეტი ხმაურობა და აღიაქოთი ატეხეს. ეხლა კი ბურჟუაზიას არავითარი თავისუფლება არ ესაჭიროება. ის თავისუფლება, რომელიც იმისთვისაა საჭირო, მას უხვათ აქვს, სხვაგვარი და სხვანაირი კი... მისთვის ქირს წაუღია.

ამნაირად ზღვაში აყუდებულა ეს თუჯის [illegible], შეხედავს ვინმე, იქნებ, მართლაც იფიქროს, რომ აქ ნამდვილი თავისუფლება სუფევს.

მე მაინც მინდა ამ ქალის ნახვა, თვითეული წყალის ზედა პირზე წამოშვერილი კუნძი ამ ქალის შორეულ აჩრდილად მეჩვენება და ყოველთვის ვკითხავ ვინმეს.

— არა, ის ჯერ შორსაა, მესმის ყოველთვის პასუხად.

⁂

გემი გაჩერდა.

მიადგეს მას კიბე.

ვუცდით ნაპირიდან მოსასვლელ გემს, რომელსაც მოჰყვება სანიტარული ინსპექციის მოხელეები. ამერიკელებს არ უნდათ, რომ მათ ქვეყანაში ვინმემ გადამდები სენი შეიტანოს.

მართლაც, არ გაუვლია დიდ ხანს, რომ ჩვენ გემს ამოუდგა გვერდში პატარა რაღაც; ეს არც გემია—ვინაიდან თუ ჩვენი ხომალდი გემია, მაშინ ამ პატარას გემისას რა უგავს, ისე არ ჰგავს ისინი ერთმანეთს, როგორც კოღო და არწივი, მაგრამ ის არც ნავია, ვინაიდან მას შუაგულში ბოლის ამოსასვლელი მილი აქვს დატანებული და იქაც მანქანები სდგას—ნავზე ამისთანა რამეები ხომ არ არის?

კიბეს ამოჰყვება რამოდენიმე თითქმის სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი კაცი და ერთიც ქალი.

კარგა გვარიან ხანს დარჩნენ გემზე, მაგრამ ჩვენთან ისინი არ მოსულან.

ასეთია აქაური წესი და კანონი.

პირველი კლასის მგზავრთან ავადმყოფობას რა უნდა?

ბოლოს ისინი ისევ თავიანთ გემზე გადავიდნენ და მოუსვეს ნაპირისაკენ. ჩვენი გემი მაინც ერთ ადგილასაა გაჩერებული. დრო მიდის, ჩვენ კი ადგილიდან არ ვიძვრით. რა უბედურებაა? მე მეჩქარება, მინდა, ბარემდაც, გავიარო ყოველივე ეს დავიდარაბა: პასპორტების გასინჯვა, ბარგის გაჩხრეკა და სხვ.

— რაღას ვუცდით, შევეკითხე გემის მოსამსახურეს, რომელიც ჩვენ ბანზე გაწკაპულ სკამებს დარაჯობდა.

— საემიგრაციო ინსპექცია მოვა, იმას ვუცდით. პასპორტებს გასინჯავს.

ბოლოს, როგორც იქნა, ისინიც გვეწვიენ. დაგვაბარეს ქვევით, სასტუმროში.

„გულო მოდიო საგულესა, სულო მოდიო სასულესა!" გამახსენდა დედა-ჩემის სიტყვები. ასე იცოდა ხოლმე „გამოლოცვა" უჟმურისაგან დედა-ჩემმა.

მართალი გითხრათ არ ვარ სრულებით დაწყნარებული და დამშვიდებული. აი აქ კუთხეში ვიღაც უცხო ხელ-ტანა, წამოგძელებული და წამოწვეტილი ცხვირით და ცივათ შეკრული წარბებით რომ აქვს, იმაზე ჰკიდია ყველაფერი. არ მოეწონები და გიკრავს თავს, ამ [illegible] ადგილას, რომელსაც აქ „ცრემლების კუნძულს" ეძახიან.

ჩავდექი რიგში. არ მინდა მთლად ბოლოს მოვექცე, ვინ იცის, დაღალული, რა გუნებაზე იქნება?

ბოლოს მოვიდა ჩემი რიგიც.

რაღაცას მკითხავს.

რა პასუხი მივცე? ვეუბნები გერმანულად, რომ ინგლისური არ მესმის.

— თქვენი სახელი? მას, თურმე გერმანულიც სცოდნია.

ამის პასუხი მაშინათვე შევაგებე.

— რა ხილობის ბრძანდებით, რა საქმისათვის მოსულხართ ამერიკაში?

— კომუნისტური ინტერნაციონალის დავალებით—მინდა ასე უთხრა, ვნახო რა გუნებაზე დადგება. მაგრამ რა დროის ხუმრობაა და ისიც მაშინ, როდესაც ჩემს საქმეს არავითარი კავშირი და დამოკიდებულება არა აქვს არავითარ პოლიტიკასთან.

დავასახელე ჩემი ჩამოსვლის მიზეზი და მიზანი?

— რამდენი ხნით აპირობთ აქ დარჩენას?

ამის პასუხიც მივეცი. ამასობაში, ის რაღაცას სწერდა თავის წიგნში, შემდეგ დაარტყა რაღაც ბეჭედი ჩემს პასპორტსა და ვიზას და გადმომცა.

მორჩა და გათავდა! ეს იყო და ეს!

წავედი ზევით ბანზე.

ეხლა თავი სანახევროთ მართლა რომ თავისუფალი მგონია. დავიჯერო, რომ ეს იმ „ქალის" წყალობა იყოს?

გემი მაინც გაჩერებულია.

დრო მიდის, აღარავის აღარ უდგება გული ამ გემზე, ყველას ნაპირისაკენ მიეჩქარება.

ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, როცა ჩვენი გემი კვლავ შეტორტმანდა, აუშვა ბოლი და ორთქლი, კვლავ გაუდგა გზას.

აჰა, გამოჩნდა ის ქალი. დავინახე ხეირიანათ—თქო ვერ ვიტყვი. ნისლს ეხლა ბინდიც ერთვის, ზამთრის დღე მეტად მოკლეა, ნისლიც თავისას შვრება, დიდია, როგორც ჰგავს ეს მანდილოსანი, ისეთი დიდია, რომ შიგ, თურმე კიბეა გაკეთებული და ასვლა-ჩამოსვლა შეიძლება.

— მსურველები დადიან ფულს იხდიან და ნახულობენ იმ ქალსო, ამბობენ გემზე.

შთაბეჭდილების რა მოგახსენოთ, რაც არ დამინახავს ხეირიანათ, აბა, რა მეთქმის?

⁂

გამოჩნდა მაღალი სახლები. ყველა ენაზე რაღაც გარკვეული სახელი ჰქვია ამ სახლებს: გერმანელები ამ სახლებს „ვოლკენკრატცერს" ეტყვიან, ეს თითქმის იგივეა, რაც რუსული ნებოსკრიობი, ოღონდ გერმანელები ცის (ნებო) მაგიერათ ღრუბელს ხმარობენ, ასე რომ რუსები იტყვიან:—ცას ფხეკსო, გერმანელები—ღრუბელს კაწრავსო. თვით ამერიკელების სახელი რაღაც იმის გამომხატველია, რომ ეს სახლები სიმაღლით ეტკებიან ერთმანეთსო. ჩვენში, ქართულად არ ვიცი, რა სახელი დაარქვეს ამ სახლებს.

ერთი სიტყვით, იმ სახლებზე მაქვს ლაპარაკი, რომლებიც მაღლა არიან აწეულნი და თვითეული მათგანი რამოდენიმე ათეული სართულად არის დაყოფილი.

ჩვენ ძალიან გვიჭირს ამ სახლების სიმაღლის ხეირიანათ გათვალისწინება. როცა ჩვენ გვეტყვიან:

— არის სახლი, რომელსაც 45 სართულე აქვსო, რაღაც თვალუწვდენელ რამეთ გვინდა წარმოვიდგინოთ.

ასეთი სახლი, რასაკვირველია, ნამეტანი მაღალია, მაგრამ არც ისე, როგორც ჩვენს გვაქვს წარმოდგენილი. ოთახის სიმაღლე აქ მეტად მცირეა. ჩვენებური სახლის ერთ სართულში აქაური სახლის თუ ორი არა, ერთი და ნახევარი სართული გამოიჭრება სიმაღლით. ამის კვალობაზე მთელი ამ მრავალსართულიანი სახლების სიმაღლეც შეკვეცილია.

ეს მე შემდეგში შევამჩნიე, როცა ამ ჩემი 24 სართულიან სასტუმროს მე 505 ოთახში დავბინავდი.

ნავთსადგურზე აუარება ხალხია. თითქმის ყველას, ვინც კი არის ამ გემზე ამ ხალხში ჰყავს, ან ნათესავი, ან ნაცნობი.

მე არავინ მეგულება იქ; მე იქ არავინ მიცდის. ამერიკაში არ არის არც ერთი ძე ხორციელი, რომელსაც მე მიცნობდეს, ან და მე ვიცნობდე.

ეს ახალი ქვეყანა ჩემთვის დასტური რომ ახალი და უცნობია—მე იქ არავის არ ვიცნობ, განსაკუთრებით ვგრძნობ მე ამ ახალი მდგომარეობის სიმძიმეს. ადამიანს ერთი თვისება მოდგამს ძველთაგანვე—ის „საზოგადოებრივი ცხოველია". ძნელია ადამიანთა შორის და იმავე დროს მათ გარეშე ყოფნა. ასეთს მდგომარეობას უდაბნოში ყოფნა სჯობს, უმჯობესია სრულებით არავის არ ხედავდე.

რა გაეწყობა, აქაც ხალხი ცხოვრობს. ადამიანი ადამიანის დაახლოებას ყოველთვის მოახერხებს. მაგრამ ყოველთვის ხელახლა დაწყება?—ძნელია ეს. ამ სიძნელეს მე ეხლა ამ წუთში მწვავედ ვგრძნობ...

გულის ფანცქალით მოველი ნივთების გაჩხრეკას.

ამანაც ჩაიარა. მე ან კი რა მაქვს გასაჩხრეკი და საძებნელად რომ ღირდეს, ისეთი?—მაგრამ, ვინ იცის, გადაგეკიდება ვინმე და ეცადე ამ მამაცხონებულს, რომ შენ „აქლემი" არა ხარ

ზერელად დახედა მოხელემ ჩემს ნივთებს და დაკრა ზედ რაღაც პატარა ქაღალდი. ეს იმის ნიშანია, რომ მე შემიძლია ამ ნივთების წაღება.

ეს თითქმის ყველგან ერთნაირად კეთდება ყველა ქვეყნის საზღვარზე. ამერიკაში კი ერთი რამ არის სხვანაირად მოწყობილი.

ნივთებს თქვენ სტოვებთ გემზე. მგზავრები მიდიან პირდაპირ საბაჟოში. იქ, ვეებერთელა, თვალუწვდენელ დარბაზში, კედელზე აწერია ერთი მეორის მიყოლებით მთელი ანბანის ასოები. ნივთებს თავ-თავისათ აწყობენ იქ—იმ ასოს პირდაპირ, რომელი ასოთიც იწყება თქვენი გვარი.

ამრიგად მე არ გამჭირვებია ჩემი ნივთების მონახვა.

სხვებს მით უმეტეს, არ გაუჭირდებოდა, ჩემისთანა ხამი და გამოუცდელი ამ ხალხში, ალბათ, არავინ იყო.

⁂

ნივთების გასინჯვაც გათავდა.

თავისუფალი ვარ, საითკენაც გინდა, იქეთ წაბრძანდი.

ძავრამ არა, აგერ მოვიდა ვიღაც წამოუსვა ხელი ჩემს ნივთებს, მოაგორა ორთვალა, პატარა ხელით საგორებელი ურემი და გაუდგა გზას. ისემც კარგი დაგემართოს, ამას რაღა სჯობია!?

გავუდგებით გზას. გზაში კიდევ შეგვხვდა ერთი მოხელე; მან იმ პაწაწა ქაღალდებზე, რომელიც ნივთებზე იყო დაკრული, ბეჭედი დაუსვა. ამის გულისათვის არც კი შევჩერებულვართ. ეს ისე—გზა და გზა მოხდა, შეუჩერებლივ.

ჩვენ, თურმე მეორე სართულზე ვყოფილვართ. ეს ეხლა შევამჩნიე. აბა, როგორ გინდა ამ ნივთების ჩაგორება. ამაზე მე დიდ ხანს ფიქრი აღარ დამჭირვებია. ბარგის წამღებმა წამოუსვა ჩემს ჩემოდნებს ხელი და სადღაც ერთ ალაგას ამოჭრილ ხვრელს პირას დასდო. თვითონ ერთი პატარა ჩემოდანი დაიკავა ხელში და ვიღაცას რაღაცა ანიშნა. რაღაცა მოწყდა, რაღაცა ახმაურდა, დაიწყო ხრიალი, ჩემი ჩემოდნები დაეშვა პირქვე. ჩვენ მე და ნივთების წამღები კი მეორე მხრით კიბეს ჩავყევით. ჩვენც ჩავედით გზის პირას და ჩემოდნებიც იქ დაგვხვდა.

გამოვედი ქუჩაში.

მინდა სასტუმრო, მისამართი? ეს, ხომ, აგერ მაქვს ქაღალდზე დაბეჭდილი. დღეს დილაზე ზღვაში შემოგვაგებეს აქაური გაზეთები. გაზეთები უფასოთ დაგვირიგეს, მაგრამ თვითეულ გაზეთზე ისე, თითქოს, სხვათა შორის, მიკრული იყო რომელიღაც სასტუმროს მისამართი.

შოფერი ვიღაც ისეთი შემხვდა, რომ ორიოდე სიტყვა სცოდნია გერმანული.

— სასტუმროს კი ყველა ენაზე ერთი სახელი ჰქვია, მაგრამ, როგორ ვანიშნო, რომ მე საგულდაგულოთ ესა და ეს სასტუმრო მინდა?

— ნიშნება და ლაპარაკი საჭირო არ არის, ეს ქაღალდი აჩვენეთ. მე ქაღალდი მართლაც ჯიბეში ჩავიდევი და დიდის მოწიწებით ვინახავ. ეს ლაპარაკი ამ დილაზე მქონდა გემზე ჩემს ნაცნობ უნგრელთან.

— მისამართი?

გავუწოდე ქაღალდი, წაიკითხა, არ ესიამოვნა. დიდის ამბითა და ვაი-უშველებელით მანიშნა, რომ ეს სასტუმრო ძლიერ შორს არის, რომ მან იცის უკეთესი სასტუმრო. რაღა? იმ სასტუმროში ყველაფერი უკეთესია, სადაც მას შეუძლია მიმიყვანოს.

კისერი უტეხია, რა მაგის მცხელა, ოღონდ კი მიმიყვანოს სადმე და, განა, სულ ერთი არ არის, სადაც მივალ?

ვანიშნე, რომ ყაბულსა ვარ, მიმიყვანოს, სადაც უნდა.

მართლაც, არ გაუვლია დიდ ხანს, შივადექით ერთ სასტუმროს. გადმოვალაგე ნივთები. ძირს მხოლოდ გვარი მკითხეს, არც პასპორტი, არც სხვა რამ.

დავბინავდი ამ ოთახში, ეს მე-505 ნომერია, მაგრამ, ვინ იცის, რამდენი ასეთი ოთახია ამ სასტუმროში.

ოთახი სამ ნაწილად არის გაყოფილი. შემოსავალში ვიწრო დერეფანისებური აქვს დატოვებული. რომ მოდიხართ, მარჯვენივ პატარა საკუჭნაო არის დატოვებული. იქ ტანისამოსის შესანახავი ალაგია. მარცხნივ ვანა და თქვენთან ბოდიში,.. ფეხის ალაგი.

გავათავე წერა. უკვე 10 საათია ღამის. იქნებ დავწვე და დავიძინო დილის ფიქრი სჯობია საღამოს საქმიანობას.

იქნებ დამეძინოს, ვინ იცის, თუმცა მე ძილი და წოლა არ მაკლია.

18 დეკემბერი

დილაა, ჯერ ხეირიანათ არც კი გათენებულა, მაგრამ ლოგინში მოცდა მეზარა. ვავაღე ფანჯარა და გადავიხედე ქუჩებს. რა ვნახე და რა შევნიშნე?

პირველი. საშინელი ხმაურობა. ეს ხმაურობა სრულებით არ შეწყვეტილა მთელს ღამეს, ძილშიაც კი მესმოდა ეს განუწყვეტელი [illegible]. ქუჩა გაჭედილია ხალხით.

ეს სასტუმრო ქალაქის შუაგულშია, ბროდვეის—ესაა აქაური რუსთაველის პროსპექტი, ახლოსაა. ალბათ, ცოტა მოშორებით უფრო წყნარი და მყუდრო ადგილებიც იქნება.

ოთახში სიცხეა, თუმცა მაინცა და მაინც არ იწუხებენ თავს გათბობით. ნიუ-იორკს, ალბათ, ქარხნების და ფაბრიკების ბოლიც ყოფნის სითბოთ.

წუხელი წვიმა მოსულა და გარედან გრილი ჰაერი შემოდის.

მეორე. ქუჩებს არ ატყვია ბერლინისებური სისუფთავე. აქ, როგორც ჰგავს, ქუჩებს არ რეცხავენ. ან კი როდის უნდა გარეცხონ, როდესაც შეუწყვეტელი მოძრაობაა დღე და ღამე?

ჩვენ სასტუმროს წინ რაღაც დიდი შალაზა არის, ათი სართული. ხალხი ბუზივით ირევა ყველა სართულებში. მე აქედან ამას ისე ვხედავ, თითქოს ყველაფერი ხელის გულზე მქონდეს.

ტრამვაი დაიარება ჩვენს ქუჩაზე, მაგრამ ძალიან იშვიათად. ვის აქვს მოცლილი დრო, რომ ტრამვაით იარონ? ტრამვაი ძალიან ნელა მიდის, ანკი როგორ წავა ამაზე ჩქარა, როდესაც ქუჩები გაჭედილია ხალხითა და ავტოებით.

მესამე. ჩვენ ყველას ბევრი გვსმენია აქაური მექანიზაციის შესახებ. ეს მართალია. მაგრამ აი აგერ რამდენს ვხედავ, რომ ხელით მიაგორებენ პატარა ბორბლებზე შედგმულ ხელის ურმებს.

დროგებიც ბევრია, ისეთებიც, ცხენი რომ უბიათ შიგ.

ცხენები ვერ არის ისეთი, როგორიცაა, არამც თუ ბერლინში, არამედ, თუნდა ისეთი, როგორიც მოსკოვში მინახავს. იქაური ცხენები ლომებს ჰგავს, აქაური ჩვენებურ აზნაურის ჯაგლაგს უფრო მოგაგონებთ.

სიჩქარე,—ამბობენ. მართალია, ტყულა მოსიარულე არავინ არის, როგორც ჰგავს, მაგრამ, არც ისე ძალიან ეჩქარებათ ზოგი კიდეც ჩერდება ხოლმე მაღაზიების წინ და კარგა ხანს ათვალიერებს გამოფენილ საქონელს.

ამას ვხედავ მე ჩემი სასტუმროს ფანჯრიდან ქუჩაზე მე ჯერ-ჯერობით ფეხი არ დამიდგამს. ხალხსა და ქალაქს არ დავკვირვებივარ. აი დღესვე, რამოდენიმე საათის შემდეგ უნდა გავუდგე გზას.

იქ, რას ვნახავ, საზოგადოთ, აქაურ შთაბეჭდილებებს.. როდესმე დავწერ და, თუ ჩვენებური მკითხველებისათვის მოსაწყენი არ იქნება, გამოვგზავნი.

ილ. ორიძე.

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 56.

ფიზკულტურა და სპორტი

თათბირი ფიზკულტურის საკითხებზე

ამ დღეებში ა.-კ. პროფსაბჭოსთან შესდგა ამიერ - კავკასიის პროფკავშირების წარმომადგენელთა თათბირი ფიზკულტურის საკითხებზე.

თათბირმა აღნიშნა, რომ ა.-კ. პროფკავშირებს ფიზკულტურულ მუშაობაში ზოგიერთ მიღწევებთან ერთად აქვთ მნიშვნელოვანი ნაკლიც, რაც გამოხატება შემდეგში. პროფკავშირები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ფიზკულტურას, სუსტად არის განვითარებული ფიზკულტურის მასიური ფორმები, მოზრდილი მუშები და ქალები საკმაოდ არ არიან ჩაბმული ფიზკულტურაში, ფიზკულტურის წრეებში სუსტად არის დაყენებული კულტურულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკურ - განმანათლებელი მუშაობა და სხვა.

ამის გამო, თათბირი აუცილებლად სთვლის გაძლიერებული იქნეს პროფკავშირების ყურადღება ფიზკულტურის საკითხებისადმი, კერძოდ გაუმჯობესებული იქნეს ფიზკულტურის წრეების ხელმძღვანელობა როგორც დედა-ქალაქებში, ისე პროვინციაში. მოზრდილი მუშების ჩასაბმელად ფიზკულტურის წრეებში საჭიროა ფიზკულტურის მასიური ფორმების განვითარება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ ეროვნებათა (უმთავრესად, თურქების) მუშების ჩაბმას ფიზკულტურაში, რისთვისაც განვითარებული უნდა იქნეს ფიზკულტურის ნაციონალური სახეები — ნაციონალური თამაშობანი, ჭიდაობა და სხვა.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ამიერ - კავკასიის ზღვის სანაპირო ადგილებში სუსტად ვითარდება წყლის სპორტი, რომელსაც დიდი შესაძლებლობა აქვს და რომელიც დიდ ინტერესს იწვევს მასებში. ფართო მუშაობა უნდა იქნეს წარმოებული ფიზკულტურელების ინტერნაციონალურად აღსაზრდელად და მჭიდრო კავშირის დასამყარებლად მოძმე ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან როგორც ამიერ - კავკასიაში, ისე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში და საზღვარგარეთ. განმარტებული უნდა იქნეს როგორც წითელი სპორტინტერნის, ისე ბურჟუაზიულ და ნახევრად ბურჟუაზიულ (ლიუცერნი) საერთაშორისო სპორტ გაერთიანებების მნიშვნელობა და მოღვაწეობა.

ჩატარებული იქნეს 1929 წლის შემოდგომაზე ფიზკულტურის საერთო — რესპუბლიკანური პროფკავშირული დღესასწაულები აზერბეიჯანში, საქართველოში და სომხეთში. ფიზკულტურის ამიერ - კავკასიის დღესასწაული ჩატარებული იქნეს 1930 წელში.

ფიზკულტურის ინსტრუქტორების კადრების მომზადების მიზნით დასმული იქნეს სათანადო ორგანიზაციების წინაშე საკითხი ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის ტეხნიკუმის დაარსების შესახებ.

—:—

თბილისის და ბაქოს ფიზკულტურელების შეჯიბრება

ამიერ - კავკასიის ფედერაციის არსებობის 7 წლის თავის აღსანიშნავად საქ. პ. კ. საბჭოს ფიზკულტურის ბიურო და ფიზკულტურის თბილისის საბჭო 15 და 17 მარტს აწყობენ თბილისის და ბაქოს ფიზკულტურელების შეჯიბრებას ფრენბურთში და კალათბურთში.

ბაქოს მხრიდან თამაშობენ რკინისგზის საფაბრიკო - საქარხნო სკოლის ფიზკულტურელები. შეჯიბრება გაიმართება ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში.

შეჯიბრება პინგ - პონგში

16 მარტს იწყება პროფკავშირების საქალაქო პირველობის გათამაშება პინგ-პონგში.

სპორტთამაშობათა სეზონის გახსნა

სპორტთამაშობათა საგაზაფხულო სეზონი გაიხსნება მარტის ბოლო რიცხვებში. ამჟამად პროფსაბჭოს ფიზკულტურის ბიურო აწარმოებს მუშაობას გუნდების ჩამოსაყალიბებლად.

ფიზკულტურის კურსები

პროფსაბჭოს ფიზკულტურის ბიურო აპრილის შუა რიცხვებში ხსნის ფიზკულტურის ინსტრუქტორების გადასამზადებელ კურსებს.

რკინის გზებზე

სტიპენდიების დანიშვნის წესი

ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობაში მიღებულია ცნობა, რომ გზათა კომისარიატმა თითოეული ცალკე რკ. გზის გამგეობას უფლება მისცა დამოუკიდებლად დაუნიშნოს სტიპენდია უმაღლეს სასწავლებლების უკანასკნელი ორი კურსის სტუდენტებს.

სტიპენდიანტების შერჩევას ახდენენ უმაღლეს სასწავლებლების გამგეობები რკ. გზებთან და სათანადო პროფორგანიზაციებთან შეთანხმებით.

სტიპენდიის დანიშვნის დროს თვითეულ სტიპენდიანტს ართმევენ ვალდებულებას, რომლის თანახმად, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი ვალდებულია 3 წლის განმავლობაში იმუშაოს იმ გზაზე, რომლისგანაც იგი სტიპენდიას იღებდა.

მიმდინარე წლისათვის ამიერ-კავკ. რკინის გზას სტიპენდიების გასაცემად ეხსნება კრედიტები—23.600 მანეთის რაოდენობით.

რკინის გზებს მიცემული აქვთ წინადადება —გამოარკვიონ, თუ რამდენი სტიპენდიანტი ეყოლებათ უმაღლეს სასწავლებლებში.

კურსები კვალიფიკაციის ასამაღლებლად

1 აპრილს მოსკოვში იხსნება სტატისტიკის დარგში, მომუშავე ხელმძღვანელ პირების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

კურსებზე ამიერ-კავკ. რკინის გზას დათმობილი აქვს ერთი ადგილი.

გზის წარეცხვა

9 მარტს, ღამით კამარლიუ-არარატს შუა წიაღვარმა სამი მეტრი მანძილზე წარეცხა გზა. მატარებლების მოძრაობა შეწყდა.

ხაზის შესაკეთებლად გაგზავნეს დამხმარე მატარებელი. მოძრაობა აღადგინეს 10 მარტს დილით.

შემთხვევები

ორი ბავშვის გვამი

გუშინ მაისურაძის ქუჩაზე გამვლელებმა იპოვნეს ახლად დაბადებული ორი ბავშვის გვამი, რომლებიც გადატანილ იქნა ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

თვითმკვლელობა

ვიქტორ ვასილისძე კირილინსკიმ (მცხ. მახარაძის ქ., 18), თოკით ჩამოიხრჩო თავი.

ყალბი ჩეკებით

მილიციამ დააპატიმრა ზინობი ალექსანდრისძე რამიშვილი (მცხ. კლარა ცეტკინის ქ., 4), რომელსაც ბრალდება ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ კანტორიდან ამანათის გამოტანა ყალბი ჩეკებით.

ჯიბგირი ა.-კ. საგზაო-სატრანსპორტო საზოგადოების მაღაზიაში

გუშინწინ, დღისით, ამიერ-კავკასიის საგზაო სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების მაღაზიაში (პლეხანოვის პრ., 34), ჯიბით დააპატიმრეს ზინობი ანდრიას ასული ჩერმინი (უბინაო), რომელსაც გაჩხრეკისას აღმოაჩნდა ნაქურდალი 160 მანეთი.

თავის მოწამვლა

ზინა ვიტალის ასულმა გარდოკიანმა (მცხ. შჩენიკოვის ქ., 1), იოდით მოიწამლა თავი. გარდოკიანის ქალი სიკვდილს გადაარჩინეს. თავის მოწამვლის მიზეზი—ოჯახური უსიამოვნება.

გამოტყუება

სოფ. ლამის-ყანიდან (გორის მაზრა) ჩამოსულ გლეხებს ნიკოლოზ ქინწაძის და დათიკო ივანისძე ქართველიშვილს გლეხთა სასახლეში ვიღაც უცნობმა პირმა აფერისტული გზით გამოსტყუა 50 მანეთის ნივთები.

ველარ მოასწრეს

კვირას, 10 მარტს, აშოტ ტოროსიანცის ბინაში (საბჭოთა ქ., 13). შეიპარა ორი ქურდი, როცა მათ ნივთებით სავსე კალათი გამოჰქონდათ ოთახიდან—მოულოდნელად შეუსწრო ტოროსიანცმა, რომელმაც მოინდომა ქურდების დაკავება. ერთმა ქურდთაგანმა ჯიბიდან ამოიღო ბიბუთი და სიკვდილით დაემუქრა ტოროსიანცს, რომელიც იძულებული გახდა ხელი გაეშვა ქურდებისათვის. ქურდებმა დრო იხელთეს და ჩქარა მიიმალნენ. ტოროსიანმა მორთო ყვირილი. ყვირილზე მისული მილიციელი სავანელი დაედევნა ქურდებს. შესაშინებლად ორჯერ გაისროლა რევოლვერი, მაგრამ მათი დაპატიმრება არ მოხერხდა. მიმალვისას კალათი ქურდებმა ხელიდან გააგდეს.

შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა გალინა ალექსანდრის ასული ანიაშვილი (მცხ. ჭავჭავაძის ქ., 3), გალინა პეტრეს ასული პოლიაკოვა (უბინაო) და აზიზ აბაზ-ზადე (უბინაო), რომლებსაც ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

ქურდობა

გაქურდეს ზ. ქოჩიკაშვილის ბინა (გუნიბის ქ., 15), წაიღეს 375 მანეთის ტანსაცმელი.—გიგო ალადაძის ბინიდან (პირველი სამილიციო უბანი) მოიპარეს 300 მანეთის საოჯახო ნივთები.—მარიამ ქიმულარიას ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს ერთი ოქროს საათი.—გაქურდეს ხიჩო მნაცაკანიანცის ბინა (რიყის ქ., 9), წაიღეს 170 მანეთის საოჯახო ნივთები.—ბ. შირზოიანს ვიღაც უცნობმა პირმა სადგურის მოედანზე მოპარა ჩემოდანი სხვადასხვა ნივთებით.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) შ. ხვინგია (თბილისი)
ეძღვნება თბილისის ჩემპიონატს
(იბეჭდება პირველად)



შამათი სამ სვლაში

(ამოცანა) ვ. ცაბაძე (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

პარტია № 15 (კარო-კანის დაცვა)

გათამაშებულია თბილისის ჩემპიონატის მესამე ტურში 24/II—1929 წ.

თეთრები: **შიშოვი**—შავები: **მირზაევი**.

1. e2—e4, c7—c6 2. d2—d4, d7—d5 3. e4:d5 (პასიური გაგრძელებაა, რის შემდეგ შავები ღებულობენ კარგ პარტიას, ბევრად სჯობია 3. მc3 ან და ნიმცოვიჩის სვლა e4—e5) c6:d5 4. კf1—d3, მb8—c6 5. c2—c3, მg8—f6 6. h2—h3? (გაუგებარია თეთრებმა აირჩიეს პასიური გაგრძელება და ამასთანავე ისინი კარგავენ დროს ასეთ სვლებზე. რასაკვირველია, ასეთი ტაქტიკით თამაში ყაიმზე ყოველთვის მარცხით თავდება, ბევრად სჯობდა მe2, რათა შავების მორიგ სვლაზე შესაძლებლობა ყოფილიყო შეტევა h2—h4) 6..., g7—g6 7. კc1—g5, კf8—g7 8. ლd1—e2 (აქ საჭირო იყო ლd2 თამაში, რითაც თეთრები წინააღმდეგობას უჩენენ შავებს h7—h6 9. კe3, შემდეგ როქის გაკეთებას და ამასთან ემუქრებიან კუს გაცვლას), 8..., კc8—f5 9. მg1—f3, კf5:d3 10. ლe2:d3, ლd8—b6 11. ლd3—e2, ეa8—c8 12. კg5:f6 (თითქმის აუცილებელი გაცვლაა, რადგან შავები ემუქრებიან მხედრის გადაყვანას e4-ზე) 12.., კg7:f6 13. 0—0, 0—0 (დებიუტი დამთავრდა, ეხლა შეიძლება მოეყაროს თავი შედეგებს: შავებმა გაასწრეს თეთრებს ფიგურების განვითარებაში. თეთრებს აქვთ სუსტი ლაზიერის ფრთა, შავებს ეხლავე შეუძლიათ იერიშის მიტანა b პაიკის მიწევით, c3 პაიკის დასუსტებით, თეთრების ფიგურები იძულებულნი არიან დარჩნენ პასიურ როლში) 14. მb1—a3, მc6—a5 15. ლe2—b5, ლb6:b5 16. მa3:b5, a7—a6 17. მb5—a3, b7—b5 18 ეf1—b1, მa5—c6 19. მa3—c2, ეc8—b8 20. მc2—e3? (უმიზნოდ დროს დაკარგვაა, საჭირო იყო შემდეგი გეგმის არჩევა: 20. b4, a5, 21. a4, ab 22. მ:b4, მ:b4 23. ე:b4, ba 24. ეa:a4, ე:b4 25. ე:b4, თუმცა თეთრებს რჩებათ სუსტი c3 პაიკი, მაგრამ არ სჩანს, როგორ შეუძლიათ შავებს ეს სისუსტე გამოიყენონ. არაფერს აძლევდათ შავებს 20..., e5 21. a4!, ed 22. მc:d4, მ:d4 23. მ:d4, ეfc8 24, ab, ე:c3 25. მc3, ე:c6 26. b:c, კ:a1 27. ე:a1, ე:b4 28. ე:a6, ეc5) 20..., e7—e6 21. მf3—g4, კf6—g7 22. მf3—e1, b5—b4 23. მe1—d3, ეf8—c8 24. f2—f4, b4:c3 25. b2:c3, მc6:d4! 26. c3:d4, კd7:d4+27. მფg1—h2, კd1:a1 28. ეb1:a1, ეc8—c2 29. მფh2—g3, ეc2—c3 30. მg1 f2, ეb8—b2 31. ეa1—c1. ეc3—a3! 32. მფg3—h4, ეb2—d2 33. ეc1—c8+, მფg8—g7 34. ეc8—a8, ეa3:c2! (ყველაზე უბრალო და კარგი, სულ ერთია მხედარი ვერსად გაექცევა) 35g2—g3, ეd :f2 36. მd3:f2, ეa2:f2 და თეთრები უიმედო წინააღმდეგობის შემდეგ მალე დანებდნენ. მირზაევის მოსაზრებული და თანმიყოლებითი თამაში კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

27 იანვრის №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა

ამოცანა ს. კალანდაძე: შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1 ლe8—g8!
I. 1..., e7—e6 2. ლg8—b8× II. 1.., f5—f4 2. ლg8—d5! III. 1..., მფe5—f4 2. მf2—g4!×

ამოცანა შ. ხვინგიასი: შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. კa1—d4!
I. 1..., e7:d 2 მe4—f6× II 1..., c5—c4 2 ლa4—a8× III. 1..., მფd5:e4 2. ლa4—a8× და მხედრის ყოველ სვლაზე შამათი მe2—c3.

პასუხი მკითხველებს

ს. კალანდაძის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ჯანიაშვილმა, კანკავამ, ქ. ყიფიანმა, დოლიძემ, დ. შარაშიძემ, ბიბინეიშვილმა, კლიმიაშვილმა, მახარაძემ (ლანჩხუტი) ფირცხელაიშვილმა (ბათომი), დ. კვესელავამ, გრ. კალანდარიშვილმა (ოზურგეთი), ომანიძემ, აბხაზავამ, (ფოთი) ახვლედიანმა (ზესტაფონი) და ხ. მამალაძემ (სოფ. ხევი).

შ. ხვინგიას ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ქ. ყიფიანმა, დ. შარაშიძემ, ა. ჩირაძემ, დ. კვესელავამ, ს. ომანიძემ, მახარაძემ, (ლანჩხუტი), აბხაზავამ (ფოთი), ხ. მამალაძემ (სოფ. ხევი), ვ. შავგულიძემ (ქუთაისი), ჩომახიძემ და მიქაძემ (სამტრედია).

ა. კეზელს: თქვენს ამოცანას (თეთრები: მფe7, ლb1, ეf1, პ-ბი a5, a4, a3, b2, e2 შავები: მფc5, კc4 პ-ბი: b3, d4, d6, c6) აქვს მეორე გადაწყვეტაც 1. ეf1—f5+, d6—d5 2. ლb1—e1! დაშავების ყოველ სვლაზე 3. ლe1—b4× გადასინჯეთ და გადაამუშავეთ

ნ. გეგეშიძეს: თქვენს ამოცანაში 1..., კc5—d6 შემდეგ მეორე სვლაზე შამათი არ გაკეთდება. ამოცანის იდეა კარგი გაქვთ აღებული, გადაამუშავეთ და ეცადეთ, რომ ყველა ფიგურა იღებდეს მონაწილეობას დაშამათებაში, რასაც არ აქვს ადგილი თქვენს ამოცანაში.

თბილისის ჩემპიონატი

ხვალ, 13 მარტს, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გათამაშებული იქნება შეჯიბრის მერვე ტური. თამაშობენ: 1) ნენაროკოვი—საროკინი, 2) მირზაევი—ტილვიკი, 3) ვეიზერი—სმოროდსკი, 4) წერეთელი—კასპარიანი, 5) თარაიანი—გოგლიძე, 6) შიშოვი—ლევიტასი. 7) დანილოვი-მალუნცევი, თავისუფალია ასოვსკი. დასაწყისი სრულ 6 საათზე.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 12 მარტი

დღეს, საღამოს 5 საათიდან თბილისის რადიო-გადამცემი სექტორი თბილისის 4 კილოვატიანი რადიო-სადგურიდან გადასცემს შემდეგ პროგრამას:

პიონერისა და მოსწავლის საათი—„თებერვლის რევოლიუცია“ ქართულ ენაზე; საუბარი (ციკლიდან—„მოსავლიანობის გადიდებისათვის“—„სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რაციონალური გამოყენება და მოვლა-პატრონობა“ ქართ. ენაზე; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; გაზ. „პროლეტარი“ რადიოთი სომხურ ენაზე; საუბარი (ციკლიდან—„პროფმოძრაობის საკითხები“—„რაზედ იხარჯება პროფკავშირების საწევრო ანარიცხები“ რუსულ ენაზე; ამინდის ბიულეტინი, დროის შემოწმება. კომკავშირელების რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; რადიო-მოყვარულთა საზოგადოების საათი (ტეხნიკური კონსულტაცია); მოხსენება—„თებერვლის რევოლიუციის 12 წლისთავი“ რუს. ენაზე (მომხსენებელი ოქტომბრელის საათი—„როგორ მუშაო- ამხ. პიტერსკი); კონცერტი ლიტერატურულ და მუსიკალური განყოფილებებით. შერეული პროგრამა. რადიო-გადაცემის კვირეული პროგრამის გადაცემა ესპერანტოს ენაზე.

ოთხშაბათი, 13 მარტი

13 მარტს საღ. 5 საათიდან დაიწყება შემდეგი პროგრამის გადაცემა:

ოქტომბრელის საათი—„როგორ მუშაობენ ოქტომბრელი ბავშვების ჯგუფები“—რუსულ ენაზე; საუბარი (ციკლიდან „მოსავლიანობის გადიდებისათვის“—„რა მნიშვნელობა აქვს ნაადრევად დახვნას და ადრე თესვას“ ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი ქართ. ენაზე; პოპულიარული გლეხური კონცერტი „აღმოსავლური საცეკვაო მუსიკა“; საუბარი (ციკლიდან „ღონისძიებები კოლმეურნეობებში მოსავლიანობის გასადიდებლად“—ქართ. ენაზე (მომხსენებელი ამხ. ცაგარელი); საუბარი—„როგორ უნდა სწარმოებდეს კვება“—„რა და რა პროდუქტებიდან უნდა მივიღოთ აუცილებელი საკვები ნივთიერებანი“ (დოცენტ ჩინილოვის მოხსენება); გაზ. „კრასნი ვოინ“ რადიოთი რუსულ ენაზე; პასუხის გაცემა რადიო-მოყვარულთა შეკითხვებზე რუსულ ენაზე;

საღ. 9 ნახევარ საათიდან დაიწყება პოპულიარული კონცერტის გადაცემა. კონცერტის შემდეგ გადაცემული იქნება უკანასკნელი ცნობები და დასასრულ მორზის ანბანი—რუსულ ენაზე.

მეცნიერება და ტეხნიკა

საშუალება დამბლის წინააღმდეგ

15 თებერვალს ბერლინის საექიმო საზოგადოებაში პროფ. **ლევინმა** და დ-რმა **შუსტერმა** გააკეთეს მოხსენება ერთ სამხრეთ-ამერიკელ ფარმაცევტის მიერ დამბლის წინააღმდეგ დამზადებული საშუალების გამოყენების შესახებ.

გერმანელმა მკვლევარმა **კოხ-გრიუნბერგმა** ეკუადორში მოგზაურობის დროს, პირველად მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ინდიელები რაღაც შუშხუნა სასმელს ამზადებენ ერთი მცენარიდან. ეს სასმელი არა მარტო, გამაბრუებელ გავლენას ახდენს ადამიანზე, არამედ აგრეთვე იწვევს მოძრაობის, ცეკვის, ყვირილის მოთხოვნილებას. ფარმაკოლოგმა ლევინმა მცენარის წვენიდან დაამზადა ალკოლოიდი „ბანისტერინი“, რომელიც ნამდვილ სასწაულებს ახდენს, როგორც საშუალება დამბლის წინააღმდეგ.

ელექტრო-გუთანი

ამერიკელმა ინჟინერმა **რომ** გამოიგონა ელექტრო-გუთანი, რომელიც არა მარტო ამუშავებს მიწას, არამედ ერთდროულად ანოყიერებს მას და სპობს ბალახებს. ელექტრონის გუთანს აქვს ორი პირი, მოთავსებული მცირე მანძილზე ერთმანეთისაგან, რომლებშიც ტარდება დენი ელექტრო-მანქანიდან, რომელიც გუთნის ჩარჩოზეა დადგმული. ელექტრო-დენი ჰკლავს ბალახის ძირებს და ამავე დროს ნიადაგს ანოყიერებს აზოტოვან ნივთიერებებით, რომლებიც ელექტრო-დენის დროს წარმოიშობა. ელექტრო-გუთნით დამუშავებულ მიწების მოსავალი 1 ნახ.-ჯერ სჭარბობს ნორმალურს.

ძირს ანაფორა!

1914 წლის ნოემბრის თვიდან დღევანდლამდე მე ვეწეოდი მღვდელთმსახურებას. სრული შეგნებით დავრწმუნდი, რომ ჩემი სამსახური ხელს უშლის საბჭოთა აღმშენებლობას. ამის გამო ვიხდი ანაფორას, თავს ვანებებ ხალხისათვის მავნე ხელობას და ხელს ვკიდებ პატიოსან შრომას.

ყოფილი მღვდელი
დანიელ ბარათაშვილი.

ასეთივე შინარსის განცხადება მიღებულია ღანირ-ჭაგანის თემის (ქუთ. მაზ.) ყოფილ მღვდელ **პლატონ სტეფანეს ძე დანელიასაგან.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ც. კ. სოფლად მუშაობის განყოფილება იუწყება, რომ ოთხშაბათს, 13 მარტს, დილის 10 საათზე შესდგება თათბირი გლეხკომების გამოკვლევის შესახებ. ქვემოთჩამოთვლილი ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: ხომერიკი ან ჩხიკვიშვილი (გლეხკ. ცეკა), ცინცაძე (სოც. უზრუნ. კომ.), ქურულორია (საქ. ცაკი), სტურუა (გლეხთა სასახლე) და დოლიძე (თბ. კომ.).

—:—

ოთხშაბათს, 13 მარტს, დილის 11 საათზე თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ციხელაშვილი (ცეკა), მეგრელიძე (სახ. უნივერსიტეტი) შანიძე (ა.-კ. მიწამზომობის კომიტეტი), მელიქაძე, ჩხარტიშვილი და დუდუჩავა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ვლადიმერ ნიკოლოზისძე ხაჩირაშვილს გამოცხადდეს (ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში 13 მარტს, დილის 9 საათისათვის (რუსთაველის პრ., 24, მესამე სართულზე ოთახი 12).

წითელი პროფესურის ინსტიტუტში შესვლის მსურველთა საყურადღებოდ. ცენტრალური კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აცხადებს, რომ წით. პროფესურის ინსტიტუტში შესვლის შესახებ განცხადებათა შემოტანის ვადა გაგრძელებულია 10 აპრილამდე. ინსტიტუტში მიღების დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებულია ჟურნალ „კომუნისტიჩესკაია რევოლიუცია“—№ 3-ში. (1929 წელი).

რიონის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო დიდის მწუხარებით იუწყება რიონჰესის შოფერის

ვალოდია ვოლჩკოვის

ტრაგიკულად დაღუპვას სადგურ რიონთან ა. წ. 8 მარტს.—გამოსვენება 12 მარტს, დღის 2 საათზე ავტო-კლუბიდან. ნ. 2390

რიონის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფას ამხანაგის რიონჰესის ერთგულ მუშაკის ახალგაზრდა შოფერის

ვალოდია ვოლჩკოვის

ტრაგიკულად დაღუპვას სადგურ რიონთან ა. წ. 8 მარტს.—გამოსვენება 12 მარტს, დღის 2 საათზე ავტო-კლუბიდან. ნ. 2390

ალექსანდრე და ლევან გიორგის ძე სარჩიმელიები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ა. წ. 11 მარტს გარდაიცვალა მათი ბიძაშვილი

ნინა ალექსანდრეს (სანდროს) ასული გუგუშვილი

გამოსვენება საკუთარ ბინიდან (ყიფიანის ქ. № 11) ოთხშაბათს, 13 მარტს, დღის 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. (შ)

ალექსანდრე გიორგის-ძე, პეპიკო, ტანია და ეთერი გუგუშვილები იუწყებიან ძვირფას შვილის და დის

ნინა გუგუშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 13 მარტს, 3 ნახ. საათზე. ყიფიანის ქუჩიდან № 11. ვერის ახალ სასაფლაოზე. (შ)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ესტატე, შვილებით. გიორგი, ვალოდია, ლიზიკო, ქეთევან და ნადია კაკაბაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ლიპა გიორგის ასული კაკაბაძისა

დაკრძალვა 13 მარტს ქ. ხონში—დიდი კუბში. (შ)

გულდათუთქული მშობლები გიორგი და ირინე ბახტაძეები, ძმები სერგო, ლავრენტი, დები შურა, ვერა და დარიკო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი

ლიპა გიორგის ასული კაკაბაძისა

დაკრძალვა 13 მარტს ქ. ხონში, დიდი კუბში. (შ)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ოსანა და სამსონ, დები, ბაბი და ნინო, ძმები: ცოცი და შალვა, რძალი მუცუცა, დისშვილი მარგალიტა და ძმისშვილი ხათუნა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

კოლია ჭოჭუა

დასაფლავება ა. წ. 14 მარტს, ხუთშაბათს, 4 საათზე, ქ. ფოთში, გამოსვენება საკუთარ სახლიდან—რაჰის ქუჩა № 3. 797

ღრმა მწუხარებაში მყოფნი და & სიძე ბაბი და ალექსანდრე მდივანი, დისშვილი ქმრით მარგალიტა და ილიკო ნიჟარაძეები პატარა გურამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

კოლია ჭოჭუა

დასაფლავება დანიშნულია ა. წ. 14 მარტს, ხუთშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, ქ. ფოთში ნახუტურის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ სახლიდან რაჰის ქუჩა № 3. 797

გაუბედურებული ქმარი მიხეილ ბერიკაშვილი, დედა თებრონე, ძმები გიორგი და ვასო ყოჩიაშვილები, მიხეილ და ივანე დურგლიშვილები, დები: ნინა ბუზარაშვილი; ვარა კერესელიშვილი შვილებით, რძლები: ვარა და ეფემია ყოჩიაშვილებისა, ანია და ოლია დურგლიშვილებისა შვილებით, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ა. წ. 11 მარტს დილით მოულოდნელად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

თამარა იოსების ასული ბერიკაშვილი

გამოსვენება ხუთშაბათს, 14 მარტს ნაშუადღევის 3 საათ. 30 წ. საკუთარ ბინიდან, კოშკვენიოვის ქუჩ. № 5. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (შ)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ქეთევანი, შვილები: ვარლამ, ლეონტი, ქალიშვილები—ტერეზია, ტატული, ქენია, რძალი მავრა, სიძეები—დიმიტრი ჯაფარიძე, მელიტონ ახვლედიანი შვილებით, შვილიშვილი ალიოშა, ლიონია და ეთერი იუწყებიან, რომ 9 მარტს, გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ანტონ გოჩას-ძე შენგელაია

გამოსვენება კამოს სახელობის საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზე. 12 მარტს, დღის 1 საათზე. (ე)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა ელენე, მამა ივანე გიუნაშვილი და ბებია ელისაბედი აუწყებენ, ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ტრაგიკულად დაიღუპა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ელისო

გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურიდან საკუთარ ბინაზე (კობის ჩიხი № 6) ოთხშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ოთხშაბათს, საღ. 7 საათზე. (შ)

დამწუხრებულნი მშობლები: სოფიო და დავითი, დაი მარიამი, ძმები: გივი და ვახტანგი მშვიდობაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს საყვარელი

თამარ ციაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 12 მარტს, ქალ. ბორჯომში. დეპ.

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	მსოფლიო ფილმი	არსენალი
აპოლო	დუგლას ფერბენქსი სურათში	რობინ გუდი
მინიონი	სეზონის ახალი სურათი	6 ქალიშვილი ეძებს თავშესაფარს
სოლეი	მხატვრული სურათი საზღვარგარეთის ნიწარმოები	რეინელი მეამბოხე
არფასტო	მხატვრული სურათი	მისი გზა ე. ცესარსკაიას მონაწ.
პალასი	პატი და პატაშონი სურათში	პატი-არისტოკრატი
დარბაზი	მონტი ბენქსი კომედიაში	ნამდვილი ჯენტლმენი
პროლეტარი ავლაბარი		ტარზან—ჯუნგლების მბრძანებელი 3 და 4 სერია

საქ. სახელმწიფო კინომრეწველობის ნაწარმოები
1928—29 წ. სეზონი

მარიამ ტენაზი, ალისა ქიქოძე
ა. თაყაიშვილი, დ. ძნელაძე
ზ. ტერიევი

სურათში

ღრუბლების თავშესაფარი

(თუშეთის ცხოვრებიდან)

სცენ.—სულაკაურის რეჟ. შ. ბერიშვილი ოპერ. ა. პოლიკევიჩი

ხუთშაბათიდან 14 მარტიდან

კინო-თეატრებში აპოლო, არფასტო, სოლეი

ცირკი
კოლოსი
დირექტორი
ი. ზ. კუდრიავცევი
ტელეფ. № 8—64
2-2 ნ. 2371

დღეს

ატრაქციონების სანახაობათა პროგრამა
3 განყოფილებად

მსოფლიო სენსაციის კაპიტან ჯეფრისის პირველი გასტროლი მისი რადიო-გემით.

იაპონელი არტისტის მაცაურას პირველი გასტროლი

იაპონელი არტისტი ქალის ისაიამას პირველი გასტროლი

აგრეთვე ყველა გასტროლიორები და მთელი დასი

აგრეთვე დარიგდება დიდძალი საჩუქრები, ოქრო, ვერცხლი, ქსოვილები, საგალანტერიო და საპარფიუმერიო ნივთები, ჭურჭლეულობა, ავეჯეულობა და სხვ.

მთავარი საჩუქარი ფულად 100 მანეთი

რუსთაველის თეატრი
1—1 ნ. 2384

დღეს, სამშაბათს 12 მარტს
„უდება“ გ. რობაქიძის დრამა 4 მოქმ.
დადგმა: ალ ახმეტელის & შ. ალსაბაძის მხატვ.: ირ. გამრეკელი.
დასაწყისი სრულ 8 საათზე
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში.

სრულიად საქართვ. სოცდაზღვევის კომიტეტი
აცხადებს ყველა დამზღვევთა საყურადღებოდ

რომ, თანახმად ს. ს. რ. კ. შრომის სახ. კომისარიატთან არსებულ სოცდაზღვევის საკავშირო საბჭოს 1929 წ. 31 იანვრის დადგენილებისა № 87 შემოღებულია

სოცდაზღვევის ანარიცხების გადახდის ახალი ვადები

1. დამზღვევნი, რომელთაც ჰყავთ მუშა-მოსამსახურენი 5-ზე მეტი, ვალდებული არიან შეიტანონ სოცდაზღვევის ანარიცხები თვეში ორჯერ, თვის პირველ ნახევრის არა უგვიანეს ამავე თვის 18 რიცხვისა და თვის მეორე ნახევრის კი—არა უგვიანეს შემდეგი თვის 3 რიცხვისა.

ამასთანავე, თვის პირველ ნახევრის სოცდაზღვევის ანარიცხები უნდა შეტანილი იქნეს წინა თვის სოცდაზღვევის ანარიცხების 50 პროცენტის ანგარიშიდან, ხოლო თვის მეორე ნახევრის სოცდაზღვევის ანარიცხების შეტანის დროს კი—გასწორებული უნდა იქნეს მთელი თვის საბოლოო ანგარიში.

2. ყველა დანარჩენ დამზღვევთ სოცდაზღვევის ანარიცხები შეაქვთ თვეში ერთჯერ არა უგვიანეს შემდეგი თვის 3 რიცხვისა.

3. საანგარიშო უწყებები გაცემულ ხელფასის შესახებ, დაწესებულ ფორმის მიხედვით, ყველა დამზღვევმა გამოუკლებლივ უნდა წარადგინონ თვეში ერთხელ არა უგვიანეს შემდეგი თვის 3 რიცხვისა.

4. იმ დამზღვევთა მიმართ, რომლებიც არ შეასრულებენ აღნიშნულ წესს, გამოყენებული იქნება ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ივნისის 30-ს დადგენილება „სოციალურ დაზღვევის კანონმდებლობათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

სრ. საქართ. სოცდაზღვევის კომიტეტი

ნ. 2372

საქართ. ფინანსთა სახალ. კომისარიატი

ა. წ. 15 მარტს, საქ. ფინსახკომისარის ამხ. გ. ვაშაძის თავმჯდომარეობით **იწვევს** ყველა სამფინგანების და ფინრწმუნებულების სამმართველოს

საზ. სამეურნეო გადასახადის დარგში მომუშავეთა რესპუბლიკანურ თათბირს. თათბირზე მოწვეულია შემდეგ ორგანოთა წარმომადგენელნი:

1) საგეგმო კომისიის, 2) მუშათა და გლეხთა ინსპექციის, 3) მიწსახკომის, 4) სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს, 5) გლეხკომების ცენტრალური ბიუროს, 7) ა.-კ. ფინსახკომის, 8) კოლმეურნეობათა ცენტრის, 9) „სოფლის კავშირის“, 10) მიწა-ტყის კავშირის, 11) საქ. ცაკის, 12) საქ. სახკომსაბჭოს, 13) საქ. დაზღვევის კანტორა, 14) გაზეთ „რაბოჩაია პრავდა“-ს, 15) გაზეთ „კომუნისტი“-ს 16) „ახალი სოფლის“ რედაქციის, 17) საქ. ფინსახკომის საბიუჯეტო სამმართველოს, 18) რედაქცია „მოჯამაგირეთა ხმის“.

დღის წესრიგი:

1. გასულ 1928/29 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩატარების შედეგები და 1929/30 წ. გადასახადის ჩატარება (მომხს. ამხ. ლომთათიძე).
2. თვითდაბეგრა—(მომხს. ამხ. ტყეშელაძე).
3. სარწყავ მიწაზე წყალით სარგებლობის გამოსაღები (მომხს. ამხ. მეფფერტი).
4. მიმდინარე საკითხები.

თათბირი შესდგება საღამოს 6 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3). 807 2—1

„კომუნისტი“-ს 10 მარტის ნომერში (№ 56) **ქალაქის ლომბარდის საუქციონო კამერის განცხადებაში** საჯარო ვაჭრობის შესახებ **გაპარულია შეცდომა:** ლომბარდის შენობაში ექცხოველის ქ. № 8, უნდა იყოს კეცხოველის ქ. № 8.

ქალ. ლომბარდის საუქციონო კამერა
აცხადებს, რომ შაბათს 16 და კვირას 17 მარტს დილის 11 საათზე სასახლის ქ. № 3
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლათ. გაიყიდება სარკეები, ხალიჩები, კამოდები, შიფონერკები, პირისაბანები, საკერავი მანქანები, სამოვრები, ვენური სკამები და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 2388

ქ. თბილისის მე-2 უბ. სახ. სასამართ. აღმასრულებელი
დალაქიშვილი
აცხადებს, რომ ის ა. წ. 16 მარტს დღის 1 საათზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ნიკოლოზ ისაიას-ძე დეზირბაშევის სახლს, მდებარე ქ. თბილისში ჰავჭავაძის ქუჩა № 16, აშენებულს ქვითკირით და შეფასებულს 5500 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეძლეულ ფასიდან, სახლი არის ორ სართულიანი 5 ოთახით და ერთ სამზარეულოთი, დახურული თუნუქით, ვინც ისურვებს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია წარმოუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს ვაჭრობის დღეს სამ. საპ. კოდ. 311 მუხ. გათვალისწინებულ ცნობები და საწინდარი 510 მან. ამავე დღესვე ნაშუადღევის 3 საათზე აღნიშნულ სახლშივე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით იმავე დეზირბაშევის ბინის მოწყობილობა: მაგიდები, ხალიჩები, და სხვა შეფასებული 435 მანეთად. ქონება იყიდება ქ. თბილისის აღმასკომის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ყოფ. აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს 1927 წლის 7 აპრილის თარიღით № 10093 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 2389

გარე-უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
გ. მეგრელიშვილი
აცხადებს, რომ ის 15 მარტს 1929 წ. დღის 4 საათზე სად. ყარაიაში საჯარო ვაჭრობით გაყიდის იასონ ძიძიგურის მოძრავ ქონებას: ბუფეტს, საჰმ. შკაფებს, მაგიდებს, საყინულეებს, ბოთლებს და ბუფეტის სხვა მოწყობილობას შეფასებულს 400 მანეთად, ისიდორე ლურჯიას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ყარაიაზის უბ. სახალხო სასამართლოსაგან 10 მარტს 1929 წ. თარიღით, № 246 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 798

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67 ნ. 20 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაზერეხნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—9

თმის მკურნალობა
ვ. ი. დანილევსკაიას
საექიმო კოსმეტიკა
ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო მთკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—6

ექიმი
გ. გ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—8 ნახ. საღამ. ქალ. 5-6 კაც. 6-8

კალინინის ქუჩა № 33 (ყოფ. ნიკოლოზის)
ექ. ი. დ. თოფურიძე
კანის, ვენერიული და სიფილისი (გონორეიის გართულებები)
მამაკაცები 8—10 დილით—6—8 საღ. ქალები10—11 დილით

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების & პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს ნაშუადღევის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ. მესანგრეთა ქ.) ყოფ. კადეტის კორპუსის უკან. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების საკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)
მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
ქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა. 25—6

დაიკარგა კუთვნილი წალვერის თემის საბჭოს პრეზიდიუმის ლითონის ლუქის ბეჭედი, ჩ. გ.
წალვერის თემსაბჭოს
802 პრეზიდიუმი

დაიკარგა: ღვინის გადასატანი მოწმობა № 6089—22 ოქტომბრიდან 1927 წლის გაცემული ღვინის [illegible] ალექსანდრე საინოვის სახელზე ჩ. გ. 797

დაიკარგა: მუშათა კოოპერატივის აწევრო წიგნაკი № 7408 ნიკოლოზ მიკინოვის სახელზე, ჩ. გ. 799

დაიკარგა: სავაჭრო რეგისტრაციის მოწმობა № 46 ივლიანე ქამიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 806

დაიკარგა: პროფ-კავშირის წიგნაკი № 3317 ნიკოლოზ ლოლობერიძეს სახელზე ჩ. გ. 806

დაიკარგა სამხედრო წიგნაკი სერგო ტაბატაძის სახელზე, ჩ. გ. 806

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი № 144 ნინა ქვლივიძის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 4198 რკინის გზის ბილეთი დიმიტრი გოგნიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 800

დაიკარგა: პარტიული ბილეთი № 875668, გაცემული აჭარისტანის საოლქო პარტიული კომიტეტის მიერ ნიკოლოზ ნესტორის ძე ჯინჭარაძის სახელზე, ჩ. გ. 80

დაიკარგა: სამოწაფო საგარეუბნო ბილეთი № 6810 პირადობის მოწმობა № ბ—13 სათენიკა ბეგლარიშვილის სახელზე და სამოწაფო საგარეუბნო ბილეთი № 6811 მარიამ ბეგლარიშვილის სახელზე, ჩ. გ. 80

დაიკარგა: რკ. გზ. პროფკავშირის წიგნაკი № 15181 მიხეილ ც- დაძის სახელზე, ჩ. გ. 80

ტირაჟი—39.639

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.